

# აქტიანეში



893 / 2  
1995

საქართველო: დეკონსტრუქციის  
საქართველო

სამედიცინო ცენტრი - სამედიცინო ცენტრი: უსაფრთხოება:



№ 4,5  
3-III



4



**კურთხეხილზე რედაქციასთან  
საძიებო რედაქციის - მართლმადიდებელი  
კაპიტალიზმის**

გსურს გაიგო „კინა ხარ“, უნდა შეიგნო „კინ იყავ“;  
გინდა იქცე „რამედ“, უნდა შეიტყო „რა განვლე“;  
„საითკენ?“ – მიზანმხედრია მაშინ, თუ ესეც იცი:  
„საიდან?“ ისტორია არის არა მარტო ხსოვა წარსულისა  
– იგი თანვე ქმედითი მონაწილეა მომავლისა.

ბრიგოლ რობაქიძე

**მ**

**1995**

თბილისი

დასაბამიდან            ყფყფ  
ქორთნიკონი            ქა  
ქრისტეს შობიდან    ხყყ



ახალგაზრდა ინტორიკოსთა საგანმანათლებლო-პოპულარული ჟურნალი

# არტანუჯი

დაამუშავებელი ერთი მანის ხაჭანძი  
„არტანუჯი“

1995

4



ქართული  
ენციკლოპედია

რედაქტორ-გამომცემელი  
ბუბა კულავა

რედაქტორის მოადგილე  
ვასილ შალაგბერიძე

სარედაქციო ჯგუფი:  
შალვა გლოველი  
გიორგი კალანდია  
ბონდო კუკატაძე  
ნინო შიშინაძე  
ნიკო ჯავახიშვილი  
თემურ ჯოჯუა

მხატვარი  
მამუკა სულხანიშვილი

კორექტორი  
ნინო ნოდია

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
ზურაბ ბუკია  
მაია გაბოშვილი  
ნინო გვარჯალაძე  
ალექო გურგენიძე  
ირინე მაისურაძე  
ტატო მახარაძე

© არტანუჯი

გამოდის 1994 წლიდან

✉ რედაქციის დროებითი მისამართი: 380028 თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1 კორპუსი, ქართული დიპლომატიის ლაბორატორია, ოთახი № 201. ☎ 29-31-33, 29-49-23.

ბიორგი კალანდია

5

დადიანების სასახლეთა გასაჭირი

თორნიკე ასათიანი

7

მოხატული ფარების საიდუმლოება ანუ რა არის კერალდიკა?



ქართული

გიგლიძის

4. 1995

სარკვევი

*საქართველოს ისტორია*

ღავით შერკვილაძე

13

ასურელი მამები

ბუბა კუდავა

28

X საუკუნის ორი წარწერა ბოდბისხევის ეკლესიიდან

ბიორგი კალანდია

33

ბედიელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

გოჩა საითიძე,  
ღავით ნინიძე

38

ლუარსაბ I-ის დედის ვინაობის საკითხისათვის

ნიკო ჯავახიშვილი

41

მასალები ქართული ბონისტის ისტორიისათვის (ნაწილი მეორე)

*მსოფლიო ისტორია*

ნინო მიწიშვილი

50

რომაელები კავკასიაში (კიდევ ერთხელ ბეიუქ-დაშის ლათინური წარწერის შესახებ)

*კულტურის ისტორია*

პახტანო ჯობაძე

55

ხანძთის წმ. გიორგის მონასტერი (მოკლე მიმოხილვა)

*რეზიუმე*

74

Summaries

*შემქრომის ბრძოლა – 800*

შალვა გლოველი

77

„და ვითარ ვუფხნი ეკუეთნეს...“

*ინფორმაცია*

79

ახალი წიგნები

85

ქრონიკა

*სახალისო ისტორია*

90

კროსკორდი

94

იუმორი

95

მეგობრული შარავები






ძველი კარების წითლად გადაღებვა და ა. შ. ექსპოზიციის გადმონაცვლებამ ნიკოსეული სასახლიდან ეკატერინესეულში და აქაური მუშაკების გულისხმიერებამ ნაწილობრივ აღადგინა პირველადი შიდა ინტერიერი. მადლიერების გრძობით უნდა მოვიხსენიოთ ბ-ნ გონელი არახაძიას ღვაწლი. მისი დირექტორობისას, 1991-1993 წლებში, მუზეუმის ექსპოზიცია ფაქტობრივად განადგურებას გადაურჩა.

ვიდრე სასახლეა ამჟამინდელ პრობლემებზე ვისაუბრობთ, გვსურს კიდევ ერთხელ შევახსენოთ მუზეუმის მნიშვნელობა. სასახლეებში დაცულია ძრავალი საყოფადღებო ექსპონატი: ოქროსაგან გაკეთებული ირძის თაფი (I-II სს.); მდიდარი ხუმიზმატიკური კოლექცია – კოლხური თეთრები, რომაულ-მედიტერანეული (XII-XIX სს.), რუსული, უნგრული, პოლონური მონეტები; აქვეა დაცული უნიკალური ხელოვნებები, სიგელ-გუჯრები, გრიგოლ ორბელიანის, პლატონ იოსელიანის, ნიკო ნიკოლაძის, თედო ჯორდანიას და სხვათა მიმოწერები, სამხედრო არქივი, უნიკალური პარტიტურები და სხვ.; მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილია ბულის, როკოსა და ამპირის სტილის ავეჯი, ქართული, ჩინური, იაპონური, ფრანგული, რუსული გამოყენებითი ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშები; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პრინც აშოლ მიურატის (1847-1895) მიერ საფრანგეთიდან ჩამოტანილი ნივთები. მუზეუმის მსოფლიო მნიშვნელობის ექსპონატია ნაპოლეონის ბრინჯაოს ნიღაბი, რომელიც სამად-სამია მსოფლიოში; აქვე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ქართული და უცხოელი მხატვრების საუკეთესო ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები.

ამჟამად კი დადიანთა არქიტექტურული ანსამბლის მდგომარეობა ძალზე მძიმეა. ფაქტობრივად დანგრევის პირასაა მისული ნიკოსეული სასახლე, რომლის წინა ფასადზე წვიმამ მთლიანად ჩამორეცხა ბათქაში; ჩამოიქცა ქუჩის პირას მდებარე ვალავანი; ეკატერინესეული სასახლის მთელ რიგ ოთახებში წვიმის წყალი ჩამოდის; აწვიმს

ნიკოსეულ სასახლეში განთავსებულ უნიკალურ ფონდებსა და საცავებს; აქ გაჩენილი სოკოვანი დაავადებების გამო სასწრაფოდ შესაცვლელია ტერ-იატაკისა და კარ-ფანჯრების მნიშვნელოვანი ნაწილი; საჭიროა ცხაურებით აღჭურვის სასახლეა კარ-ფანჯრები; შემოღობვის გარეშე დარჩენილი არქიტექტურული კომპლექსის წინა ტერიტორია პირ-უტყვის საძოვრად და ავტომანქანების საჯირითო მოედნად გადაიქცა.

აქვე დავძენთ, რომ ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებების თანახმად, ზუგდიდის მუზეუმს მუდმივ სარგებლობაში გადაეცა სასახლეა მიმდებარე ტერიტორია, აქ განთავსებული ღია საესტრადო ნაგებობებით, ფოტოფიზიკურით, კვების ობიექტითა და ე. წ. „კოტეჯით“. გადაწყვეტილებაში ასევე აღნიშნულია, რომ „კულტურისა და დასახლებაზრდობა გაცილებით მეტს შეიძენს, ვიდრე აქვე გამართულ ატრაქციონებზე გართობით.




სასახლეა წინა გერიგორიაზე მიმდინარეობს გაურკვეველი ობიექტის მშენებლობა

ვენების პარკის ატრაქციონთა ნარჩენები ვატანილ იქნას ზემოაღნიშნული ტერიტორიიდან“. ვატანიას რა მოგახსენოთ და, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პირიქით, იგივე ტერიტორიაზე მიმდინარეობს ახალი, ჯერ კიდევ გაურკვეველი ობიექტის მშენებლობა. ყოველივე ეს მოუღებელია და მიგვაჩინა, რომ აღნიშნული მშენებლობა სასწრაფოდ უნდა შეწყდეს, რამეთუ იგი გამოიწვევს დადიანთა არქიტექტურული ანსამბლის დამახინჯებასა და მიმდებარე ტერიტორიის საბოლოო განანაგებას. სახსრები, რომელიც იხარჯება სასახლეა ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობისათვის, სჯობდა გამოყენებულიყო მუზეუმის პრობლემების გადასაწყვეტად, რადგან იგი ქალაქის მართლაც რომ მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრია და აქ მოსული ახალგაზრდობა გაცილებით მეტს შეიძენს, ვიდრე აქვე გამართულ ატრაქციონებზე გართობით.

ქორნალ „არტანუჯის“ რედაქციის თხოვნით, მშენებლობის შიქრების თაობაზე ქალაქ ზუგდიდის გამგეობას წერილობით მიმართეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. ანდრია აფაქიძემ. მსმ რექტორმა აკად. როინ მეტრეველმა, მსმ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ, საქართველოს ძველთა დაცვის სამსახურის თავმჯდომარემ პროფ. ირაკლი ციციშვილმა ახალგაზრდა ისტორიკოსთა სახელით მიმართეთ ჩვენც. „არტანუჯის“ რედაქციამ, ზემოაღნიშნულ ავტორიტეტთა ჩარევამ შედეგი გამოიღო – მშენებლობა შეწყდა, მაგრამ არ არსებობს გარანტია, რომ ხვალ იგი არ განახლდება არ არის მიღებული სათანადო განკარგულება, რომელიც საბოლოოდ ცხადყოფდა მშენებლობის დაუშვებლობის ფაქტს.

გავიხსენოთ ახლო წარსული. კულტურის ძეგლებისადმი უყურადღებობამ, მათმა გაშიზნულმა განადგურებამ ვერაფერი კარგი მოგვიტანა. იქნებ დღეს მაინც ვისწავლოთ ჭკუა და ჩვენივე ხელით ნუ მოქსაობთ იმას, რაც მტერს დაუნგრეველი და გაუძარცვავი დარჩა.

„არტანუჯის“ რედაქციის სახელით  
**პიორბი კალანდია**



ეკატერინესეული სასახლის ერთ-ერთი ოთახის ტერი



მოხატული ფარების საიდუმლოები  
 ანუ  
**რა არის ჰერალდიკა?**

დამხმარე ისტორიული დისციპლინებიდან ჰერალდიკა (გერბთმცოდნეობა) ჩვენში ნაკლებ ცნობილია როგორც ფართო საზოგადოების, ისე სამეცნიერო წრეებისთვისაც. არადა ეს ლამაზი დარგი ნამდვილად არ იმსახურებს ამგვარ უყურადღებობას, მითუმეტეს, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მისდამი ინტერესი უთუოდ გაიზრდება. გერბი ხომ სახელმწიფოებრიობის ისეთივე აუცილებელი ატრიბუტია, როგორც დროშა ან პიშნო. იგი ქვეყნის სავიზიტო ბარათია, მისი ხასიათის, ტრადიციების, წარსული დიდების მოკლედ და ლაკონურად გადმომცემი. არანაკლებ საინტერესოა სამხარეო გერბები, მათი საშუალებით უცნობით ამა თუ იმ პროვინციის ეთნოგრაფიას, ფლორასა და ფაუნას, ისტორიას (გააჩნია რის საფუძველზეა შედგენილი ემბლემა). ქალაქთა სიმბოლოები წარმოაჩენენ ამ დასახლებასთან დაკავშირებულ რომელიმე ისტორიულ ფაქტს, ლეგენდას, მოკვითხრობენ მის მოსახლეობაზე, კულტურულ ან არქიტექტურულ თავისებურებაზე. გაცილებით ორიგინალური საგვარეულო გერბები კი გადმოცემობს, წინაპართა სიქველე-მოდვაწეობის ასახვით კიდევ უფრო „ცოცხალ“ სიუჟეტს ავითარებენ ხოლმე.

ესეც არ იყოს, ჰერალდიკა უბრალოდ თვალწარმტაცი და მომხიბვლელი საგანია. იგი დასტურია ქართული ცივილიზაციის ევროპულთან სიახლოვისა. თანაც განვითარებადია – აქვს მომავალი, აქედან გამომდინარე კი მისი ამოწურვა შეუძლებელია. ამასთანავე, იგი დაუყოვნებლივ, რეაგირებს ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურულ ცვლილებებზე და ბოლოს, ნებისმიერი ისტორიული დარგი მოითხოვს ჯეროვან გამოკვლევას.

ყოველივე თქმულის კვალობაზე, შევეცდებით არამარტო გავაღვივოთ ჰერალდიკისადმი ინტერესი, არამედ შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილოთ კიდევ იგი.

ვინაიდან გერბმცოდნეობის კანონთა დაწერილობითი განხილვა ძლიერ შორს წაგვიყვანდა, შევეხოთ მხოლოდ იმ ძირითად წესებს, რომელთა ცოდნაც მკითხველს მომავალში გაუადვილებს ჰერალდიკის ლაბირინთებში ორიენტირებას.

**გერბი** არის გარკვეული წესების საფუძველზე შემდგარი, მემკვიდრეობით გარდამავალი სიმბოლური გამოსახულება (1, 460). თვითონ სიტყვა „გერბი“ (ინგ. – Coat of Arms, გერ. – Wappen, ფრ. – Armoiries) პოლონური „herb“-იდან წარმოდგება და „მემკვიდრეს“, „მემკვიდრეობას“ ნიშნავს (1, 461). გერბების შემდგენელ, მათ შემსწავლელ მეცნიერებას ჰერალდიკა ეწოდება.


მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დანიშნულებით გარკვეულ სიმბოლოთა ხმარება არქაულ ეპოქაშიც გვხვდება, გერბების წარმოქმნის ხანად XI ს. ითვლება. მძიმედ შეიარაღებულ, თავით-ფეხებამდე შეჯავშნულ რაინდებს თავისი ვინაობის, მეტიც, მრწამსისა და ხასიათის წარმოჩენა მარტოოდენ ფართო შეეძლოთ. დიდი როლი ითამაშა იმანაც, რომ უკვე ჩამოყალიბებულ ფეოდალურ პრივილეგიებულ ფენას წინაპართა გმირობებით თავმოშწონეობა და მათი საშვილიშვილოდ აღბეჭდვა სურდა. ეს პროცესი კიდევ უფრო განავრცო XII საუკუნეში დაწყებულმა დასავლეთევროპულ თავად-აზნაურთა ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა. არანაკლები დამსახურება მიუძღვის კლასიკური გერბების ჩამოყალიბებაში სარაინდო ტურნირებსაც.

მაღე გაჩნდა იმ პიროვნებების საჭიროება, ვინაც შექმნიდა, აღწერდა და შეისწავლიდა გერბებს. ასე წარმოიშვნენ **ჰეროლდები**. ხოლო XIV საუკუნეში შედგა პირველი საგერბეები – სპეციალური წიგნები, რომელშიც შედიოდა მიღებული წესრიგით დალაგებული გერბები, ბლაზონირებითურთ. **ბლაზონირება** (blasoner – ფრ.) ჰერალდიკური ტერმინია და ნიშნავს გერბის აღწერას მკაცრი წესების დაცვით (8, 68). საზოგადოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ




ჰერალდიკის ძირითად ენად ძველფრანგული მიიხსნება. სწორედ აქედან წარმოდგება უმეტესობა ტერმინებისა და ჩვენც მუდამ მივუთითებთ მათ ფრანგულში.

ყველა გერბის საფუძველია ფარი (écu). ფარი შედგება ველის (champs), ფიგურების, საღებავების, ანუ ფერების (les couleurs) და გამოსახულების, ანუ ფიგურებისაგან (les figures) (3, 29). ფარის ფორმებს გამოყოფენ ქვეყნების მიხედვით.



თავიდანვე საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ჰერალდიკაში მარჯვენა-მარცხენა მხარეები შებრუნებულია, რადგან გამოსახულება მას შემყურე ადამიანის კი არა, ფარის მატარებელი რაინდის მხრიდან განიხილება. ეს წესი იმისთვის იქნა შემოღებული, რომ ფარზე (რომელიც ბუნებრივია მხედარს მარცხენა მხარზე ეკიდა) გამოსახული ცოცხალი ფიგურები მოწინააღმდეგისგან გამქცევი არ გამოჩენილიყვნენ (5, 11).

ფარი შესაძლოა იყოს დაუყოფელი, მთლიანი, ე. ი. მარტივი (simple), ან დანაწევრებული ანუ რთული, შედგენილი (écu composé) (3, 29). არსებობს დაყოფის ოთხი ძირითადი სახე: გაკვეთა შვეულად (per pale), გადაკვეთა განივად (per fess), ჩამოკვეთა ირიბად (per bend), ჩამოკვეთა მარცხნიდან (per bend sinister). ამ უმთავრესი ნაწილების შეერთებით წარმოქმნილ დაყოფებს „მეორეხარისხოვანი“ ეწოდება. არსებობს სხვადასხვა ვარიანტები: ოთხნაწილიანი – გაკვეთილ-გადაკვეთილი (per cross), ორმაგად ჩამოკვეთილი წმ. ანდრიას ჯვრისებრ (per saltire), ნივნივი – ნახევარჩამოკვეთების ერთობა (per chevron), დასოლილი – სოლებად დანაწევრებული (gyronny) და სხვ. (6, 143).



ჰერალდიკაში ფერები (ანუ საღებავები) ორ ლითონად და ხუთ მინანქრადაა დაყოფილი. ლითონებია – ოქრო (or, ყვითელი, გრაფიკულად გამოისახება წერტილებით), გამოხატავს ძალას, დიდგვაროვნებას, სიმდიდრეს, დიდსულოვნებას; ვერცხლი (argent, ვერცხლისფერი, გრაფიკულად არ აღინიშნება, უბრალოდ სუფთა ველი), უმწიკვლოება, უცოდველობა, სისუფთავე, კეთილშობილება. მინანქრები – მეწამული (gules, წითელი, შვეულნი ხაზები), სიმაძაცე, სიქველე, ვაჟკაცობა; ლაქვარდი (azure, ლურჯი, თარაზუდი ხაზები), სიდიადე, სილამაზე, ერთგულება; შავი (sable, ურთიერთმკვეთი შვეული და თარაზული ხაზები), მწუსარება, სიბრძნე, თავმდაბლობა; მწვანე (vert, ირიბი ხაზები მარჯვნიდან), ღირსება, სიყვარული, ნაყოფიერება; პორფირი (purpure, მოიისფრო ძოწისფერი, ირიბი ხაზები მარცხნიდან), სიუხვე, თავმდაბლობა (6, 267-343; 3, 33; 4, 26). ამასთანავე, აკრძალულია ლითონის ლითონზე და მინანქრის მინანქარზე დატანება, რაც ნაკარნახევია იმით, რომ ფარები ბრძოლისას უფრო თვალშისაცემი და ადვილი გასარჩევი ყოფილიყო (6, 343). თუმცა, გვხვდება გამონაკლისებიც. ბრწყინვალე მაგალითია იერუსალიმის გამომხსნელ ჯვაროსანთა მეთაურის – გოლფრუა დე ბუიონის გერბი. როცა ახლო აღმოსავლეთში იქმნებოდა ქრისტიანული სახელმწიფო, თავისი გერბითურთ, რომელიც გოლფრუასაც უნდა კუთვნიებოდა, შეკრებილმა ბარონებმა ახალ ქვეყანას ამგვარი ფარი მოუგონეს: ვერცხლის ველზე ოქროს ჯვარი, გარშემო ოქროსავე ოთხი მოძვრი ჯვრით. გამონაკლისი დაიშვა იმისთვის, რომ ყველა ჩაბიებოდა მიზეზს – წმინდა მიწის განთავისუფლებას.

თავდაპირველად ფერები მართლაც ლითონებითა და მინანქრით გამოიხატებოდა, მაგრამ XVII საუკუნეში იუზუიტმა პეტრა-სანქტამ შეიმუშავა ფერების ზემოთ მოყვანილი სისტემა, რომელსაც მისივე სახელი შერჩა – Petra Sancta (6, 343).

ფერებთან ერთად არსებობს ორი სახის ჰერალდიკური ბეწვი – სიასამურის (ermine, შავი თეთრზე და არა ვერცხლზე) და ციყვის (le vair, ლურჯი თეთრზე). დასაშვებია აგრეთვე სხვადასხვა ვარიაციები (6, 157).



ოქრო



ვერცხლი



მეწამული



ლაქვარდი



შავი



მწვანე



პორფირი




სიასამური



ციყვი

გერბის მომდევნო უმთავრესი შემადგენელი ნაწილია ფიგურები. ისინი ორგვარია: ჰერალდიკური, ქვეყნად არარსებული, სპეციალურად გერბებისათვის მოგონილი და არაჰერალდიკური, ბუნებიდან ან ადამიანის წარმოდგენიდან აღებული. ამ ორთაგან პირველი, სამად იყოფა – საპატიო ფიგურები: თავი, ბოძი, ქამარი, სარტყელი, ნივნივი (ზოგჯერ სხვა ფიგურებსაც ამატებენ ხოლმე); ჯვრები: პირდაპირი ანუ სწორკუთხა, ირიბი ანუ წმ. ანდრიასებური, ჩანგლისებური, სამყურა და მრავალი სხვა; მეორეხარისხოვანი ფიგურები: რომბი, სოლი (le giron), თავისუფალი ნაწილი (იგივე canton), პირველი მეოთხედი (le franc quartier) და ა. შ. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, არაჰერალდიკურ ფიგურებს, ისიც თავის მხრივ სამად ნაწილდება: ბუნებრივი – გარემო სამყაროში თავისთავად არსებული; ხელოვნური – ადამიანის მიერ ხელქმნილი საგნები; ლეგენდარული ან წარმოსახვითი – რეალურად ხელშეუხებელი ფანტასტიკური არსებები და სიმბოლოები.

ფიგურები, წინა მხრით, აუცილებლად მარჯვენა ჰერალდიკურ მხარეს უნდა იყოს მიმართული.



გერბის ძირითადი, უკვე განხილული ნაწილების გარდა მთავარი ფარის გარშემო მრავლადაა შედარებით წვრილი, მაგრამ არანაკლებ მუტყველი და მიმზიდველი ელემენტები.

**გვირგვინი (couronnes)**, სხვადასხვა შემთხვევაში, შესაძლოა მიუთითებდეს ქვეყნის სუვერენიტეტზე. გერბის ძეგლობელის წოდებრივ მდგომარეობაზე, ქალაქის სიდიდეზე. თანაც, ყველა ქვეყანაში გვირგვინებს გააჩნიათ რაიმე ნაციონალური თავისებურება.

**მუზარადების (les casques)** მუშეობით ხშირად ამოიცნობა ხოლმე პატრონის ადგილი ყუოდალური იერარქიის კიბეზე (1, 462).

მუზარადს ზოგჯერ ადევს ბეწვით დაბანგული ნაჭრის რგოლი — **ბურელეტი (le bourelet)**, როგორც წესი, მთავარი ფარის ფერებით დაზოლილი (3, 47).

შუა საუკუნეებში მუზარადს აკრავდნენ ერთგვარ ქსოვილს, რომელიც მას იცავდა წვიმისა და მზისგან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჯვაროსნებისათვის აზიის სიმცხუნვარეში (6, 231). ხმარებაში ნაჭერი ძლიერ იქექებოდა. სწორედ აქედან მოდის გერბის ერთ-ერთი სპეციფიკური ელემენტი — **ლამბრეკინი (les lambrequins)** (სამწუხაროდ, ზუსტი ქართული შესატყვისის ძიება ამათ გარჯა გამოდგა). იგი მუზარადიდან გამოდის და ბურელეტისებრ გერბის უმთავრეს ფერებშია გადაწყვეტილი (3, 48).

**მუზარადის თავი (le cimier)** წარმოადგენს ჩაჩქანზე შემდგარ ფიგურას, რომელიც მეტწილად გერბის ცენტრალური გამოსახულების იდენტურია. ეს იმ უძველესი დროის ტრადიციის გამოძახილია, როცა მეომრები ზუჩზე მრავალგვარ ტოტემურ ან სხვა წარმომადგენლობის ფიგურებს იკეთებდნენ (გავიხსენოთ თუნდაც ვახტანგ გორგასლის მაგალითი).


**ფარისმჭერელი (tenants ou supports)** არიან ბუნებრივი და ლეგენდარული, სულიერი არაპერადიკური ფიგურები, რომელთაც ცალი, უფრო ხშირად კი ორივე მხრიდან უპყრიათ ფარი. მათი წარმოშობა აიხსნება იმით, რომ ტურნირებისას რაინდის კეთილშობილების დასამტკიცებლად გამოფენილ ფარებს საჭურველმტვირთველნი ან რეალურ თუ ფანტასტიკურ ცხოველებად გადაცმული პირები იცავდნენ (3, 49).

**მანტიის (le manteau)** ანუ ღირსების მოსასხამის ქვეშ განათავსებდნენ გერბებს დიდგვაროვანი აზნაურები: პრინცები და დიუკები — თავადები (6, 231). მანტია არ უნდა აგვერიოს **პაუილიონში (tabernacle)**, რომელიც მარტოოდენ გვირგვინოსანთა პრივილეგია იყო


(6, 263). ორივე ასახავს სარაინდო ტურნირების მონაწილეთა გაძლიერებას.

დევიზი (mot) ეწოდება უმთავრესად ფარკვეთს მოთავსებულ ლენტზე დატანებულ ლაკონურ გამონათქვამს (1, 462). იგი გარკვეულწილად უნდა ხსნიდეს გერბს, გამოხატავდეს მფლობელის ხასიათს ან საბრძოლო შეძახილს (7, 181). ზოგჯერ დევიზის შინაარსი მხოლოდ შემქმნელისთვისაა ცნობილი (6, 248). თუ ფარი მრგვალია, დევიზი გარსტყობს (4, 28).

გერბის აღწერა



ყოველივე ზემოთ მოყვანილის გათვალისწინებით ხდება გერბის თანმიმდევრობითი ბლაზონირება. ჯერ ხასიათდება ფარი, დაყოფის შემთხვევაში მისი ნაწილები მკაცრი რიგის მიხედვით განიხილება, შემდეგ კი აღიწერება ფარს შემორტყმული ელემენტები, ასევე გარკვეული თანმიმდევრული კანონების დაცვით.



ფარის აღწერის თანმიმდევრობა

საერთოდ, გამოირჩევა რამდენიმეგვარი გერბი: 1) სახელმწიფო და სამეფო დინასტიის (უშეტესად ერთმანეთს ემთხვევა); 2) მხარეების, ოლქების, ქალაქების; 3) საეპისკოპოსოების, საზოგადოებების, კორპორაციების და მისთ.; 4) საგვარეულოების. ეს უკანასკნელი შესაძლოა კიდევ უფრო განივრცოს (3, 34; 1, 462). გერბს, რომლის ემბლემაც პირდაპირ მიუთითებს



ედუარდ III-ის „პრეტენზიის გერბი“

მელობელის გვარ-სახელზე ან მელობელი ქალაქის სახელმწიფოს სახელწოდებაზე, პქვია მეტყველი გერბი (armes parlantes) ხდება ხოლმე, რომ გერბის პატრონს თავის ფარში შეაქვს იმ მიწის სიმბოლო, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს, მაგრამ არ ეკუთვნის. ასეთ გამოსახულებას პრეტენზიის გერბს უწოდებენ (armoiries de prétention). მაგალითად: 1337 წელს ინგლისის მეფე ედუარდ III-მ მოიწადინა საფრანგეთის სამეფო ტახტის შემოერთება, რის განსაცხადებლადაც თავის სახელმწიფო გერბში პირველი და მეოთხე მეოთხედები საფრანგეთის ემბლემას – შროშანებს (fleurs-de-lis) დაუთმო. ასე დაიწყო „ასწლიანი ომი“! შროშანებმა კი ბრიტანეთის გერბში 1801 წლამდე გაძლო (6, 28).

გერბის სახეცვლილება დაიშვება განსაკუთრებული თავკამოჩენის ან პირიქით, სამარცხვინო საქციელის ჩადენის შემთხვევაში.

გერბმცოდნეობაში განიჩევა ორი ერთურთისგან მკვეთრად გამოჯნული პერალდიკური სისტემა. უფრო გავრცელებული იყო დასავლეთევროპული, ე. წ. ფრანგული პრაქტიკა, რომლის მიხედვით ყოველ ახალ, კეთილშობილ პირს ეკუთვნოდა ორიგინალური გერბი. სხვანაირი სისტემა იყო პოლონეთში (პირობითად შეიძლება კლანურ-თემობრივი დავარქვათ), სადაც განსხვავებული გვარის, თუმცა მონათესავე შლიახტიჩებს (პოლ. – აზნაური) ერთი მარტივი სიმბოლო აერთიანებდათ.

მეტყველი გერბები


პოლონური გერბები



ქ. იბაუძის („ქიშმიში“) გერბი



ქ. სუმის („ჩახოები“) გერბი



ქართული პერალდიკური სისტემა, ისევე როგორც რუსული, ფრანგულისაკენ იხრება, მაგრამ განუკითარებლობისა და ხანმოკლე პრაქტიკის გამო არასრულყოფილია და საკმაოდ შორს დგას დასავლეთევროპულისაგან.

თორნიკე ასათიანი

თსუ ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი

ლიტერატურა

1. Брокгауз Ф. А., Эфрон И. А. Энциклопедический словарь. т. VIII. СПб 1893.
2. Фон-Винклер П. П. Гербы городов, губерний, областей и посадов Российской Империи, внесенные в полное собрание законов с 1649 по 1900 год. СПб.-М. 1990.
3. Лакиер А. Б. Русская геральдика. М. 1990.
4. Медведев М., Вилинбахов Г. Геральдический альбом. журн. "Вокруг света". № 2. 1990.
5. Сперансов Н. Н. Земельные гербы России XII-XIX вв. М. 1974.
6. Stephen Friar. A Dictionary of Heraldry. New York. 1987.
7. Luis F. Messia de la Cerda y Pita. Heraldica Española. Madrid. 1990.
8. Gert Oswald. Lexikon Der Heraldik. Leipzig. 1984.
9. Eduardo Pardo de Guevara. Manual de Heraldica Española. Madrid. 1987.
10. Maulo Talocci. Flags of the World. New York. 1982.

## ასურელი მამები

VI საუკუნის შუახანებში ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე ქართულ წყაროებში ასურელ მამათა სახელით ცნობილი, სირიიდან მომავალი ბერები შემოდიან. სასულძმერთ მწიგნობარ მცირე ჯგუფს უდიდესი ღვაწლი მოუძღვის საქართველოს კულტურულ და შეიძლება რომელიმე მხატვრულ ცხოვრებაშიც. ამ დროიდან ასურელ მამათა მოღვაწეობის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში აღმოცენებას იწყებს პირველი მონასტრები, რომლებიც შემდეგ ქვეყნის წამყვან კულტურულ და სულიერ კერებად ყალიბდებიან. ხდება აღმოფხვრა აქა-იქ შემორჩენილი წარმართობისა, იქმნება მყარი სულიერი და იდეოლოგიური ნიადაგი ირანიდან მოძალბებული მახდენობის წინააღმდეგ.

წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ ასურელ მოღვაწეებთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებს: 1. ქართლში მოსვლის დრო; 2. აღმსარებლობა; 3. ეროვნება; 4. პიროვნული სახელები და რაოდენობა.

### ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო

ასურელ მამათა ქართლში მოსვლას ძველი ქართული წყაროები („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ქართლის ცხოვრება“, „შიომღვიმელის ცხოვრება“) VI საუკუნეში, ფარსმან VI-ის მეფობისა და ევლავიოზის ქართლის კათალიკოსობის ხანაში ათავსებენ. ამავე საისტორიო წყაროებით ეს ფარსმანი („ფარსმან სხუაჲ“) ქართლში მეფობის გაუქმებამდე ბოლოსწინა მეფეა. მაგრამ ამავე დროს მატეანეებში არაფერია ნათქვამი VI საუკუნის ქართლის მეფეთა ქრონოლოგიის შესახებ. ამას გარდა, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ერთხანს გაბატონებული თვალსაზრისით, საერთოდ უარყოფილი იყო ქართულ წყაროებში დასახელებული დაჩი კახტანგის ძის შთამომავალ მეფეთა არსებობაც კი. ყველაფერი ეს საგრძნობლად ართულებდა ასურელ მამათა ქართლში მოსვლის თარიღის დადგენას და იწვევდა პიპოთეზათა ნაირგვარობას.

კახუშტის ქრონოლოგიით ფარსმან VI-ის მეფობა 542-557 წლებზე მოდის. ამ ქრონოლოგიაზე დაყრდნობით განსაზღვრავდნენ ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დროს XIX საუკუნეში. მიხეილ საბინინი ევლავიოზის ქართლის საკათალიკოსო საყდარზე ასვლის თარიღად 550 წელს აცხადებს (33, 102), ხოლო ფარსმანის მეფობად 541-555 წლებს მიიჩნევს (19, 219, შენ. I). თედო ჟორდანიას წერს: „პერეთში არცერთი ასურელთაგანა არ დაემკვიდრა“-ო და აქედან ასკვნის, რომ „მოსვლა წმიდათა მამათა მოხდა 550-557 წლებს შუა, შემდეგ პერეთის კათალიკოსის (აბაზის?) განდგომისა და პირველი დვინის კრებისა 549 წ.“ (18, 54). დიმიტრი ბაქრაძე ასურელი მამების შესახებ საუბრისას რაიმე თარიღს არ უთითებს და მათ უბრალოდ ფარსმან VI-ის დროს მოსვლას უწოდებს (5, 182). კახუშტის ქრონოლოგიაზე დაყრდნობით მსჯელობს მარი

ბროსეც (28; 34). ევსევი ნიკოლაძეც არ უთითებს წლებს, მხოლოდ ზოგადად VI საუკუნეს ასახელებს (16, 65), ევლავიოზის კათალიკოსობას კი 555-557 წლებში ათავსებს (იქვე, 39). პლატონ იოსელიანმა ეს მოვლენა V საუკუნეშიც კი გადასწია. იგი ასურელ მამებს ხან 445 წელს მოსვლად აცხადებს (30, 37, შენ. I; 31), ხან კი — 480 წელს (32). ეს გაუგებრობა გამოწვეულია V საუკუნის მოღვაწის — სვიმონ მესვეტის (უფროსის) და VI საუკუნის სვიმონ მესვეტის (უმცროსის) ერთმანეთში აღრევით, რაც დეტალურად იქნა გაკრიტიკებული მ. ბროსეს მიერ (28). შემდგომში პლ. იოსელიანის ამ აზრის განმტკიცებას შეეცადა გრიგოლ ფერაძე, დაუმატა რა, რომ წმ. დავითი იერუსალიმში 500 წელს უნდა ჩასულიყო (ემყარება დავით გარეჯელის „ცხოვრებაში“ ელია იერუსალიმის პატრიარქის (496-516) დასახელებას), ხოლო მანამდე საქართველოში 30-40 წელი მაინც უნდა გაეტარებინათ (35, 37).

ასურელ მამათა ქართლში მოსვლის საკითხს ცალკე გამოკვლევა მოუძღვნა კორნელი კეკელიძემ. იგი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ასურელი მამები სირიიდან დევნილი მონოფიზიტი ბერები არიან, რომელნიც საქართველოში არა ერთად, არამედ ნაწილ-ნაწილ მოდიან — დავით გარეჯელი 520 წლის ახლოს, იოანე ზედაზნელი ექვსი მოწაფითურთ 543 წელს, ანტონ მარტყოფელი 545 წლის მიდამოებში, აბიბოსი 571 წლისათვის. მან ყველა ეს თარიღი ბიზანტიაში მონოფიზიტების დევნას დაუკავშირა (11). კ. კეკელიძის ვარაუდი ასურელ მამათა ნაწილ-ნაწილ მოსვლის შესახებ გაიზიარა ივანე ჯავახიშვილმაც: „... პირველად დავით გარეჯელია გამოძგზავრებული, რომელიც ეგვიპტის V ს. დამღვესაც კი იყო მოსული.

შემდეგ იოანე ზედაზნელი თავისი მოწაფეებითურთ, — VI ს. შუა წლებში დაახლოებით ამავე დროს, მაგრამ ეტყობა დამოუკიდებელი მოსულად მოჩანს ანტონ მარტყოფელი VI ს. ნახევრისა და დამლევის მოღვაწე ყოფილა აბიბოს ნეკრესელი“ (26, 41).

სარგის კაკაბაძემ ქართლის ბოლო ფარნავაზიანი მეფის — ბაკურის მეფობა 505-515 წლებში ივარაუდა „ამისდა მიხედვით სხვა ფარსმანის მეფობის დროს იოანე ზედაზნელის ქართლს მოსვლა საფიქრებელია სწორედ VI ს-ის დასაწყისში, დაახლოებით 501 წლის ახლოს“ — წერს იგი. მკვლევარი იოანეს სიკვდილის თარიღად 531 წელს ასახელებს, აბიბოსის წამების ფაქტს დაახლოებით 550 წელში ათავსებს, ამის შემდეგ კი თარიღის დაუსახელებლად შიოს გარდაცვალებას უთითებს. ჯამში ამ თარიღების მიხედვით იოანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა მოღვაწეობის ხანას VI საუკუნის I ნახევრით განსაზღვრავს (4, 7-16).

ვახტანგ გვილაძე ფარსმან VI-ის მეფობას ათავსებს რა 525-535 წლებში, იმის გათვალისწინებით, რომ ევლავიოზ კათალიკოსი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით ბაკურის დროს გარდაიცვალა, ასევე, რომ ასურელი მამები ქართლში ფარსმანის გამეფების ახლო ხანაში, VI საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში მოვიდნენ. აღსანიშნავია, რომ ზედაზნის მონასტრის წინამძღვართა სიაზე დაყრდნობით გამოანგარიშების შედეგად მათი ქართლში მოსვლის თარიღად მკვლევარმა 521 წ. მიიღო (6, 199).

ასურელ მამათა ქართლში წამოსვლის დროის საკითხთან დაკავშირებით მყარ ქრონოლოგიურ საყრდენს იძლევა ანტონ მარტყოფელის „ცხოვრება“, კერძოდ, ის ნაწილი, სადაც მოთხრობილია სპარსეთის მეფის ხოსროს მიერ ქალაქ ედესის ალყის შესახებ. „ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ ქალაქის ალყის ამ წარუმატებელი მცდელობის შემდეგ დაადგა წმ. ანტონი ქართლის გზას, საითაც თავისი მოძღვარი ეგულებოდა და თან წამოიღო მაცხოვრის ხელთუქმნელი „კეცის ხატი“.

სპასეთის მეფე ხოსრო I-მა, დაარღვია რა ბიზანტიასთან დადებული „უვალო ხავი“, 540 წელს ახალი ომი წამოიწყო. ამ ომის მიმდინარეობისას სპარსეთის მბრძანებელი ორჯერ შეეცადა ედესის ალყას — 540 და 544 წლებში. ანტონის „ცხოვრებაში“ აღწერილი ამბავი ქალაქის ალყის მეორე მცდელობას უნდა ეხებოდეს, რადგან პირველი მცდელობა შაჰის ავადმყოფობის გამო მალევე ჩაიშალა. ქალაქისათვის სერიოზული

ბრძოლები კი, ხანგრძლივი ალყის ჩათვლით, 544 წელს ხდება (ტექსტის ამ ადგილას მ. საბინის ფრჩხილებში 613 წელი აქვს მითითებული — 19, 294). უდავლოა, მან „ცხოვრებაში“ მოხსენიებული ხოსრო I (ანუ შირვანი, 531-579) მხოლოდ მხოლოდ II-დ (590-628), რომელმაც მსხვერპლად ომს ბიზანტიასთან). ვერანაირმა ღონისძიებამ შედეგი რომ ვერ გამოიღო, სპარსელები იძულებულნი გახდნენ მოეხსნათ ალყა. ედესასთან ეს საბრძოლო პერიპეტეები რომ დასრულდა, „მამის წმიდამან ამან ანტონიმ იდია მოძღურისა თვისისა გზა“ და ჩრდილოეთისაკენ გამოემართა (19, 294).

რადგან წმ. ანტონი უშუალოდ ამ საბრძოლო მოქმედებების შემდეგ მოემართება (ეს ბრძოლები კი 544 წელს არის მომხდარი) და იოანე მისი მოწაფეებითურთ უკვე გამოგზავრებულია ქართლისაკენ, ამიტომ მათი ეს გამოგზავრება 544 წლამდეა საგულგებელი.

წყაროთა მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებელია ზედა ქრონოლოგიური ზღვარის კიდევ უფრო დაზუსტება. როგორც აღვნიშნეთ, ძველი ქართული საისტორიო წყაროები და ავთოგრაფიული ძეგლები ასურელ მამათა მოსვლას ერთხმად დებენ ფარსმან VI-ის ზეობის ხანაში. „მოქცევაის“ და ჯუანშერის მიხედვით, VI საუკუნის ქართლის მეფეთა თანმიმდევრობა ამგვარად წარმოგვიდგება: დანი ვახტანგის ძე — მისი ძე ბაკურ — ბაკურის ძე ფარსმან — ფარსმანის ძმისწული „ფარსმან სხუა“ — და ამ „სხვა ფარსმანის“ ძე ბაკურ. „და მის ბაკურის ზევე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ“ (15, 93-94; 27, 204-215).

ამ მეფეთა ვახუშტისეული ქრონოლოგია (დანი: 499-514, ბაკური: 514-528, ფარსმანი: 528-542, „ფარსმან სხვა“: 542-557, ბაკური: 557-570) უდავოდ მცდარია, როგორც სიმონ ყაუხჩიშვილმა დაადგინა, სწავლულ კაცთა მიერ „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორებისას ძველ ტექსტებში მეფეთა სათვალავის დამახინჯებული ნაშთი მიჩნეულ იქნა შესაბამისი გვირგვინოსნის მეფობის ხანგრძლივობად. მანამდე ამ სათვალავის ზოგიერთი რიცხვი ძველ გადამწერთა შეცდომის შედეგად მეფის გარდაცვალების ასაკთან გაიგივდა: „და მოკუდა დანი თორმეტი წლისა“, „... და მოკუდა ბაკურ ცამეტისა წლისა“, „მოკუდა ფარსმან თოთხმეტისა წლისა“. მეცნიერმა კაცებმა, შეამჩნიეს რა ეს გაუგებრობა, ტექსტიც თავისებურად გამართეს: „და იმეფა დანი თორმეტ წელ და მოკუდა დანი მეფე“, „... სრეთ მეფობდა ათ-

ცამეტ წელ და შემდგომად ამისა მოკუდა ბაკურ მეფე“, „ხოლო ამან ფარსმან იმეფა ათოთხმეტ წელ და მოკუდა მეფე ფარსმან“ (20, 026-028). ვახუშტის ქრონოლოგიის უზუსტობაც იგივე მიზეზებით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

მოსაზრება, რომ 523 წელს „გურგენ მეფის“ ბიზანტიაში გახიზნით ქართლში გაუქმდა მეფობა, არ უნდა იყოს მართებული. იგი დამყარებულია პროკოპი კესარიელის ცნობაზე (თუ ცნობის ამგვარ გაგებაზე), რის საწინააღმდეგოდაც მეტყველებენ სხვა ბიზანტიური წყაროები. ასე მაგალითად, იოანე მალალა იუსტინიანეს იმპერატორობის დროს ჩამოთვლის სხვადასხვა ქვეყნების მეფეებს და მათ შორის იბერიის მეფესაც ასახელებს: „ამ ხანებში ... მეფობდა ღმრთებრი იუსტინიანე, ხოლო სპარსელთა მეფე იყო კოადი დარასთესი, ძე პეროზისა, რომში კი აღარიხი, ვალენტერიაკეს<sup>1</sup> შოამომავალი; აფრიკის მეფე იყო გილდერიხი გინზირიხის შთამომავალი, ავქსუმატ-ინდების მეფე კი იყო ანდასი ... ხოლო იბერებისა — ზამანაზი (ძამანარძე — დ. მ.)“ (10, 267). იუსტინიანე, კავადი, აღარიხი და გილდერიხი კი თავიანთ ქვეყნებს ერთმანეთის თანადროულად განაგებდნენ 527-530 წლებში (იუსტინიანეს ზეობის ხანაა 527-565, კავადისა — 488-531, აღარიხისა — 526-534, გილდერიხისა — 523-530 წწ. — 9, 81, შენ. 4). იბერიის მეფეს ასხელებს მეორე ბიზანტიელი ავტორიც — თეოფანე ჟამთააღმწერელი: იუსტინიანეს მეფობის მე-8 წელს (535 წ.) „იბერიელთა მეფე ძამანარძე მოვიდა კონსტანტინოპოლში კეთილსათნო იუსტინიანე მეფესთან თაჟისის მეუღლითა და დარბაისლებითურთ“ (9, 80). ეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ცნობები მოწმობენ, რომ 523 წლის შემდეგაც, 30-იანი წლების ჩათვლით, ქართლში არსებობას განაგრძობს მეფის ინსტიტუტი. ამიტომ უფრო დამაჯერებელი ჩანს, რომ პროკოპის თხრობა გურგენის აჯანყების შესახებ, რაც სპარსელთა მიერ მისი ხელისუფლების გაუქმებით დასრულდა, ეხება არა მთელ ქართლის სამეფოს, არამედ ბიზანტიის გავლენის სფეროში მოქცეულ ვერისის მოსაზღვრე ქართულ სამთავროს — ქართული წყაროების „დასავლეთ ქართლისას“, რომელიც ამავე წყაროების თანახმად, ფარსმან VI-ის მიერ სპარსელთა ქვეშევრდომობის მიღების შედეგად, ბიზანტიის მფარველობის წყალობით თავს აღწევს სპარსელთა ბატონობას და ქართლის მორჩილებიდანაც გამოდის (7, 140-149) (ხოლო თავად გურგენი, როგორც ამის შესა-

ხებ XIX საუკუნის დასაწყისში სენ-მარტენ-მა მოუთითა, ამ სამთავროს „ერისთავთა მთავარი უნდა ყოფილიყო“ — იქვე, 149).

რაც შეეხება სამეფო ხელისუფლების გაუქმებას ქართლში, „ეკსტატი მცხეთელის მარტვილობის“ მიხედვით, 541 წელს იმ წელსა შეათესა ზუასრო მეფისასა ქართლსა მეფამე ქართლს შემოდის, აქ შვიდი უმეფობის ხანა ჩანს (13, 30). სავარაუდებელია, რომ ქართლში მეფობის გაუქმება სპარსეთ-ბიზანტიას შორის 540 წელს განახლებული ომის დასაწყისისათვის, ან უშუალოდ ომის წინ უნდა მომხდარიყო (ქართლში მეფობის გაუქმება რომ 535-541 წლებს შორისაა სავარაუდებელი, სწორად იქნა შეძენეული ვ. გოილადის მიერ. მან კონკრეტული თარიღიც (537 წ.) შემოგვთავაზა — 7, 151-157).

აქედან გამომდინარე, ასურელი ძამების ქართლში მოსვლა 541 წლამდე ან, უფრო ზუსტად, ბიზანტია-სპარსეთის ომის დაწყებამდეა (540 წ.) სავარაუდებელი. ამის პირდაპირ დასტურად გამოდგება „შიოსა და ვვავრეს ცხოვრებაში“ დაცული მეტად მნიშვნელოვანი ცნობა. ავთოგრაფიულ ძეგლში კერძოდ ნათქვამია, რომ იოანემ და მისმა მოწაფეებმა ქართლისაკენ გამოძვავრების წინ მონიახულეს „დიდი მნათობი“ სვიმეონ



იოანე გულამნიელი

„ეხე ვითარა სამკაული კათოლიკე ეკლესიისა და ქართლისა ერისა დიდი მნათობი ...“



საკვირველმოქმედი, „ლოცუა მისი მოიღეს და წარუძარონენ გზასა ქართლად მომგვანებელსა“ (19, 225). რაც მთავარია, ჩრდილოეთისაკენ მოძავალმა ბერებმა წმ. სვიმონისაგან კურთხევა მიიღეს, სანამ ეს უკანასკნელი საკვირველ მთაზე გააგრძელებდა მოღვაწეობას — იგი „ამათ უამთა აღსრულ იყო ... მთასა საკვრულსა გარნამ არა და სუეტსაცა ზედა არამედ თორნესა შინა მჯდომარე იყო...“ (იქვე, 224) (თორნეში ჯდომის შესახებ ცნობა მერმინდელი ჩანამატი უნდა იყოს „სვიმონ მესვეტის ცხოვრების“ ზეგავლენით. წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება გაუგებრობა — სვიმონმა საკვირველ მთაზე ასკლის შემდეგ „შექმნა თორნე რკინისაი და დადგა მას შინა“ — 24, 248).

VI საუკუნის ცნობილი ასკეტი და სასულიერო მოღვაწე, ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული სვიმონ მესვეტე (521-596) ანტიოქიის მახლობლად, ე. წ. საკვირველ მთაზე მდებარე მონასტერში 540-541 წლებიდანაა. შესაბამისად, ასურელი მამები მასთან კურთხევის მისაღებად 540 წლამდე იქნებიან მისული. წმ. სვიმონ მესვეტე მონასტრულ ცხოვრებას 528 წლიდან ეწევა (წმინდანი შვიდი წლის ასაკში აღიკვეცა ბერად) და თითქმის იმ დროიდანვე იწყებს

მესვეტეობას. ოთხი წლის შემდეგ იგი ახალ, უფრო მოზრდილ სვეტზე აგრძელებს მოსაგრეობას. სვიმონმა ისე გაითქვა სახელი, რომ მისი სიყრმის მიუხედავად, კურთხევისა და ქადაგების მისაღებად ძრავლად აკითხავდნენ როგორც ერისკაცი, *სანქცე მონასტრისი* (25, 164-168). სწორედ მას *„სანქცე მონასტრისი“* (32-540 წლებში უნდა მისულიყვნენ სვიმონთან წმ. იოანეს ხელმძღვანელობით ასურელი მამანიც ქართლში წამოსვლის წინ.

თუ ქართლში მეფობა 541 წელს უკვე გაუქმებულია, ეს მოვლენა 540 წელზე გვიან ვერ მოხდებოდა. ფარსმანი კი, როგორც აღვნიშნეთ, ქართლის ბოლოსწინა მეფეა (მეფობის გაუქმებამდე). მაშასადამე, უკანასკნელ ფარნავაზთან მონარქსა, ამ ფარსმანის („სხუაის“) ძეს ბაკურს 30-იანი წლების მიწურულს მაინც უნდა ემეფა. ბაკური რომ მცირე ხანს მეფობდა, ამას გვაფიქრებინებს ქართული მატრიანების ცნობაც, რომ მას გარდაცვალების შემდეგ მცირეწლოვანი შვილები დარჩა. ე. ი. ბაკურ მეფე ახალგაზრდულ ასაკში გარდაცვლილა. რადგან ქართლში მეფობა ყველაზე გვიან 540 წელს გაუქმდა, ბაკურის მეფობა კი ალბათ 2-3 წელს მაინც გაგრძელდა, ასურელი მამები ქართლში 537 წლამდე მოსულან, ვინაიდან, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, „ფარსმან სხუაის“ ამის შემდეგაც ემეფოს (ისტორიოგრაფიაში „ფარსმან სხუა“ და ბიზანტიური წყაროების იბერიის მეფე ძამანარძე იდენტურ პირებადაც კია მიჩნეული — 7, 149-150). ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ასურელი მამები ქართლში VI საუკუნის 30-იან წლებში, უფრო ზუსტად კი, 532-537 წლებს შორის შემოდიან.

### ასურელ მამათა აღმსარებლობა

ისტორიოგრაფიაში ასურელ მამათა კონფესიური კუთვნილების შესახებაც კარდინალურად განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. კ. კიკელიძის აზრით, სირიიდან მოსული სასულიერო მოღვაწეები მონოფიზიტი ბერები არიან, რომლებიც ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში მონოფიზიტთა მიმართ ხანგამოშვებით წარმოებული სასტიკი დევნის გამო თავს აფარებენ ქართლს (ეს პროცესი მიმდინარეობს VI საუკუნის მთელ სიგრძეზე). თითოეული ასეთი დევნილობა VI საუკუნის განმავლობაში სირიიდან ქართლში ცალკე „პარტიების“ გადმოსროლას იწვევდა და სამწერლობო ტრადიციაში მათი გაერთიანების შედეგად იქნა მიღებული ე. წ. ასურელი მამები (11, 92-93). ამგვარი ვითარების დასა-



დავით ბარქაული

„... ვითარ მხემან ვეუხისა წყულიადა შინა მხსდომარე ერა ქართველთა განანათლა მოღვაწეობითა მერ...“

ბუობას მკვლევარი შემდეგი არგუმენტებით ცდილობს:

1) სირიის ქალკედონიანი ბერები იმხანად იმდენად შევიწროებული და შეჭირვებულნი იყვნენ, რომ არ შეეძლოთ უცხო ქვეყნებში გამგზავრება საქადაგებლად და ადგილზე უფრო საჭირონი იყვნენ მოძმლავრებულ მონოფიზიტობასთან საბრძოლველად;

2) VI საუკუნის ბოლომდე ქართლში ოფიციალურ სარწმუნოებად სომხეთის მსგავსად მონოფიზიტობა ითვლებოდა და იცოდნენ რა ეს, მონოფიზიტმა ბერებმა აქეთ გამოსწიეს;

3) როდესაც დავით გარეჯელი იერუსალიმს გაემგზავრა წმინდა ადგილთა მოსალოცად, ქალაქში ვერ შევიდა იმ მიზეზით, რომ იქ დიოფიზიტობა იყო გაბატონებული და მონოფიზიტობა იღვენებოდა.

4) ასურელ მამათა „ცხოვრებებში“ ისტორიული სინამდვილე შებღალულია, მაგრამ მამათა ყოველდღიური ცხოვრებისა და ხეჩვეულებების აღწერილობებში „ვაპოლობოთ ისეთ რამეებს, რაც ენათესავება მონოფიზიტურ ასკეტიზმს VI ს-ის სირიაში“ (იქვე, 94).

ზემოხსენებული თეორიის პირველ და ერთი შეხედვით ანგარიშგასაწევ არგუმენტს საფუძველი გამოაცალა ივ. ჯავახიშვილმა. როგორც მან პოპანეს სომეხთა კათალიკოსის მიერ VI საუკუნის შუა წლებში ალბანეთის ეპისკოპოსებისადმი მიმართული ეპისტოლეებიდან დაადგინა, „ალბანეთშიაც ამ დროისათვის პეტროს გლახაკთა-მოყვარის ასურთა სავანიდან მქადაგებლები მოსულან, რომელთაც დაუბრკოლებლიე ნესტორიანობისა და ქალკედონიანობის ქადაგება და დაურგვა დაუწყიათ“ (სომეხი მონოფიზიტი მოღვაწეები ხშირად აიგივებდნენ ნესტორიანობასა და ქალკედონიანობას). რადგან დიოფიზიტი (ქალკედონიტი) მქადაგებლები ალბანეთშიც აღმოჩნდნენ, მსგავსი ვითარება აღარც ქართლშია გამორიცხული (26, 414). ივ. ჯავახიშვილს გამოსარკვევი მიაჩნდა მხოლოდ ანტონ მარტყოფელისა და დავით გარეჯელის სარწმუნოებრივი კუთვნილების საკითხი (იქვე, 415).

სამაგიეროდ, კ. კეკელიძის მეორე და მთავარ არგუმენტს თავად ივ. ჯავახიშვილმა დაუდო საფუძველი, როცა ქართლის ეკლესია 506 წლის დვინის საეკლესიო კრების ახლო ხანებიდან მოყოლებული კიდრე საუკუნის ბოლომდე მონოფიზიტური კურსის გამტარებლად გამოაცხადა (29, 513-515). მკვლევარის აზრით, დვინის კრება სომეხთა ადგილობრივი კრება იყო, ამიურკავკასიის

ეკლესიათა საერთო კრება კი მის შემდეგ ახლო ხანებში შედგა ქ. ვალარშაპატში (26, 352). ივ. ჯავახიშვილის დებულებამ, რომ ქართველები მონოფიზიტები იყვნენ 607 წლის ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილებაზე, მყარად მოიკიდა ფეხი ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ როგორც უკანასკნელი გამოკვლევები ცხადყოფენ, VI საუკუნეში ქართლის ეკლესიისათვის ამკარა მონოფიზიტური მიდრეკილებანი არ ყოფილა დამახასიათებელი, განსაკუთრებით 518 წლიდან (დაწვრილებით იხ. 2; 12). ქართველ-სომეხთა დოგმატიკური დაპირისპირებაც, რომელიც 607 წლის ცნობილი საეკლესიო განხეთქილებით დასრულდა, ოფიციალურ დადასტურებას ჯერ კიდევ სომეხთა 551 წლის დვინის მეორე საეკლესიო კრების (ზოგჯერ ამ კრებას 552-553 წლებით ათარილებენ) შემდეგ პოულობს. თვით სომხეთის ეკლესიაც ამ კრებაზე აკეთებს პირველ ოფიციალურ განაცხადს თავისი მონოფიზიტური არჩევანის შესახებ. არ დაუფოვნებია ქართლის ეკლესიის რეაქციასაც. როგორც XIV საუკუნის სომხური საეკლესიო მატიაზე მიუთითებს, კრების შემდგომ (რომელსაც მოჰყვა სომხური ეკლესიის განყოფილება ბერძნულისაგან) „ქართველები და მეოთხე სომხეთი

20724



მეორე დვინელი  
„სიემილი და წყურვილი მეურავს ქყო, ცეცხლსა იწროებათასა არა პრიდა, უდაბნოსა უღონოება არად შეპრავება ...“

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

განდგნენ სომხებთან ერთობისაგან...“ (2, 105). იგივეს მოგვითხრობს არსენ საფარელი, რომელიც თავის მხრივ სხვა სომხურ წყაროს უნდა ეყრდნობოდეს (3, 84).

დოგმატური წინააღმდეგობა ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის აღნიშნული მოვლენების შემდეგ დადასტურებულია კიდევაც ერთ ბერძნულ წყაროში (Narratio de rebus Armeniae): კავკასიის ეკლესიების გადამირების მიზნით, სომხთა კათალიკოსი იოანე გაბელუნელი 574 წელს მიმართავს ამ ეკლესიათა მესვეურებს — „ხოლო მისწერეს მათ აპას ალბანთა ქვეყნის კათალიკოსს ამნაირი ეპისტოლე: მოდი, შეუერთდი ჩვენს სარწმუნოებას ქრისტე ღმრთის ერთი ბუნებისა და სამწყობადობის გალობაში „რომელი ჩვენთვის ჯუარს ეცუ“-ს თქმაში. ხოლო იგი არ დაეთანხმა.

და მისწერეს სივნიუთის ეპისკოპოს კრათანეს იგივე, მაგრამ ისიც არ დაეთანხმა...

ახვევ მისწერეს ქართველებსაც, რომლებმაც მკაცრად უპასუხეს და არ შეიწყნარეს მოსმენილი, არამედ უპატიოდ გამოაძევეს მოციქულნი, როგორც მწვალებელთა მოწაფენი და ურიული მოძღვრების განმახლებელნი“ (2, 107).

თუ მონოფიზიტობის ოფიციალური აღიარება თვით სომხეთის ეკლესიის (კავკასიის მონოფიზიტური ბურჯის) მიერ VI საუკუნის შუა წლებში ხდება, რაღა დატვირთვა ჰქონია 506 წლის დვინის განმაურებულ საეკლესიო კრებას? მეცნიერულმა კვლევაძიებამ ამ კითხვას უკვე გასცა პასუხი: ამ კრებაზე კავკასიის ეკლესიებმა მიიღეს იმპერატორ ზენონის „ქენოტიკონი“, რომელიც გამოხატავდა ქრისტეს ბუნებოვნების საკითხის გამო დაპირისპირებულთა შემრიგებლურ პოლიტიკას (დაწვრილებით იხ. 1; 12, 35-56).

დვინის ამ ორ კრებას შორის ქართლის სარწმუნოებრივ-დოგმატური ვითარების შესახებ არსებობს ფრიად მნიშვნელოვანი მონაცემი, რომელიც ბიზანტიის საიმპერატორო კარის ისტორიკოსის — პროკოპი კესარიელის მიერ ქართველთა დახასიათების სახით არის შემონახული: „ეს ხალხი ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველაზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“ (17, 48). მაშასადამე, პროკოპის შეხედულებით, იბერები ყველაზე უფრო მართლმადიდებლები ყოფილან. „ცხადია, ქალკედონიტი ისტორიკოსი მართლმადიდებლობაში ქალკედონიტობას გულისხმობს“ (2, 104).

ამრიგად, VI საუკუნეში ქართლის ეკლესიის მონოფიზიტურობის უსაფუძვლობას ადასტურებს: 1) დვინის 506 წლის საეკ-

ლესიო კრებაზე ამიერკავკასიის ეკლესიათა მიერ მონოფიზიტობის აღიარების ნაცვლად ზენონის „ქენოტიკონის“ მიღება; 2) პროკოპი კესარიელის მიერ ქართველთა სარწმუნოებრივი შეფასება (523-550 წწ.); 3) სომხეთის ეკლესიის მიერ დვინის შეიქმნილი საეკლესიო კრებაზე (551-552-553 წწ.) მონოფიზიტურ განსაზღვრებათა აღიარებაზე ქართლის ეკლესიის მიერ თავისი დამოკიდებულების გამოხატვა; 4) ქართლის ეკლესიის მესვეურთა საპასუხო მოქმედება 574 წელს სომხეთის ეკლესიის თხოვნაზე — შეექმნათ სარწმუნოებრივი ერთობა მონოფიზიტურ საფუძველზე.


ზემოთქმული მეტყველებს, რომ ასურელმა მამებმა კი არ შეცვალეს ქართული ეკლესიის ქრისტოლოგიური კურსი (შდრ. 26, 412-415), არამედ განამტკიცეს უკვე არსებული.

ასურელ მამათა მონოფიზიტური აღმსარებლობის სასარგებლოდ მოყვანილი პირველი ორი არგუმენტის განხილვის შემდეგ, ვფიქრობთ, დანარჩენ ორს უკვე ეკარგება პირვანდელი მნიშვნელობა. მაგრამ ორიოდე სიტყვით ამ არგუმენტებზეც შევჩერდეთ.

უნდა აღნიშნოს, რომ მკაცრი ასკეტიზმი ქრისტიანობის მხოლოდ მონოფიზიტური მიმდინარეობისთვის არაა დამახასიათებელი (35, 32-35) — ქრისტიანულ ასკეტიზმს უკვე საკმაო ისტორია გააჩნდა იესო ქრისტეს ბუნებოვნების საკითხის წამოჭრამდე. გარდა ამისა, მრავალმა დიოფიზიტმა საეკლესიო მოღვაწემ სწორედ მკაცრი განდევნილური ცხოვრებით გაითქვა სახელი.

რაც შეეხება დავით გარეჯელის მონოფიზიტობის მიზეზით იერუსალიმში შეუსვლელობას (519-520 წწ.), ამის თაობაზე გრ. ფერაძე შენიშნავდა, რომ ზუსტად ამ ხანებში იერუსალიმში დროებით გამარჯვებულებად მონოფიზიტები გვევლინებიან, რომლებმაც ქალაქიდან გააძევეს დავით გარეჯელის „ცხოვრებაში“ დასახელებული პატრიარქი ელია (35, 7) (ე. გოილაძის აზრით, სწორედ ამის გამო აარიდა თავი იერუსალიმში შესვლას წმ. დავითმა — 6, 198. მ. ბროსე თავის მხრივ უხეშ შეცდომას უწოდებს დავით გარეჯელის იერუსალიმში ჩასვლის ვლიას პატრიარქობის ხანაში მოქცევას, რადგან ეს უკანასკნელი დავით გარეჯელის მოღვაწეობის დროისათვის, VI საუკუნის II ნახევარში, ცოცხალი აღარ იყო — 28, № 25).

ქართული მართლმადიდებლური მწერლობა პირდაპირ უთითებს ასურელ მამათა დიოფიზიტობას, როდესაც იოანე ზედაზნელს



უწოდებს „განმანათლებელს ქართლისას და განმწმენდელს სჯულისას“ და როცა ხაზს უსვამს ასურელ მამათა დიდ ღვაწლს მართლმადიდებლობის (ანუ დიოფიზიტური რწმენის) განმტკიცების საქმეში: მათი თავდაუზოგავი გარჯის შედეგად „განმტკიცდებოდეს ყოველნი სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა...“ (19, 226). ივ. ჯავახიშვილი სწორად შენიშნავს, რომ „მართალი სარწმუნოების“ განმტკიცება დიოფიზიტობის გაძლიერებას გულისხმობს და „განმწმენდელობა სჯულისა“ — მონოფიზიტობის წინააღმდეგ

ბრძოლას (26, 413). მაგრამ იმ დროისათვის მონოფიზიტური ზეწოლის არსებობა ირანის მხრიდან სრულიად ბუნებრივია. ამ გარემოებით აიხსნება „სჯულის განმწმენდის“ საჭიროება და ამისათვის არაა აუცილებელი ქართლის ოფიციალურმა რეკლამამ — მძნანად მონოფიზიტური მიმართულებების სისტემატიკო. ყოველივე ეს ნათელს ხდის დამსახურებას ასურელი მამებისას, რომელთაც „განმტკიცენს სარწმუნოებათა მართლითა ნათესავი ქართლოსიანი“.

### ასურელ მამათა საღაპრობა

XIX საუკუნეში ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩნდება აზრი ასურელ მამათა ქართველობის შესახებ. დ. ბაქრაძეს ამის დამადასტურებლად შემდეგი გარემოებანი მიაჩნია: „... სულ ძველად ქართველნი მოღვაწენი და მთარგმნელნი ანტიოქიაში და იმის გარშემო შრომობდნენ თავიანთ მამულის სასარგებლოდ. გარდა ამისა შემოდიან თუ არა საქართველოში, ქართულად საუბრობენ; ქართულადვე ასრულებენ წირვა-ლოცვას და ჰმოდვრობენ თვით ქართველ ერსა. ქართულმა ეკლესიამ ძველადვე შეპრიცხა იგინი წმინდანთა შორის, როგორც „განმანათლებელნი და აღმაშენებელნი ეკლესია-მონასტერთა ქართლისათანი“ (5, 182-183). მოგვიანებით ასურელ მამათა ქართველობის დაცვა განაგრძო კ. კეკელიძემ, რომელიც ძირითადად დ. ბაქრაძისეულ არგუმენტებს იმეორებს და ასკვნის, რომ „ეს მოღვაწენი არ ყოფილან ნამდვილად სირიელები, არამედ ქართველები“ და მათ სირიაში ცხოვრება-მოღვაწეობას ხსნის „იმ კულტურული ურთიერთობით, რომელიც არსებობდა V-VI საუკუნეებში ქართლსა და აღმოსავლეთს შორის“ (11, 106). მკვლევარი უფრო შორსაც მიდის. იოანე ზედაზნელის „ცხოვრებაში“ არსებული ცნობა მისი მოწაფეების სხვადასხვა მხარეში გაფანტვის შესახებ — „რომელნიმე კახეთით და რომელნიმე კუხეთით და სხუანი ზენა სოფლით“ — უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ისინი სამოღვაწეოდ „უკვე ნაცნობ ადგილებს ირჩევენ“, რაც მათ „სამშობლო კუთხეებს“ უნდა გულისხმობდეს (იქვე, 104).

ასურელ მამათა შორის ქართველთა არსებობა დასაშვებად მიაჩნია ს. კაკაბაძეს (4, 16), რაშიც მას ეთანხმება ვ. გოილაძეც (6, 199).

ქართულ ისტორიოგრაფიაში საპირისპირო აზრიცაა გამოთქმული: ივ. ჯავახიშვილი „მათ ქართველობის აზრს უსაფუძვლო ჰიპოთეზად“

მიიჩნევს, რადგან წყაროებში საწინააღმდეგო ცნობებია და „მათი ქართველობის დამამტკიცებელ საბუთთაგანს არცერთს დამაჯერებელი ძალა არა აქვს“ (26, 415). ასურელი მოღვაწეები ქართველებად არც ვრ. ფერაძეს მიაჩნია (35, 39-40).

ასურელ მამათა ქართველობის სასარგებლო მტკიცებათა საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს:

1) ასურელი მამების ცხოვრებათა მიხედვით, ცნობა ქართლში შემოსვლისთანავე ქართულად აღაპარაკების შესახებ ეხება მხო-



ანბონ მარტყოველი

„... რომელმან მოუძღვანე ქართველთ ხაგი მაცხოვრსა ჩუენისა იესო ქრისტესა და აღავგენ გულსა მინა მესა ცეცხლი სიყვარულისა და წინამე მისა სდგეხარ ვითა ღამპარი ბრწყინვალედ აღხიებული ...“

ლოდ მათ წინამძღოლს — იოანე ზედაზნულს და არა ყველა მამას. მათ დასახვედრად გამოსულ ქართლის კათალიკოს ევლავიოზისათვის წმ. იოანეს მიერ ქართულად მიგებასაც „ცხოვრების“ ავტორი აღიქვამს, როგორც „ქრისტე ღმერთის საკვირველებათაგანს“ და ამ შემთხვევას ადარებს მოციქულთა ზედა სულიწმიდის გარდამოსვლას, რის შემდეგაც მათ სხვადასხვა ენაზე იწყეს საუბარი.

2) იოანე ზედაზნელის მიერ თავისი მოწაფეების საქადაგებლად გაგზავნამდე ისინი გარკვეულ დროს დაკვირვებულნი იყვნენ ერთად ზედაზნის მთაზე. სავარაუდოა, რომ ამ ხნის მანძილზე მამები სულიერ ამაღლებასთან ერთად ეცნობიან ადგილობრივ მოსახლეობას, მათ ზნე-ჩვეულებებს, სწავლობენ ქართულ ენას, ანუ წინასწარ ემზადებიან მომავალი მოღვაწეობისათვის, რის შემდეგაც წმ. იოანე ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში აგზავნის მათ. ამის თაობაზე შიოს „ცხოვრებაში“ შემორჩენილია კიდევ ცნობა, რომ ნეტარ შიოს „ენა ქართული შუენიერად და მართლად ესწავა პირუელვე ოდეს იყო იოანეს თანა მოძღვრისა თვისისა“, რომელთანაც ზედაზნის მთაზე ოთხი წელი გაუტარებია. „ხოლო ლოცუასა შინა და ფსალმუნებასა ასურებრსა და ბერძნულსა იხმარებდა, რამეთუ ორივე ესე ესწავა ნეტარსა მას“ (19, 237;



მთაწმიდელი

„ვახუშტის მიხედვით ყოველთავე სათხოვნითა, სერგი იგი სამთობისა, ყუაილა შექმნილი და ყოვლისა კეთილისა ძირი“.

შდრ. 35, 39-40). კ. კეკელიძეს დაუჯერებლად მიაჩნია შიოს ქართული იოანესაგან ესწავლოს — თუ ეს უკანასკნელი ასური იყო, ერთმანეთში სასაუბროდ ასურულს გამოიყენებდნენო. მეორეს მხრივ, გაუგებრად მიაჩნია — თუ შიო თავად ასური იყო, მშობლიურ ენას რაღა შეხსწავლა უნდოდაო (11, 104). ეს გაუგებრობა, ვფიქრობთ, ამგვარად აიხსნება: კონტექსტიდან ჩანს, რომ თუ პირველ შემთხვევაში „ესწავა“ ეხება „ენა ქართულს“, მეორეში — „ორივე ესე ესწავა“ (ასურული და ბერძნული) მხოლოდ — ლოცვასა და ფსალმუნებას. ე. ი. წმ. შიო ლოცვასა და ფსალმუნთა კითხვას ასურულ და ბერძნულ ენებზე ყოფილა შეჩვეული და ქართლის შესწავლის შემდეგაც ლიტურგიაში ძველებურად იმავე ენებს იმველიებდა.

3) ასურულ მამათა სამეტყველო ენასთან დაკავშირებით მათი „ცხოვრებებიდან“ კიდევ ორი შემთხვევაა საყურადღებო: I დავით გარეჯელი სომხურად პასუხობს გარეჯის მიდამოებში მონადირე დიდებულს — ბუბაქარს (19, 277). „ცხოვრებიდან“ არ ჩანს, რა ენაზე ეკითხება ბუბაქარი დავითს ვინაობას. ხაზგასმულია მხოლოდ, რომ დავითი სომხურად პასუხობს მას. ეს გვაფიქრებინებს, რომ პასუხი იმავე ენაზე არ გაცემულა, რომელზეც დაისვა შეკითხვა. ბუბაქარმა წმ. დავითს ალბათ ქართულად მიმართა. სხვა შემთხვევაში გაუგებარი ხდება ხაზგასმა დავითის მიერ სომხურად მიგების თაობაზე. ასეთ ვითარებაში კი დავითის სომხური პასუხი ქართულში მის სუსტ განსწავლულობაზე მიუთითებს (კ. კეკელიძის მიხედვით, დავითი სომხურად ლაპარაკობს „ალბათ იმიტომ, რომ დავითი ძველდროს იყო გარეჯის მიდამოებისა, სადაც სომხურ მოსახლეობასთან სიახლოვის ან აღრეულობის გამო ადგილობრივმა ქართველებმა სომხური ენაც იცოდნენ“ — 11, 104; მ. ბროსეს აზრით, „დავითმა ბუბაქარს სომხურად მიმართა, რადგან იგი სომეხ ერეტიკოსად ჩათვალა“ — 34, 129).

II. სხვა მამათაგანი — ანტონ მარტყოფელი ასევე სანადიროდ წამოსულ „მახლობელი დაბის მთავრის“ შეკითხვას მისი ვინაობის შესახებ საერთოდ ვერ იგებს და ხელით ცდილობს რაიმეს მიხვედრებას. პირველი შემთხვევის მსგავსად, აქაც სავარაუდოა, რომ დაბის მთავარი წმ. ანტონს ქართულად მიმართავდა (საინტერესოა, რომ მჭედელს, რომელთანაც ხელის მოსაკვეთად აგზავნის მთავარი ანტონს, ეს უკანასკნელი მას სიტყვით მიმართავს, ხოლო მთავარს ამის მერეც ფესტებით ახვედრებს — 19, 295).

4) რაც შეეხება საქართველოს ეკლესიის მიერ ასურელ მამათა წმინდანებად შერაცხვას, ეს მათი ქართველობის დამადასტურებელ საბუთად არ გამოდგება. ქრისტიანული ეკლესია ამა თუ იმ მოღვაწის (წამებულის) წმინდანთა რიცხვში შეტანის საკითხს წყვეტდა მათი ღვთისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებისა და თავდადების შესაბამისად. რაუდენ პირველმოწამის, შუშანიკის, ევსტათი მცხეთელის, აბო ტფილელის არაქართველობას ხელი არ შეუშლია ქართული ეკლესიისათვის, მათი სახელებით ეროვნულ წმინდანთა პირველი რიგები შეეკსო.

5) ასურელ მამათაგან შიოს „ცხოვრება“ ერთადერთია, სადაც შემორჩენილია ცნობები მოღვაწის საერო ბიოგრაფიიდან. ამ მწირი ცნობებიდანაც ვგებულობთ, რომ შიო დაბადებულია ასურეთის დედაქალაქ ანტიოქიაში, წარჩინებული გვარის ღვთისმოსავ ოჯახში და ოცი წლისა დაემოწაფა იოანეს (19, 220-221). დავით გარეჯელის წარმომავლობის თაობაზეც მისსავე „ცხოვრებაში“ ორიოდე სიტყვით აღნიშნულია, რომ „გამომღებელი ვიდრე — მე მამული ამის ღირსისა და საკვრულმოქმედი მამისა, შუამდინარე ღვთისა ასურეთისა იყოფების“ (19, 266) და რომ „ნეტარი იოანე თანამონათესავე იყო მამულით ღირსისა დავითისი, ვითარ შუამდინარით ასურეთისად“ (19, 267). ასევე

ყველა მამის დაბადება და ყრობა მათთავე „ცხოვრებაში“ ნაგულისხმევია უცხოეთში — შორეულ ასურეთში. „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ კი მითითებულია, რომ „ესე ნეტარი იოვანე იყო ქვეყანით შუამდინარით“. სხვა რედაქციაში კი „ესე ზუსტებულია — „კერძოთაგან ქრისტიანთათა“ (22, 196. ხაზი ყველგან ჩვენია — დ. მ.)

6) სამოღვაწეოდ გასულ მუუდაბნოეთ ადგილობრივ მკვიდრთაგან კერავინ შეიცნობს. მათ ყველგან უცხო და სასწაულმოქმედი წმინდანების სახელი აქვთ. პირველი შეხვედრისას ყოველთვის ვინაობას ეკითხებიან: დავით გარეჯელს — ბუბაქარი, შიოს — ევაგრე, ანტონს — „მახლობელა დაბის მთავარი“. წმ. შიო მისი ვინაობით დაინტერესებულ ევაგრეს პირდაპირ მიუთითებს თავის უცხოელობას: „კაცი ვარ უცხოი და ქრისტეს მოსავი“ (23, 219). ასე არ მოხდებოდა, ასურელი მამები ნაცნობ, მშობლიურ ადგილებს რომ დაბრუნებოდნენ.

როგორც დავრწმუნდით, წყაროები ასურელი მამების არაქართველობაზე მეტყველებს. მათივე „ცხოვრებათა“ მონაცემები ამ წმ. მამათა სირიელობას („ასურელობას“) ამტკიცებს. სწორედ მათ სირიელობას აღნიშნავს ამ სასულიერო მოღვაწეთა კრებითი სახელიც — „ასურელი მამები“.

### ასურელ მამათა სახელები და რაოდენობა

ასურელ მამათა „ცხოვრებებში“ შემონახულია ამ მოღვაწეთა სახელობითი ჩამონათვალიც. ის მოღვაწეულია ორი ნუსხით. ერთი დართული აქვს იოანე ზედაზნელის „ცხოვრებას“, მეორე კი დაცულია შიოს „ცხოვრებაში“. ქვემოთ მოგვყავს ორივე ნუსხა:

„სახელებს წმინდათა მოწაფეთა იოანე ზედაზნელისათა:

„ანგელოზმან ... მთადეა ხელთა შინა იოანესთა ათორმეტი მამათა სახელი ... :

1. დავით გარეჯელი
2. სტეფანე ქსიოყელი
3. იოსებ ალავერდელი
4. ზენონ იყალიოელი
5. ანტონ მარტყოფელი
6. ისე წიღებელი
7. თათა სტეფანწმინდელი
8. ელია დიაკონი
9. შიო მღვდელი
10. ისაიდორე სამთაქელი
11. მიქაელ უღუბნოელი
12. პაროს ბრუელი
13. აბიბოს ნეკრესელი“

1. შიო
2. დავით
3. იოსებ
4. ანტონი
5. თეოდოსიოს
6. თათა
7. პაროს
8. ელია
9. პაძენ
10. ნათინ
11. აბიბოს
12. იოანე“

(11, 87-88).

(19, 224).



იოსებ ალავერდელი

„ერნი ახლნა მწავლათა მოძღვრებითა, აბბა მამამან, იოსებ დიდ მშათობმან.“

სხვაობა ნუსხათა შორის აშკარაა. სწორედ ეს განსხვავება იქცა გაურკვეველობის მიზეზად ასურულ მამათა რაოდენობისა და სახელების საკითხში და ზოგიერთ მკვლევარს არასწორი დასკვნებისაკენ უბიძგა.

ამ პრობლემას შეეხო კ. კეკელიძე. მისი აზრით, ამ ორ ნუსხას „საერთო აქვთ შემდეგი რვა სახელი: შიო, დავით, ანტონი, იოსები, თათა, პიროს, ელია, აბიბოს. პირველი ნუსხა (შიოს „ცხოვრებიდან“ — დ. მ.) ამათ გარდა გვაძლევს ოთხ სახელს, რომელიც მეორემ არ იცის: თეოდოსიოს, პიმენ, ნათან, იოანე; ხოლო მეორე ნუსხა იძლევა ზუთ სახელს, რომელთაც პირველ ნუსხაში ვერ ვპოულობთ: სტეფანე, ზენონ, ისე, ისიდორე, მიქაელ. ამნაირად, თუ ყველა ამათ იოანეს მოწაფეებად ჩავთვლით, გამოდის, რომ მას მოჰყოლია ჩვენში არა 12, არამედ 17 (8+4+5) მოწაფე ...“ (11, 88).

როგორც ვხედავთ, მუცნიურმა არცერთი სია ცალკე აღებული არ ჩათვალა სრულად და მათი შეჯერების საფუძველზე იოანე ზედაზნელის თანმხლებად 17 მამა მიიღო. მაგრამ ქართული წყაროები ჩვეულებრივ ასახელებენ „ათსამეტ ასურულ მამას“ ან „იოანე ზედაზნელსა და ათორმეტ მოწაფეთ მისთანა“.

იმის გასარკვევად, რამდენად ნათელ სურათს გვიქმნის ქართული საეკლესიო და საისტორიო ტრადიცია, უნდა დადგინდეს, რამდენად სწორად ასახავს ზემოხსენებული ნუსხები ასურულ მამათა სახელებს და გაირკვეს, ორი განსხვავებული სიის არსებობა სახელთა რაიმე აღრევით ხომ არაა განპირობებული (ვრ. ფერაძე შენიშნავდა, რომ სახელების რაოდენობის გაზრდა 13-დან 17-მდე შესაძლოა სახელების სხვადასხვა, ქართული და სირიული ფორმების აღრევით ყოფილიყო გამოწვეული — 35, 3).

ორივე სიაში დასახელებულ პიროვნებათაგან უმეტესობას (იოანე ზედაზნელს ელია დიაკონითურთ, დავით გარეჯელს, აბიბოს ნეკრესელს, ანტონ მარტყოფელს) ცალკე აგიოგრაფიული თხზულებები აქვთ მიძღვნილი. ხელთ გვაქვს აგრეთვე სვინაქსარული თხრობა იოსებ ალავერდელის „ცხოვრებისა“. ასე რომ, ორივე სიისათვის საერთო სახელებთან დაკავშირებით სადავო არაფერი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება ასურულ მამათა მხოლოდ თითო ნუსხაში აღნიშნულ სახელებს, როგორც

ვნახეთ, ასეთი სულ ცხრაა (ოთხი პირველში, ხუთი მეორეში). იოანე ზედაზნელის „ცხოვრების“ ნუსხაში დაუიქორებულ სახელთაგან უკლებლივ ყველა მათგანს ვხვდებით ასურული მამების „ცხოვრებათა“ ტექსტებში. უფრო მეტიც, ვინაიდან იოანის — ისე წილკნელის შესახებ თხრობას მოიცავს თავად შიო მღვიმელის „ცხოვრება“. ასე რომ, შიო მღვიმელის „ცხოვრების“ შემდგენელს არ შეიძლება არ სცოდნოდა იმ მოღვაწის შესახებ, რომელზეც მოგვითხრობს. საფიქრებელია, რომ აგიოგრაფს ასურულ მამათა ჩამონათვალში წმ. ისე უბრალოდ გამოჩნა. ისე წილკნელი ნახსენებია აგრეთვე აბიბოსის „წამებაში“.

იოანეს „ცხოვრებას“ დართულ ასურულ მამათა ჩამონათვალთან დარჩა შემდეგი სახელები (რომლებიც ვერ მოხვდნენ შიო მღვიმელის „ცხოვრების“ ნუსხაში) — სტეფანე ქისიყელი, ზენონ იყალთოელი, ისიდორე სამთავნელი და მიქაელ ულუმბოელი. ესენი კი ის მაძინი არიან, რომელთა შესახებ ცალკე თხრობა მოგვეპოვება თადგოს სტეფანწმინდელთან და პიროს ბრეთელთან ერთად (19, 301). გარდა ამისა, როცა იოანე ზედაზნელის „ცხოვრებაში“ წმ. იოანეს მოწაფეების სხვადასხვა მხარეში გაფანტვაზეა საუბარი, ნათქვამია: „ხოლო ეზდერიოს დაემკვიდრა ჭალაკსა სამთავისისასა“ (22, 207). ეჭვგარეშეა, რომ „ისიდორე“ და „ეზდერიოსი“ ერთი და იგივე სახელის სხვადასხვა ბრუნვითაა ფორმისგან (პირველი ბერძნულის წოდებითისგან, ხოლო მეორე — სახელობითისგან) წარმოდგება (ისიდორესა და ეზდერიოსის იგივეობაზე მიუთითებენ კ. კეკელიძე — 11, 87 და მ. ბროსე, ოღონდ ამ უკანასკნელმა ისიდორე-ეზდერიოსი შეცდომით თეოდოსიოსსაც დაუკავშირა — 34, 127). იგივე შეიძლება ითქვას „თათასა“ და „თადეოსის“ შესახებაც (ამ სახელთა ურთიერთმიმართებას ყურადღება მიაქცია ვრ. ფერაძემაც. იგი წერდა, რომ „თადეოზი არაა სირიული სახელი“ და შესაძლებლად ჩათვალა მის მაგივრად „თათა“-ს მიღება სირიული სახელიდან „ადაი“ — 35, 3). ამ მამათა შესახებ თხრობაში ასეთი აღნიშვნაც გვხვდება — „წმ. თადეოსი ანუ თათე“ (19, 301).

შიოს „ცხოვრებაში“ ჩამოთვლილი განსხვავებული სახელები (თეოდოსიოს, პიმენ, ნათან და იოანე) სხვაგან არ გვხვდება —

არც ასურულ მამათა „ცხოვრებათა“ ნუსხებში, არც მატეანეებში. ეს გარემოება ასეთი სახელების მქონე ასურულ მოღვაწეთა არსებობას საეჭვოს ხდის. ამ სახელთა ზემოხსენებულ ჩამონათვალში მოხვედრის თაობაზე მხოლოდ ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება. კერძოდ, ჩათვალა რა ავტორმა თათა და თადეოსი სხვადასხვა პიროვნებებად, სახელის ორივე ფორმა შეიტანა აღნიშნულ სიაში. ამასთან, თადეოსი შეცდომით მსგავსი კლერადობის სახელით — „თეოდოსიოს“-ით დააფიქსირა. ასევე არაა გამორიცხული, რომ „პიმენი“ ასურულ მამათა „ცხოვრებებიდან“ ცნობილ პიროს ბრუთელის სახელის ვარიანტს წარმოადგენდეს. ამგვარად უნდა აღმოჩენილიყო ნუსხაში ერთად „თეოდოსიოსი“ და „თათა“, „პიროსი“ და „პიმენი“. ეს ნუსხა რომ არ არის სრულყოფილი, ამაზე მეტყველებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისე წილკნელის სახელის გამოტოვებაც, რომელსაც ავტორი, უმეტესწილად, შესანიშნავად იცნობდა. გარდა ამისა, იოანე ზედაზნელის მოწაფეთა რიცხვი თორმეტამდე რომ შეეკისო, როგორც ამას საეკლესიო გადმოცემა მოითხოვდა, ჩამონათვალის ბოლოში დამატებით გაიძეორა მათი მოძღვრის სახელი „იოანე“. შეიძლება აგრეთვე ეს სახელი ასურულ მამათა რიგში მოგვიანებით მოხვედრილიყო ამავე მეტაფორასტული „ცხოვრების“ დასათაურების ზეგავლენით, სადაც აღნიშნულია, რომ „ცხოვრება“ „ესე აღწერა ღირსმან მარტვირი პირუელ, რომელსა ეწოდა იოანე, რომელი იყო მოწაფეთაგანი წმიდისა იოანესთა კონსტანტინეპოლით“ (19, 219), რაც შეეხება სახელს „ნათან“, ძნელი სათქმელია, რა გზით აღმოჩნდა იგი ამ სიაში.

ასურულ მამათა სახელობითი ჩამონათვალი მოგვეპოვება ვახუშტი ბატონიშვილთან (8, 117), აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხებში, ჩანართის სახით (27, 208). ორივე ჩამონათვალი მთლიანად დაწყარებულია სწორედ იოანე ზედაზნელის „ცხოვრებას“ დართულ სიაზე და მამათა პიროვნული სახელების მხრივ არავითარი სხვაობა არ შეიმჩნევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თანმიმდევრობას. ამასთან, წმ. სტეფანე ვახუშტისთან ხირსულადაა წოდებული, რაც აიხსნება ამ მამის სამოღვაწეო ადგილ ხირსას ქიზიყში მღებარეობით. ქართულმა საისტორიო ტრადიციამ, ჩანს, იმთა-

ვითვე საეჭვოდ მიიჩნია შიოს „ცხოვრებისეული“ სია და სავსებით საქართველიანად წყაროდ მეორე, უფრო სანდო ნუსხა გამოიყენა.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია იოანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა „ხსენების დღეს აღნიშნავს“ 7 მაისს (ძვ. სტ.) და აქაც საეკლესიო ტრადიცია ისევე ამ ზემოხსენებულ ნუსხას ემყარება. ქართული ეკლესია წმინდანებად შერაცხულ ასურულ მამათა შორის არ იცნობს წმინდა მამებს — თეოდოსიოსს, პიმენს, ნათანსა და იოანეს (ზედაზნელის გარდა).

ამასთანავე, იოანე ზედაზნელის ცხოვრებას დართულ ნუსხაში, მეორისაგან განსხვავებით, მითითებულია ყოველი ასურული მამის ზედწოდებაც (მათი სამოღვაწეო ადგილის სახელწოდებისდა მიხედვით შერქმეული), რაც ამ ნუსხას უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს.

ორიოდე სიტყვით მივუბრუნდეთ ასურული მამების რაოდენობის საკითხს. მ. ბროსემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ წყაროებში ძირითადად თოთხმეტი მათგანია დასახელებული — „სწორედ ამდენნი იყვნენ მათი წინამძღვრისა და დიაკონ ელიას ჩათვლით“ და არა ცამეტი, როგორც ჩვეულებრივ მიუთითებენ (34, 127), ზოლო ელია



აბოზის ნაპრაქალი  
„მღელთა მოძღვარი მადლისა,  
შეამღვიმელი ღმრთისა და კაცთა ...“



არ ჩანს, თუ რატომ არაა ჩართული ძმობის რიცხვში (28, № 24).


მაგრამ ელია დიაკონი არის ძმობის რიცხვში, რაზეც მეტყველებს მისი სახელის დაფიქსირება ყველა ნუსხაში ასურელ მამათა შორის. ოღონდ მათგან განსხვავებით, ვინაიდან არ ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული დამსახურება (ელიას ჩვენში არ დაუწყია დამოუკიდებელი მოღვაწეობა, დანარჩენ ასურელ მამათა დარად არ გვევლინება რომელიმე სამონასტრო ცენტრის ფუძემდებლად, იგი ქართლში მოსვლის დღიდან თავის მოძ-

ღვარს ახლდა ზედაზნის მოაზრე), ქართული ეკლესია წმინდანებად შერაცხულ ასურელ მამათა შორის ელიას არ იხსენიებს. აქედან მივიღეთ „იოანე ზედაზნელი და ძიხი ათორმეტი მოწაფე“. მეორეს მხრივ, წმ. იოანე მართლაც 12 მოწაფით ერთმანეთს ქართლს — ანტონ მარტყოფელს წამოჰყვანა ქართლს — ანტონ მარტყოფელს წამოჰყვანა ქართლს გვიან მოემგზავრება.

**დავით მარკვილაძე**  
 ოსუ საქართველოს ისტორიის  
 კათედრის ასპირანტი

ლიტერატურა

1. ზაზა ალექსიძე. მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის. ჟურნ. „მაცნე“. ისტორიის, ... სერია. № 3. 1973.
2. ზაზა ალექსიძე. რელიგიური სიტუაციისათვის VI ს-ის კავკასიაში. ჟურნ. „მაცნე“. ისტორიის, ... სერია. № 1. 1974.
3. არსენ საფარული. განყოფილისათვის ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო ზ. ალექსიძემ. თბ. 1980.
4. ასურელ მამათა ცხოვრებათა არქტიპები. გამოსცა სარგის კაკაბაძემ. ტფ. 1928.
5. დიმიტრი ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი. ტფ. 1889.
6. ვახტანგ გვილაძე. საიდან და როდის მოვიდნენ სარიელი მამები საქართველოში. ჟურნ. „მნათობი“. № 5-6. 1992.
7. ვახტანგ გვილაძე. ფარნაკოზანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია. თბ. 1990.
8. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973.
9. თეოფანე კამთაალმწერელი. ქრონოგრაფი. წგნ.: გეორგია. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. IV. ნაკვ. 1. ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1941.
10. იოანე მალალა. წგნ.: გეორგია. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. III. ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1936.
11. კორნელი კეკელიძე. საკითხი ხირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. VI. 1926.
12. გიორგი მამულია. ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში. თბ. 1992.
13. მარტყოფა და მოთმინება ეესტათი მცხეთლისა. წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963.
14. მოქალაქობა და წამება აბბოსის ნეკრესელ ეპისკოპოსისა. წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული... I.
15. მოქალაქობა ქართლისა. წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული... I.
16. ევსევი ნიკოლაძე. საქართველოს ეკლესიის ისტორია. ქუთაისი. 1918.
17. პროკოპი კესარიელი. De Bello Percio. წგნ.: გეორგია. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. II. ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1965.
18. თედო ჟორდანი. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. I. ტფ. 1892.
19. მიხეილ საბინინი. საქართველოს საძოთზე პეტერბ. 1882.
20. სიმონ ყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955.
21. ცხოვრება და მოქალაქობა დავით გარეჯელისა. წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული... I.
22. ცხოვრება და მოქალაქობა იოანე ზედაზნელისა. წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული... I.
23. ცხოვრება და მოქალაქობა ილია და ევგენი. წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული... I.
24. ცხოვრება სვიმონ მესხეციხისა. წგნ.: ქართული აგიოგრაფიული ძეგლები. I. კ. კეკელიძის რედაქციით. ტფ. 1918.
25. ხსენება ღირსი მამის სვიმონ მესხეციხისა. თვენი. II. თბ. 1983(4).
26. იოანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I. თბ. 1979.
27. ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. I.
28. Броссе М. О некоторых недостатках грузинской хронологии. газ. "Кавказ". № 24-25. 1850.
29. Джавахон Ив. История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века. СПб. 1908.
30. Иоселиани П. Краткая история грузинской церкви. СПб. 1843.
31. Иоселиани П. Мардиконский монастырь в Грузии. газ. "Закавказский вестник". № 3 (არაოფიციალური ნაწილი). 1845.
32. Иоселиани П. Шио-მგვიმესკая Пустыня. газ. "Закавказский вестник". № 13. 1845.
33. Сабинин Г. История Грузинской церкви до конца VI века. СПб. 1877.
34. Brosset M. Addition et éclaircissements. St.P. 1851.
35. Peradze G. Die Anfänge des Mönchtums in Georgien. Gotha. 1927.



**მედაძენი** (წმ. იოანე ხათლისმცემელი)


„... და აღვიდა მთაჲ მას მაღალსა, რომელსა პრეჲჲს მედაძენს, სადა იგი აჲ მონასტერი მისი აღშენებულ არს.“



**ლაშისპირაჲი**

(ლავერა, უერისხევალება)


„ხოლო ესე წმიდაჲ მამაჲ სვეტი დავით წარვიდა უღაბნიობა და ურწყულთა სჯალთაჲსა თჳსისა, რაჲთა წჳით ერითთა ჳართთა მოძღორის საკურსოჲ იგი და წარუვადლი შეყბაჲ და განსვენებაჲ. ამისთჳსჳა აღსრნია აჲ სჯაჲ ვარეჲჲს უღაბნიობა მისა. ამისთჳს ეწოდებეს უღაბნიობა მას ვარესჯაჲ.“



**ჴაურჴანი**

(წმ. იოანე ხათლისმცემელი)

„ხოლო ხეგარმან ამან მამამას სვეტმან მით მღჳმესა მას მისა პოვო ჳეცხია იგი მარჯდლივი და მრავალნი სულნი შეწირნა ქრისტესა, რამეთუ ურთად შეკრიბნა მონაძონნი და მაღლითა მისითა აჲმომღჳჳა ხვესე არიან ყოვლითა კეთილთა ...“



**მძრჴუჴი**

(მაცხოვრის ხელთჳქმნიელი ხატი)

„აჲ დაადჳრა ი ვ მამათაგანი ანგონი და პით მონასტრად ესე, ხოლო თჳთ მიყარულ განმორებით ქუბნა მისა მიყოლიდა მარგოლ, და მით ეწოდა აღვილხა ამან მარგომყოფი და აჲ მარგყოფი.“



**ხმძრჴი**


(ღვთისმშობლის მიძინება)

„კეთილკომმან - წარაუღინა ამოდის საყდარსა ჳედა ხეკრესახა.“




**წილკენი**  
(ღვთისმშობელი)

„და წილკენი იყო წილკენს  
ეძისკობის თქმა და აქამოდღე  
მანს სამართლი მის სეგარისა.“




**ოჯალონი**  
(ფერიყვალეობის ეკლესია „ღვთაუბა“)

„წმ. ზეონ, შემდეგ მოციქულეებრივისა  
მოღვაწეობისა მათა მისა ზემო  
კახეთისა ალაშენა მონასტერი თუხა  
ოჯალონი, ეკლესიითურთ, რომელსა  
მისა დაიდგა მრავალ მოღვაწე გუამი  
მისი - ხაზე სისწავლითა.“



**კაკეტი**  
(წმ. ვაჟისა)

„ამისა სეგარისა თუხისე მოწავე-  
თავისმან ალაშენა ალავერდი,  
რომლისაგან გამოიღეს დიხა  
საკურეველებსა, ვიდრე დღესდღეოდ  
დღემდე.“



**სამთხე**  
(მაცხოვრის ხელთქმული ხატი)

„წმ. სიღორე, შემდეგ მრავლისა  
მოღვაწეობისა, ალაშენა მონასტერი თუხა  
ქართლს, მთახლო სოფლისა ქალისა,  
ეკლესიითურთ ხატისა მის  
ხელთქმულისა უფლისა სეგისა თუხი  
ქრისტესისა. ურთად მშენებრება მის  
ეკლესიისა განაკურევენს ყოველსა ...“




ბრძოში  
(წმ. გიორგი)

„წმ. მამა პაროს შემდეგ ქადაგებია, დასკო  
ზემო ქართლს, ღვანის წყალსა ზედა და  
აღაშენა ზუზ მონასტერი თუხა, მოახლო  
ბრძოთსა სოფელსა ...“




ხირვანა  
(წმ. სვეტიცხე)

„წმ. და სვეტიცხე სვეტიცხე, შემდეგ მრავლობა  
მოღვაწეობსა ქუეში კახეთს აღაშენა  
მონასტერი თუხა ხირვანს სოფელს მოახლო,  
სახელსა ზედა წმ. სვეტიცხეა, - რომელსა  
მამა დაიდუა წმ. ვჰამი მამა, - სიხე  
სახეწაულთა და სიძეობა.“



ქრძნისი  
(წმ. სვეტიცხე)

„[თადეოშ] - აღადო წმ. ჯუარია და  
სახარება და მოულო ქადაგებოთა მოთსა  
სახარებნა, სადაცა აღაშენა მრავალნი  
ეკლესიასნი, რომელთა მამა სახითა მათთა  
მამა არს ეკლესია წმ. სვეტიცხეა,  
ქადაგება - ურძნისა.“



ულუმბი  
(ღვთისმშობელი)

„წმ. მამა მხაბულ დაქდინებელი ზუმაკი და  
დიდებულა მოღვაწე ყანობა ქრისტეობა,  
შემდეგ ვახტანგობსა, წარულო მთა ზემო  
ქართლისა და ცხეთისა - აღაშენა  
მონასტერი თუხა მოახლო ულუმბობსა  
აღოს წყალსა ზედა ...“

## X საუკუნის ორი წარწერა ბოდბისხევის ეკლესიიდან



ქართული

სოფელი ბოდბისხევი მდებარეობს კახეთში, სიღნაღის რაიონში, ისტორიულ ქიზიყში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე. სოფლის სახელწოდება მის გეოგრაფიულ თავისებურებაზე მიგვითითებს. იგი გაშენებულია მცირე ხეობაში, ისტორიული დასახლების — ბოდბის (ძვ. ბოდა, ბოდინი) მახლობლად. „ხორნაბუჯის დასავლით არს ბოდბის კევი, პირველ წოდებულია ბოდა, გამოძინარე ცივის მოისა; მოდის ჩდილოდამ სამკრით და ვერ მდინარებს ველსა ზედა სიმცირით“ — წერს ვახუშტი ბატონიშვილი (I, 541-542).

კახეთის სოფლებისათვის მცირე ეკლესიების სიმრავლეა დამახასიათებელი. ამ მხრივ გამოჩნდის არც ბოდბისხევი წარმოადგენს. სოფელში 7 ეკლესია შემორჩა: ღვთისმშობლის, წმ. ნიკოლოზის, წმ. ბარბარეს, ღვთისმშობლის მიძინების, ამაღლების, წმ. კვირიკეს, ფერისცვალების. აქედან პირველი სამი ეკლესია ერთ შენობაშია მოქცეული. იგი სამეკლესიანი ბაზილიკაა და ცხადია, ადრეულ პერიოდს განეკუთვნება. დანარჩენი ოთხი ძირითადად გვიანი შუა საუკუნეების ეკლესიებია.

ბაზილიკა მცირე გორაკზე დგას და მთელ სოფელს გადმოჰყურებს. აქედან აღაზნის ველის თვალწარმტაცი ხედი იშლება. შუა, ძირითადი ეკლესია ადრე ღვთისმშობლის მიძინების სახელობისა ყოფილა. სოფლის ძირითადი დღესასწაული — მარიამობა სწორედ აქ იმართებოდა. ვინაიდან გორაკზე აღმართული ეკლესია ძნელად მისადგომი იყო, თანაც გორაკის თხემის მცირე ფართობი ბევრ ხალხს ვერ იტევდა, გვიან შუა საუკუნეებში ღვთისმშობლის მიძინების სახელობაზე ქვემოთ, სოფელში აუციათ ახალი, დარბაზული ეკლესია (ძველი ხუროთმოძღვრული ნიშნების მიხედვით დაახლოებით XVII-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება). ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულიც ქვემოთ გადმოუტანიათ. სამეკლესიანი ბაზილიკის შუა ეკლესია კი უბრალოდ ღვთისმშობლის სახელობის გამხდარა.



სამეკლესიანი ბაზილიკა სოფელ ბოდბისხევაში. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ბოდბისხევის მოსახლეობა სამეკლესიან ნაგებობას კრებითი სახელით იხსენიებს — „ღვთისმშობელი“ (შუა, ძირითადი ეკლესიის სახელწოდების გამო). მაგრამ ვინაიდან სოფელში ღვთისმშობლის ორი ეკლესია არსებობს, განსასხვავებლად მას ხანდახან „წმ. ნიკოლოზსაც“ უწოდებენ (ძირითადი შესასვლელიდან პირველი, სამხრეთის ეკლესიის მიხედვით).

როგორც აღვნიშნეთ, „ღვთისმშობელი“ სამეკლესიანი ბაზილიკაა. სამხრეთის ნაეში წმ. ნიკოლოზის ეკლესიაა, შუაში ღვთისმშობლისა, ჩრდილოეთ ნაეში კი — წმ. ბარბარესი. ამჟამად ნაგებობას ორი კარი აქვს (სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან). აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე სამსამი სარკმელია დატანებული, ე. ი. თითო ეკლესიას ორ-ორი სარკმელი აქვს. ორი მათგანი, შუა ეკლესიისა, გაცილებით დიდია გვერდითა ეკლესიების სარკმლებზე, თანაც უფრო ძაღლაა მიწის ზედაპირიდან. შუა ნავს სამხრეთისაკენ მცირე ზომის ნიშის-მაგვარი სამრეკლო ადვას.


გარედან იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამივე ეკლესია ცალ-ცალკეა ნაგები და უბრალოდ მიდგმულია ერთმანეთს, მაგრამ ინტერიერში ნათლად ჩანს, რომ ნაეების გადაბმა შიდა კონსტრუქციების საშუალებით ხდება.

ნაეებს აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდები აქვს. გვერდითა ეკლესიების საკუროთხვევლები არ არის გამოყოფილი ტაძრის სივრცისგან, შუა საკუროთხვევლს კი გვიანდელი (XIX-XX სს.), მართკუთხა აგურით ნაშენი კანკელი ჰყოფს. კანკელი შელესილია, აქვს ორი კარი და ოთხი ნიში. გვერდითა საკუროთხვევლებისაგან განსხვავებით, შუა საკუროთხვევლი ამალღებულია იატაკის დონიდან. კანკელის წინ არის ამბიონიც. იატაკზე კვადრატული აგურია დაგებული, რომელიც ზოგან (მაგალითად, წმ. ბარბარეს ეკლესიაში) აყრილია. ინტერიერში, ღვთისმშობლის ეკლესიაში, ორი უწარწერო საფლაკის ქვაა, რომლის ნაწილსაც ამბიონი ფარავს. ძველი საფლაკის ქვები უხვად არის ეკლესიის გარშემო. ადრე აქ სასაფლაო ყოფილა. ახლა გადატანილია ქვემოთ, მიძინების ეკლესიასთან.

შუა ნავს ჩრდილოეთის ნავთან ერთი კარი აკავშირებს, სამხრეთის ნავთან კი ერთი კარი და ერთი თალი. ეს თალი გვიან არის გაჭრილი და ამიტომ არ არის დატანილი წარმოდგენილ გეგმაზე.

ბაზილიკის კედლებში, სულ მცირე, 4 სამშენებლო ფენა მაინც განირჩევა. ტაძარი ნაგებია რიყის ქვით, გამოყენებულია აგრეთვე აგური (უმათერესად გვიანდელ ფენებში) და შირიმის ქვის გათლილი კვადრები (ძირითადად ღვთისმშობლის ეკლესიის კუთხეებში). უკანასკნელ ფენას უხეშად და ტლანქად რესტავრირებული ადგილები წარმოადგენს. ეკლესია გადახურულია ახალი კრამიტით. ახალი აგრეთვე შიდა და გარე შელესილობაც. სამხრეთ ფასადთან რაღაც ძველი კედლის ნაშთია. ეკლესიის მახლობლად, აღმოსავლეთით, გვიანდელი შენობის ნანგრევებია.

\*სოფელში არსებული გადმოცემით, ძველი XII საუკუნეს განეკუთვნება. მოუხედავად იმისა, რომ ტაძრის დათვალიერებისას ძირითადად ახალი ფენები გვხვდება თვალში, შეიძლება ითქვას, რომ პირვანდელი ეკლესია აშკარად ადრეულ პერიოდშია აგებული. ამის მტკიცების საფუძველს იძლევა ტაძრის გეგმა. აქ ნათლად ჩანს, რომ ნაგებობა საქართველოში ადრე შუა საუკუნეებში გავრცელებულ სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპს განეკუთვნება. ხელოვნებათმცოდნე თამაზ დვალის აზრით, გეგმის მიხედვით თუ კომპლექსურად, პირვანდელი ეკლესია დაახლოებით VII-X საუკუნეებში უნდა იყოს აგებული, რადგან ამ



ბოდბისხევის ბაზილიკა.  
გეგმა თამაზ დვალის მიხედვით.

ტიპის ტაძრები კახეთის რეგიონში სწორედ აღნიშნულ პერიოდშია გაკრცვლებული. ამგვარ დათარიღებას, როგორც დაინახავთ, მხარს უჭერს ეკლესიის კედლებზე შემორჩენილი ორი წარწერაც.

წარწერიანი ქვის ფილები ჩასმულია აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებში. შუა, დეთისმშობლის ეკლესიის სარკმლებს ზემოთ. ფილები ერთმანეთს მსგავსია ორივე მათგანის შუაში რელიეფური ჯვარია გამოსახული. ამგვარაა, რომ ფილები წარ არის კედლების თანადროული. ამას მოწმობს თუხდაც ის გარემოება, რომ წინააღმდეგობა წარწერის მხოლოდ ფრაგმენტია კედელში ჩაშენებული, მეორე ნაწილი კი ბუნებრივად მოგორც ჩანს. წარწერიანი ფილები პირველადი ტაძრის თანადროულია, მისი დახრევისა თუ საგრძნობი დაზიანების შემდეგ კი, როცა კედლები ხელახლა ამოუყვანიათ, წარწერებიც ჩაურთავთ ფასადებში (აღბათ პირვანდელ ადგილას).

აღნიშნული წარწერებიდან ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას, ძირითადი, რატომღაც გამოჩენილია „კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერებში“, მეორე კი ილუსტრაციისა და დათარიღების გარეშეა წარმოდგენილი (2, 43). აღბათ ამიტომ არ არის შესული არცერთი მათგანი V-X საუკუნეების ქართული ლაპიდარული წარწერების ფუნდამენტურ გამოცემაში – „ქართული წარწერების კორპუსი“ (3).

მოგვყავს აღწერილობა:

## 1

## პეროდეს წარწერა [X ს.]

ნუსხურნარევი ასომთავრული. 3 სტრიქონი. ამოკვეთილია მართკუთხა ფორმის შირიმის ქვის ფილაზე (ზომა: 80 x 37 სმ), რომელიც ჩასმულია აღმოსავლეთ ფასადში, ცენტრალური საკურთხეელის სარკმლის თავზე, მიწის ზედაპირიდან 4,3 მ, ხოლო სარკმლის ბოლოდან 43 სმ სიმაღლეზე. ფილის შუაში წარმოდგენილია რელიეფური ჯვარი (ზომა: 30 x 37 სმ). გამოსახულება ამოწეულია ქვის ზედაპირიდან. მკლავებს შიგნიდან ამოღარული კანტები მიუყვება. მარცხენა მკლავის ბოლო ნაწილი ჩამომტვრეულია. წარწერა მდებარეობს ჯვრის განივ მკლავებს ქვემოთ, ქვედა მკლავის ორივე მხარეს. წარწერა შესრულებულია ორ ხაზზე, მაგრამ შინაარსობრივად სამი სტრიქონი გამოიყოფა. მესამე, პირობით სტრიქონს ქმნის სიტყვა „მისნი“, რომელიც მეორე სტრიქონის ბოლოში აღარ დაეტია წარწერის შემსრულებელს და გადაიტანა თავისუფალ ადგილას – სტრიქონის დასაწყისში, რითაც დაარღვა სიტყვათა თანმიმდევრობა. წარწერა ამოღარულია ღრმა კვეთით, კიდურწერტილოვანი დამწერლობით. მარჯვენა ნაწილი კარგად არის




შემორჩენილი, მარცხენა მხარეს კი ქვის ზედაპირი ატკეპილია, რის გამოც წარწერა დაზიანებულია. დასაწყისში აღბათ დაქარაგმებული „ქრისტე“ (ქრ) იყო წარმოდგენილი. ამ ადგილას თითქოს განიზრევა ქარაგმის ნიშნისა და ე-ს უხეში კონტურები. წარწერის ფართობი (დაზიანებული ნაწილის გარეშე): 60 x 16 სმ. ასოების სიმაღლე: 2,5-7 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი: სწორი, განივი, კიდურწერტილოვანი ხაზი.

წარწერა ქვეყნდება პირველად.

თარიღდება პალეოგრაფიული ნიშნებით: მიდრეკილება განუსხურებისაკენ; სუსხურის შერევა ასომთავრულში; ლ, კ; წერის ოთხხაზოვან ბაღეზე გადასვლა; კიდურწერტილოვნება; განკვეთილობის ნიშნების უქონლობა; კიდურწერტილოვანი, თითქოს ვლაცხილი ქარაგმის ნიშანი; უყვლო დ (ზედა განივი ხაზი წრეზე ზის); ე, ვ, ლ, კ წარმოდგენილია დამატებითი, მარცხნივ გაზიდული განივი ხაზებით.

ქართული  
საბრძოლო

[ქ(რისტ)ე], შ(ეიწყალ)ე პეროდე<sup>1</sup>  
და შ(ი)ლნი  
[შ]ისნი.



<sup>1</sup> საინტერესო ფაქტია, რომ საკუთარი სახელი „პეროდე“ გვხვდება ქართული ეპიგრაფის წარწერაში. აღნიშნული სახელი იუდეველთა მრისხანე მბრძანებელთან – მეფე პეროდესთან ასოცირდება და ამიტომ თითქმის არ არის გაერყელებული ქრისტიანულ სამყაროში. ქართულ ისტორიულ წყაროებში მას სხვაგან ვერსად მოვხვდებით. თუმცა, როგორც ბოდბისხვევის წარწერა მოწმობს, საკუთარი სახელი „პეროდე“ დასტურდება ქართულ სინამდვილეში და ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ იგი სხვა წყაროებშიც იყოს დამოწმებული.

2

წარწერის ფრაგმენტი [X ს.]

ნუსხურნარევი ასომთავრული. 4 სტრიქონი. ამოკვეთილია შირიმის ქვის ფილაზე (ზომა: 25 x 36 სმ), რომელიც ჩასმულია დასავლეთ ფასადში, შუა, ცენტრალური სარკმლის თავზე, მიწის ზედაპირიდან 4,5 მ, ხოლო სარკმლის ბოლოდან 22 სმ სიმაღლეზე. ქვის მარჯვენა ნახევარი დაკარგულია, როგორც ჩანს, იგი თავდაპირველად წარმოადგენდა მართკუთხა ფორმის ფილას, რომლის ცენტრში გამოსახული იყო რელიეფური ჯვარი. ახლა ჯვრისგან მხოლოდ ქვედა და მარცხენა მკლავებია შემორჩენილი. გამოსახულება პირველ წარწერასთან არსებული ჯვრის ანალოგიურია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რელიეფი აქ დადაბლებული ფონიდან არის ამოწეული ქვის სიბრტყის დონეზე. ამის საშუალებას იძლევა ღრმად და განივად ნაკვეთი კანტი, რომელიც რელიეფს მიუყვება გარშემო და ამით ფონს ადაბლებს ჯვრის გარშემო. შემორჩენილი გამოსახულების ზომა: 16 x 21 სმ. წარწერა მდებარეობს ჯვრის მარცხნივ, თუმცა, როგორც შინაარსიდან ჩანს, იგი გამოსახულების ორივე მხარეს უნდა ყოფილიყო შესრულებული. ნაკვეთია ღრმად, კიდურწერტილოვანი დამწერლობით, პირველი წარწერის ანალოგიური ხელით. გარდა იმისა, რომ დაკარგულია წარწერის მეორე ნახევარი, შემორჩენილი ნაწილიც საკმაოდ დაზიანებულია. ზედაპირის ატკეხვის გამო ძნელად იკითხება ასოები: დ, ო, ლ. ბოლო ხაზზე ორი ასო თითქმის აღარ განირჩევა, ჩანს მხოლოდ უხეში კონტურები. ამ აღვილის აღდგენა მხოლოდ ვარაუდით თუ შეიძლება. წარწერის ფართობი (დაკარგული ნაწილის გარეშე): 13 x 23 სმ. ასოების სიმაღლე: 2,5-7,5 სმ. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს.



წარწერა გამოცემულია ერთხელ – „კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები“ (2, 43, № 73). მაგრამ აქ მხოლოდ ლაკონური ინფორმაციაა დაბეჭდილი, ყოველგვარი დათარიღების, ფოტოხურათისა და გრაფიკული მონახაზის გარეშე. ტექსტიც არასწორადაა წაკითხული:



„პუბლიცისტი“  
მკვლელობა

№ 73. დასავლეთის ფასადზე. ჯვართან.

ქვთ...  
სტ...  
„წმიდაი კრიკოლი“

(დ. შერვაშიძის გადმოხაწვრით).“



ქართული  
ენციკლოპედია

წარწერა თარიღდება პალეოგრაფიული ნიშნებით (ამოკვეთილნი წარწერის ანალოგიური ხელით): მიდრეკილება განუსხურებისაკენ; ნუსხურის შერევა ასომთავრულში; ლ; კიდურწერტილოვნება; წ-ს გახსნილი აქვს ორივე რკალი; მ-ს მუცლის შემკვერული ხაზი არ გადადის ვერტიკალური ბუნის მარჯვნივ; გ, ლ წარმოდგენილია დამატებითი, მარცხნივ გაზიდული განივი ხაზებით.

წმ(ი)დ[აო]  
გრ[ივ-]  
ოლ, [...]  
შ(ეიწყალ)ე<sup>1</sup>



<sup>1</sup> ბოლო ორი ასო ძლიერ არის დაზიანებული. მათი ადგილები ატკეჩილია. ამონატეხი ადგილების ფორმის მიხედვით აქ თითქოს შ და ე განიხილვა.

შესაძლებელია ამგვარი წაკითხვა: წმიდაო [ნიკოლოზ] (ან ღვთისმშობელო, ან ბარბარე, ... ), გრიგოლ შეიწყალე ახეთი ვარიანტის სასარგებლოდ უნდა შეტყვევებდეს თითქოს ის გარემოება, რომ ბოდბისხევის ბაზილიკა სამი წმინდანის – ღვთისმშობლის, წმ.ნიკოლოზისა და წმ.ბარბარეს სახელზეა აგებული და უფრო მოსალოდნელია, სწორედ მათდამი ყოფილიყო მიმართვა და არა წმ.კრიკოლისადმი. თუმცა, ვინაიდან წარწერის მარჯვნივ კიდევ დაკარგულია და თანაც, ბოლო სტრიქონი დაზიანებულია, გადაჭრით რომელიმე მოსაზრების მტკიცება ალბათ შეუძლებელია.

დასასრულს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერათა დათარიღება დიდად გვეხმარება ძველის დასათარიღებლადაც. ახლა უკვე შესაძლებელია ხუროთმოძღვრული ნიშნების ანალიზის მიხედვით წარმოდგენილი დათარიღების ვრცელი ქრონოლოგიური მონაკვეთი (VII-X სს.) უფრო დავაზუსტოთ და ვამტკიცოთ, რომ ძველი X საუკუნეშია აგებული. პირველი წარწერის შინაარსი („ქრისტე, შეიწყალე ჰეროდე და შვილნი მისნი“) და მდებარეობა (იგი მოთავსებულია მთავარი ეკლესიის საკურთხევლის სარკმლის თავზე) აშკარად მიგვითითებს, რომ ჰეროდე ტაძრის მამულებელია. ნიშანდობლივია აგრეთვე ის გარემოება, რომ პირველადი ტაძრის დახვეწვის შემდეგ წარწერები არ დაუკარგავთ და გვიანდელ ფენებშიც ჩაურთავთ. შესაძლოა, X საუკუნეში ჰეროდეს ქტიტორობით აგებული ტაძარი არ იყოს პირველადი, იგი მხოლოდ მოზრდილ ფენას შეადგენდეს VII-IX საუკუნეებში აშენებული და X საუკუნისთვის უკვე საკმაოდ დაზიანებული ბაზილიკისა. თუმცა ეს ნაკლებ სავარაუდოებელია.

გუგა კულავა

თსუ საქართველოს ისტორიის  
კათედრის ასპირანტი

ლიტერატურა

<p>1. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა საქაფოსა საქართველოსა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. IV. თბ. 1973.</p> <p>2. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო</p>	<p>თეიმურაზ ბარნაჯიძე. თბ. 1961.</p> <p>3. ქართული წარწერების კორპუსი. I. დაძვინდებული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოხატეხდა მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1980.</p>
--	---

# ბედიელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

ქართული  
ენის ინსტიტუტი



ბედიის ბარძიმა. 999 წ.

ქალაქ ოჩამჩირის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 25 კილომეტრის მანძილზე, სოფელ აგუბეღიაში მდებარეობს ბედიის ტაძარი და მისი ხუროთმოძღვრული კომპლექსი. ბედიის ტაძრის მშენებლობას ისტორიული წყაროები საქართველოს მეფე ბაგრატ III-ს (975-1014) უკავშირებენ. „დიდმან მეფემან (ბაგრატ III-მ – გ. კ.) აღაშენა საყდარი ბედიისა, და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ... შეწირნა სოფელნი ძრავალნი ყოველთა კვეთა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ვკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი“ (15, 281). გარდაცვალების შემდეგ ბაგრატ მეფე ამავე ტაძარში დაუკრძალავთ (იქვე, 283). სამეცნიერო ლიტერატურაში ბედიის ტაძრის აშენების თარიღად 999 წელია მიღებული.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, ბედიის ეპისკოპოსი სამეფო საფლავის მფარველი ყოფილა – „ამიერი ბედიელი მოსაფლავეა [მეფისა]“ (21, 91). ზოგადად ბედიის ეპისკოპოსს იხსენიებს არქანჯელო ლამბერტიც. იგი ჩამოთვლის სამეგრელოს საქარქიო ცენტრებს, მათ შორის ღვთისმშობლის სახელობის ბედიის კათედრასაც და აღნიშნავს, რომ „მისი ეპისკოპოსი იწოდება ბედიელად“ (13, 107). XVII საუკუნის რუსული წყაროების ცნობით, ბედიელი ეპისკოპოსი სამეგრელოში ყველაზე დიდი ეპარქიის მფლობელია (30, 112). გვიან შუა საუკუნეებში ბედიის ეპისკოპოსები მიტროპოლიტებად იხსენიებიან.

პირველი ბედიელი, რომელიც წყაროებში გვხვდება, არის იოსებ. იგი მოიხსენიება ვიორგი მცირის თხზულებაში „ცხოვრება ვიორგი მთაწმიდელისა“. აქედან ვკვებულობთ, რომ 1065 წელს, როცა კონსტანტინოპოლში ჩავიდა მართა უფლისწული (ბაგრატ IV-ის ასული), რათა ცოლად გაჰყვეს იმპერატორ კონსტანტინე X დუკას ვაჟს მიხეილს, მას თან ახლდა დელეგაცია – „ნეტარი ბერი პეტრე პეტრაკ-ყოფილი და იოანე ბედიელი მთავარ-ეპისკოპოსი და სხვებლოზი და სხუაჲ ერი ფრიადი“ (5, 235-236; იხ. აგრ. 12). იოანე ბედიელი სხვა წყაროებით უცნობია, ამიტომ მისი ბედიელობა ზოგადად 1065 წლის ახლო პერიოდით უნდა დავათარილოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იოანეს ჩასვლა მართა დედოფალთან ერთად კონსტანტინოპოლში და სხვებლოზის საეკლესიო წოდების ტარება არამარტო მისი პიროვნების, არამედ იმდროინდელ საქართველოში ბედიის ეპისკოპოსის როლზეც მეტყველებს.

ჩვენთვის ცნობილი შემდეგი ეპისკოპოსი არის სპემონი, დისწული გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა. დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძში იგი ბედიელ-ალავერდელად და მწიგნობართუხუცესად იხსენიება (21). 1124 წლის შემოდგომაზე კი, როცა მეფემ შირვანი აიღო, დავითის ისტორიკოსის ცნობით, „განმგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თვისი სემონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თვისისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი“ (26, 345). 1141 წლის უბისის სვეტის წარწერაში სვიმეონი მხრულად ჭყონდიდელად იხსენიება (2, 12). იბალება კითხვა: სვიმეონი რომელ წლებშია ბედიელ-ალავერდელი? ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა (2, 11-12; 18, 141; 1, 107-108; 4, 75). ჩვენის აზრით, 1118 წელს, გიორგის გარდაცვალების შემდეგ, მწიგნობართუხუცესობა მიიღო ბედიელ-ალავერდელმა სვიმეონმა. როგორც დავინახეთ, ასე ჩანს იგი 1123 წელსაც (დავითის ანდერძი) და 1124 წლის შემოდგომაზეც, როცა მეფემ შირვანი აიღო და „საქმეთა მანდაურთა“ „განმგებელად და ზედამხედველად“ სვიმეონი განაჩინა. იგი შირვანის აღების დროს („მაშინ“) ბედიელ-ალავერდელია, იმ დროს კი, როცა დავითის მემატიანე თხზულებას წერდა (XII საუკუნის 30-იანი წლები), უკვე „ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსია“. როგორც ჩანს, ჭყონდიდელად სვიმეონს დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ, დემეტრე I-ის მეფობის დასაწყისში აქვს მიღებული. რადგან შირვანიდან დაბრუნებული დავითი ორ-სამ თვეში (1125 წლის იანვარში) გარდაიცვალა (4, 75). ჭყონდიდელად კუროხევის შემდეგ სვიმეონს აღმათ ბედიელ-ალავერდელობისათვის თავი უნდა დაენებებინა. მართლაც, უბისის სვეტის 1141 წლის წარწერაში იგი მხოლოდ ჭყონდიდელად იხსენიება. ამრიგად, სვიმეონის ბედიელობა („ბედიელ-ალავერდელობა“) შეიძლება ასე განისაზღვროს: ...1118-1125...

შემდეგი ბედიელი, რომელიც წყაროებში გვხვდება, არის ნიკოლოზი. იგი მოხსენიებულია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის № 100/97 აღაპში, როგორც „ნიკოლოზ აფხაზეთისა კათალიკოსი, ბედიელ ყოფილი“. აღაპი პავლე ინგოროყვას აზრით, ჩაწერილია XIV საუკუნის დასაწყისში, 1305 წლის შემდეგ, როდესაც ჯვარის მონასტერი განთავისუფლდა ტყვეობიდან. მეცნიერი თვლის, რომ ნიკოლოზის კათალიკოსობა ეკუთვნის XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დასაწყისს, 1280/90-1300-იან წლებს (8, 758). XIII საუკუნის დამლევს კათალიკოსად მიიჩნევენ მას ელენე მეტრეველიც (17, 132).

ბელის ტაძარზე დატანილია XIII საუკუნის II ნახევრის ლაპიდარული წარწერა, სადაც ნიკოლოზ კათალიკოსის გარდა იხსენიება სოფრონ ბედიელი: „[†] ღმერთო, შეიწყალე სული ამის] მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბლისა ნ(ი)კ(ოლო)ზ კ(ათალიკო)ზ[ისა] და ს(ო)ფრ(ო)ნ ბ(ე)დიელისა – გ(ო)ნგლი(ბ)ა(მ)ს ძ(ე)ო(ა)სა. შ(ე)იწყალე]ნ ღ(მერთმა)ნ!“ (23, 173) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარწერაში მოხსენიებული ნიკოლოზ კათალიკოსი ზემოაღნიშნული აღაპის „ბედიელ ყოფილი“ ნიკოლოზია (როგორც წარწერიდან ჩანს, ნიკოლოზი და სოფრონი გონგლიბაძეები ყოფილან). მაშასადამე, XIII საუკუნის II ნახევარში ჩვენთვის ორი ბედიელია ცნობილი. ამათგან ეპისკოპოსად ჯერ ნიკოლოზი უნდა ყოფილიყო, აფხაზეთის კათალიკოსად კუროხევის შემდეგ კი ბედიელობა მეორე გონგლიბაძეს (მის ძმას?) – სოფრონს უნდა მიეღო.

იერუსალიმის მომხსენებელთა XXIII ჯგუფი შეიცავს ორ აღაპს. ერთი ეკუთვნის დავით არდაშელის შეილსა და მის მეუღლე ხუარამანს. მას პავლე ინგოროყვა 1305 წლით ათარიღებს (8, 756). მეორე აღაპი ეკუთვნის ბედიელ მიქაელ გონგლიბაძეს: „ამასვე დღესა აღაპი მიქ(ა)ელ ბედიელისა დაწირუ(ა)მ და აღ(ა)პი საუკუნო მ(ი)ქ(ა)ელ გონგლიბ(ა)ძისა, ბედიელის(ა)მ პანაშვიდითა, შეუნდვენ ღმერთო“ (17, 80). ეს აღაპი ჩაწერილია იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელსაც ჩაუწერია ზემოხსენებული პირველი აღაპი (იხ. იქვე). ამიტომ მიქაელ ბედიელის აღაპიც დაახლოებით იმ პერიოდით (1305 წლის ახლო დროით) განისაზღვრება. გარდა ამისა, მიქაელის აღაპს ელენე მეტრეველი XIII საუკუნის მიწურულსა ან XIV საუკუნის I მეოთხედში განწესებულად მიიჩნევს (17, 132). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიქაელ გონგლიბაძეს ბელის საეპისკოპოსო კათედრაზე XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე, ნიკოლოზ და სოფრონი გონგლიბაძეთა შემდეგ უმოღვაწეა.

ჯვარის მონასტრის № 228 აღაპში იხსენიება მარკოზ ბედიელი: „ბედიელისა მარკოზისა მოგუვიდა ოცი ცომა, ათი თანგა, ათი ფლური, ორი სარტყელი ვერცხლისა...“ (17, 100) აღაპი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIV-XV საუკუნეებით თარიღდება (იქვე, 168).

XV საუკუნეში მოღვაწეობდა ბედიელი ეპისკოპოსი მელქიშეღი. იგი მოხსენიებულია ჯვარის მონასტრის № 82 აღაპში: „ბედიელსა მელქიშეღეს შეუნდვენ ღმერთმან“ (17, 76). ამ აღაპს ელენე მეტრეველი XV საუკუნის I მეოთხედით ათარიღებს (17, 100).


ჩვენთვის ცნობილი შემდეგი იერარქი არის ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი იოვანე. ცნობილია, რომ იგი XV საუკუნის 70-იან წლებში იმერეთის მეფე ბაგრატ VI-ისა და მამადავლე

დადიან-გურიელის ინიციატივით აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად აკურთხა არა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, არამედ იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქმა მიქაელმა (მიქაელ IV-მ ან მიქაელ V-მ — 7, 455). იოვაკიმეს კათალიკოსად კურთხევასთან დაკავშირებით შედგა კანონიკური ძეგლი „მცნებაჲ სასჯულთაჲ“. რომელიც განსაზღვრავდა აფხაზეთის კათალიკოსის იურისდიქციას და აწესრიგებდა მიქაელ საეკლესიო ნორმებს (22, 221-233). ჩვენთვის არ არის ცნობილი თუ როდის მიიღო იოვაკიმემ ბუდიელობა, ვიცით მხოლოდ, რომ კათალიკოსად იგი 1470-1474 წლებს შორის *საქართველს* არის გამოირიცხული, რომ იოვაკიმეს ამის შემდეგაც შეენარჩუნებინა ცაიშელ-ბუდიელისა და მონასტრის ერთ-ერთ აღაპში იგი ცაიშელ-ბუდიელად და აფხაზეთის კათალიკოსად იხსენიება (17, 88). ამრიგად, იოვაკიმეს მოღვაწეობა ბუდიის საეპისკოპოსო ტახტზე პირობითად XV საუკუნის 50-70-იანი წლებით განვსაზღვროთ (11, 41).

ნიკოლიძე კონდაკოვს ველათში უნახავს ერთ-ერთი სახარების მინაწერი, სადაც იხსენიება ბუდიელი ეპისკოპოსი **ანტონ** ფვანიძე. წარწერაში მოხსენიებულია აგრეთვე მამია დადიანი და მისი მეუღლე ელენე. ეს დადიანი უნდა იყოს მამია III, რომელიც XVI საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდა. გარდა ამისა, ბუდიის ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში ანტონი სატრაპეზოს მშენებლად გვევლინება (27, 42-43). მაშასადამე, ანტონ ფვანიძე ბუდიის ეპისკოპოსად XVI საუკუნის I ნახევარში ყოფილა.

XVI საუკუნის 50-იანი წლებში იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს მოუწვევია საეკლესიო კრება: „იქმნა განტევება ცოლთა, კლვა კაცთა და იღუმალ ტყვის ყიდვა და უჯერონი ხჯულსა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა. ამისთვის შეკრბენ ქართლისა კათალიკოზი მაღაქაა, აფხაზთა კათალიკოზი ეედემონ და ყოველნი ეპისკოპოზნი იმერეთ ოდიშისანი. ხოლო ეპისკოპოსნი ესენი იყვნენ: ქუთათელი სვიმონ, გენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბუდიელი, მოქველი, დრანდელი ფილიპე, ცაგერელი კოზმან, ხონელი ზაქარია, ნიკორწმინდელი იოაკიმ, ჩაიხელი კვირილე“. ეს ცაიშელი ეპისკოპოსი **კირილე** (სხვა წყაროების მიხედვით — კირილე ფვანიძე) ზუგდიდის წმ. გიორგის ხატის წარწერაში უკვე ცაიშელ-ბუდიელად იხსენიება. წარწერაში მოხსენიებულნი არიან აგრეთვე გიორგი III დადიანი (1572-1582) და მისი მეუღლე თამარი (11, 41-42). მაშასადამე, დაახლოებით XVI საუკუნის 70-80-იანი წლებში კირილე ცაიშელი იმავდროულად ბუდიის ეპისკოპოსიცაა.

XVII საუკუნეში საქართველოში ჩამოსულ იერუსალიმის პატრიარქს მაკარიოსს უნახავს ბუდიელი ეპისკოპოსი **ანდრია**, რომელსაც ოდიშში ყველაზე დიდი ეპარქია ჰქონია (30, 32).



ბუდი

აგებულია X-XI საუკუნეშია მაქნამე ახლანდელი ნაგებობა XIII-XIV საუკუნეებს განეკუთვნება.

პატრიარქი გარდა ამ მწირი ცნობისა, სხვას არაფერს გვეუბნება. მაკარიოსმა საქართველში 1669 წელს იმოგზაურა, ამიტომ ანდრეას ბედიელობა აღნიშნული წლის ახლო ხანებშია სავარაუდებელი.

ჩვენთვის ცნობილი შემდეგი ბედიელი არის **ბაბრიმე** ჩიქოვანი, ძმა კაცია ჩიქოვანისა. თეოფანე კლავდიანის ვაგერელია, შემდეგ — ჭყონდიდელ-ვაგერელი, ერთ-ერთი დოკუმენტში კი იგი ჭყონდიდელ-ვაგერელ-ბედიელად იხსენიება (22, 581). აღნიშნულ საბუთის ისილორე დოლიძე პირობითად 1680 წლის ახლო დროით ათარიღებს. მაშასადამე, გაბრიელ ჩიქოვანი ბედიის ეპარქიას 1670-80-იან წლებში განაგებდა (იხ. აგრ. 20, 228).

წყაროებით ცნობილი შემდეგი ბედიელი ეპისკოპოსი არის **ბარძიმი** ჩიქოვანი 1685 წელს ილორის ეკლესიის საღაროში დიმიტრი ბაქრაძემ აღმოაჩინა ბედიის ოქროს ბარძიმი. იგი შედგებოდა ორი ნაწილისაგან. ქვედა ნაწილზე, ბარძიმის ფეხზე, დატანილი იყო შემდეგი წარწერა: „... ვლაქერნის ღვთისმშობელს, შებიწყალე მე ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე ჩხეტიასძე...“ (19, 137-138) თუღო ჟორდანიამ ამ წარწერასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „სამწუხაროდ უკანასკნელი წარწერა ბარძიმის ფეხითურთ დაკარგულია... გერმანე ჩხეტიასძე XVI საუკუნეში ცხოვრობდა (ეკლ. მუხ. 187) და დაკარგული ნაწილი ბარძიმისა ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს“ (იხ. იქვე). გერმანე ჩხეტიასძეს XVI საუკუნის ავტორად მოიხსენებს ლევან მერაბიძე (16, 188). ჩვენის აზრით კი გერმანე XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის მოღვაწე უნდა იყოს, რადგან გულანის, რომელიც იძლევა ცნობებს მის შესახებ, XVII-XVIII საუკუნეებისაა (24, 316). გულანის დამკვეთი სწორედ გერმანე ჩხეტიასძე გახლავთ. ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „ბრძანებითა ბედიელ მიტროპოლიტისა გერმანე ჩხეტიასძისათა სრული იქმნეს წმინდანი ესე მარხვანი, ყოვლითურთ სრული და უკლები, ვითარცა წეს არს“ (24, 319). გარდა ამისა, მისი ვედრება — „შენლობითაცა არს ამა ყოველთა წიგნთაგან ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე“ ძალიან ხშირად გვხვდება გულანის ფურცლებზე ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ავრუთვე ის გარემოება, რომ სამეგრელოში მიტროპოლიტის წოდებით ძალად სასულიერო პირთა მოხსენიება პირითადად XVII-XVIII საუკუნეებიდან გვხვდება.

აღნიშნული გულანის კიდევ ერთი მინაწერი გვაძლევს ცნობას სხვა ბედიელის — **ნიკოლოზ** მხვიდის შესახებაც: „ბედიისა და ვლაქერნის ღვთისმშობელს, მარადის ქალწულს მარიამ, გვედრები მე ცვა-ფარვათა შუნთა მინდობილი მიტროპოლიტი მხვიძე ნიკოლოზ“ (24, 319-320). ეს ეპისკოპოსი ალბათ XVII საუკუნეში მოღვაწეობდა, რადგან გულანის ის ნაწილი, სადაც ნიკოლოზი იხსენიება, სწორედ ამ დროს არის შედგენილი.

ქუთაისის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 1759 წლის არის დათარიღებული, მოხსენიებულია ბედიელი მიტროპოლიტი **მაქსიმე** იაშვილი: „მე, ძეგუთ მეფემან სოლომონ და დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ ვოგულეთ და ვიგულისმოღვირეთ და შემოვკრებთ წმიდანი და ყოვლად სამღვდელონი დასნი და მართლმადიდებელნი ერნი, მორჩილნი ქრისტესი და მასმენელნი სიტყვისა ჩემისა... ბედიელი მიტროპოლიტი იაშვილი მაქსიმე... და ჟამთა ვითარებისაგან ვარცხვენელს ეკლესიების განახლება ვინებეთ“ (29, 136). იგივე ეპისკოპოსი მოიხსენიება ხონის საბუთებში (1761 წ.), სადაც აღნიშნულია, რომ იმერეთის მეფე სოლომონმა (1752-1784) მოიწვია მიტროპოლიტები (მათ შორის ბედიელი მიტროპოლიტი მაქსიმე) და აღადგინა ხონის საყდარი (იქვე, 141). 1776 წლის 9 მაისის დოკუმენტში, სადაც საუბარია გელათის შეწირულობათა შესახებ, ვკითხულობთ: „ისრაელა და ამისი ცოლშვილი იაშვილმა მთავარეპისკოპოსმა მაქსიმემ შესწირა გელათს“ (22, 907). უდავოა, რომ აქ ბედიელ მთავარეპისკოპოსზეა საუბარი. აღნიშნულ დოკუმენტთა საშუალებით მაქსიმეს მოღვაწეობა დაახლოებით XVIII საუკუნის 60-70-იანი წლებით უნდა განისაზღვროს.

1814 წელს ბედიის ეპარქია, დასავლეთ საქართველოს სხვა ეპარქიათა მსგავსად, გაუქმდა და გურია-სამეგრელოს ეპარქიას დაექვემდებარა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბედიელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგს შემდეგი სახე ექნება (ქრონოლოგია არ არის დაზღვეული ხარვეზებისაგან და რაღა თქმა უნდა, შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს. მომავალში ალბათ ბევრი ახალი იერარქის სახელი გამოჩნდება, მოღვაწეობის წლები კი უფრო დაზუსტდება ან საერთოდ გადაისინჯება; მიდითებული თარიღები კვლევან ბედიის კათედრაზე მოღვაწეობის პერიოდს აღნიშნავს):

- |                                  |                     |
|----------------------------------|---------------------|
| 1. იონაგა<br>(სუნგელოზი)         | ...1065...          |
| 2. სპამონ<br>(ბედიელ-ალავერდელი) | ...1118-1125...     |
| 3. ნიკოლოზ I (გონგლიბაძისძე)     | XIII ს. II ნახ.     |
| 4. სოფრონ (გონგლიბაძისძე)        | XIII ს. II ნახ.     |
| 5. მიქაელ (გონგლიბაძისძე)        | XIII-XIV სს. მიჯნა. |
| 6. პარკოზ                        | XIV-XV სს.          |
| 7. პელქიჯაძე                     | XV ს. I მეოთხ.      |

8. იოჰანაპიჰე (ცაიშელ-ბედიელი, აფხაზეთის კათალიკოსი)	XV ს. 50-70-იანი წწ.
9. ანტონე (ფვანიძე)	XVI ს. I ნახ.
10. პირილე (ფუანიძე)	XVI ს. 70-80-იანი წწ.
11. ანდრია	...1669...
12. გაბრიელ (ჩიქოვანი) (ცაგერელ-ჭყონდიდელ-ბედიელი)	XVII ს. 70-80-იანი წწ.
13. ნიკოლოზ II (მხეიძე) (მეტროპოლიტი)	XVII ს.
14. გერმანე (ჩხეტიძე) (მეტროპოლიტი)	XVII-XVIII სს. მიჯნა
15. მამსიჰე (იაშვილი) (მეტროპოლიტი)	...1759-1776...



**გიორგი კალანდია**  
 მისი ისტორიის ფაკულტეტის  
 IV კურსის სტუდენტი

ლიტერატურა

- ილია ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში. თბ. 1983.
- ნიკო ბერძენიშვილი. საგაზირო ფეოდალურ საქართველოში. მის წგნ.: საქართველოს ისტორიის საკითხები. III. თბ. 1966.
- ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. მისაღები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. მეორე გამოცემა. თბ. 1990.
- ანრი ბოგვერაძე. დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხასიათის შესახებ. კრ. „ქართული ისტორიოგრაფია“. 2. თბ. 1971.
- გიორგი მცირე-ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბ. 1994.
- გიორგი გოცირიძე. ბელის ბარძიხი. თბ. 1984.
- მიხეილ თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბ. 1995.
- საველე ინგოროვეა. რუსთველიანა. თხზ. I. თბ. 1963.
- სარგის კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. I. ტფ. 1921.
- სარგის კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ I დროს. ტფ. 1913.
- გიორგი კალანდია. ცაიშელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი. ჟურნ. „არტანუჯი“. № 2-3. 1994.
- ბუბა კუდავა. იოანე ჭყონდიდელი (XI საუკუნის ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიისათვის). ჟურნ. „არტანუჯი“. № 2-3. 1994.
- არტანუჯელი ლაშქერტი. სამეგრელოს აღწერა. გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო პროფ. ილია ანთელავამ. იტალიურიდან თარგმნა ალექსანდრე ჭყონიამ. თბ. 1991.
- ბაბილიანა ლომინაძე. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII საუკუნეების საქართველოში. კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“. თბ. 1966.
- მატიანე ქართლისა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბ. 1955.
- ლევან მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. I ნაკვ. II. თბ. 1962.
- ელენე მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბ. 1962.
- როინ მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. თბ. 1990.
- თედო ფორდანი. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. II. ტფ. 1897.
- ალექსანდრე ტულუში. ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიის გარკვევისათვის (მე-17-18 სს.). ჟურნ. „ფრისი“. ზუგდიდი. № 1. 1991.
- ქართული სამართლის ძეგლები. II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965.
- ქართული სამართლის ძეგლები. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970.
- ქართული წარწერების კორპუსი. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIII სს.). შედგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ. 1980.
- ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. I. ე. მეტრეველის რედაქციით. თბ. 1976.
- ძველი ჩხატარაიშვილი. დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალეთის ბატონობისაგან. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. IV. თბ. 1973.
- ცხოვრება მკვეთ-მუვისა დავითისა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. I.
- Кондаков Н. П. Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. СПб. 1890.
- Слезнев М. П. Руководство к познанию Кавказа. СПб. 1850.
- Пурцеладзе Д. П. Грузинские церковные гуджары (грамоты). Тифл. 1881.
- Жузе П. Грузия в XVII столетии по изображению Патриарха Макария. Казань. 1905.

## ლუარსაბ I-ის დედის ვინაობის საკითხისათვის

„ქართლის ცხოვრებაში“ არის ასეთი ეპიზოდი: 1554 წელს, ქართლის საბუთის წინააღმდეგ თავისი მეთხუთხუთმეტი წლის ძროსი, ირანის შაჰმა თამაზ I-მა (1524-1576) კარგად მოწყობილი პუნქტის აღების შემდეგ, ალყა შემოარტყა ატენის ციხეს, რომელსაც ქვეყნის ერთადერთი მფრთხილელი ლუარსაბ I-ის (1527-1556) დედაც აფარებდა თავს. შაჰმა, რათა ლუარსაბი მორალურად გაეტეხა და მისთვის საკუთარი პირობები ეკარნახა, დედოფლის შეპყრობა დაიხსნა მიზნად.

ატენის ციხეს სასმელი წყლით ამარაგებდა პატარა ნაკადული, რომლის არსებობა არ იცოდნენ. ხანგრძლივი და უშედეგო ალყის შემდეგ შაჰმა თავის განზრახვაზე ლამის ხელი აიღო, მაგრამ ერთმა შემთხვევამ გადაწყვეტი გაველენა იქონია ალყაშემორტყმულთა შემდგომ ბედზე: ყიზილბაშებმა ერთი კავთისხვეული გლეხი, გვარად ბოთიაშვილი, შეიპყრეს. მან სიკვდილის შიშით მტერს საიდუმლო ნაკადულის არსებობა გაუმხილა. სპარსელებმა ციხიონს სასმელი წყლის მიძწოდებელი არხი გადაუკეტეს. როცა ციხეში მყოფი უამრავი ადამიანი წყურვილისაგან დაიხოცა და გარედან დახმარების ყოველგვარი იმედიც გადაიწურა, მეციხოვნეთა გარნიზონი მტერს დაუდგა. შაჰ-თამაზმა მრავალი ქართველი და რასაკვირველია, მათ შორის საპატიო ტყვე — ქართლის მოხუცი დედოფალიც, ირანის გზას გაუყენა. ლუარსაბ I მტერს დაედევნა, რამდენჯერმე შეებრძოლა, მაგრამ ტყვეები ვერ დაიხსნა. მაშინ დედოფალმა სამარცხვინო სიცოცხლეს სიკვდილი არჩია და თავი მოიწამლა.

აღნიშნული ფაქტი, კერძოდ, დედოფლის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები შთაბეჭდილად აქვს გაცოცხლებული შესანიშნავ ქართულ მწერალს ლევან გოთუას მოთხრობაში „სიბრძნე სიკვდილისა“. ჩვენი ინტერესის საგანს ამჯერად კონკრეტული საკითხის გარკვევა წარმოადგენს: რა ერქვა ლუარსაბ I-ის დედას — ქართლის დედოფალს? მწერალი ლევან გოთუა, ისტორიული წყაროების მონაცემებზე დაყრდნობის გარეშე, პირობითად მას მარიამს უწოდებს. თუკი მწერალს უფლება ჰქონდა თვით ფაქტის მხატვრულად გადმოცემაზე გადაეტანა უმთავრესი ყურადღება, ისტორიკოსების უპირველესი მოვალეობაა ქართულ ხალხს თავისი გმირი დედოფლის სახელი დაუხუსტოს, მითუტეტეს, რომ ამ საკითხის გარკვევასთან ზოგიერთი სხვა საისტორიო მომენტიც არის დაკავშირებული.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ქართლის მეფე დავით X-ის (1504/5-1525) მეუღლეს, ლუარსაბ I-ის დედას, ნესტან-დარეჯანი ერქვა. ამ სახელით მოიხსენიებს მას „საქართველოს ისტორიის ნარკვევის“ შესაბამისი ნაწილის ავტორი ვიქტორ გუჩუა (3, 112). ასევე იგი შესულია „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ (7, 578). რა წყაროებზე დაყრდნობით განხდა ამგვარი მოსაზრება? ზოგიერთი ქართული ნარატიული წყარო (ბერა ევსტათიშვილის „სწავლულ კაცთა“ ნაშრომი, ფარსადან გორგიჯანიძე) საერთოდ არ ასახელებს დედოფლის ვინაობას (2, 365; 15, 34). თვით დავით X-საც მის მიერ გაცემულ არცერთ სიგელში მეუღლის სახელი არა აქვს მოხსენიებული. ამ აზრის განყენისა და დამკვიდრების უმთავრესი მიზეზი „ახალი ქართლის ცხოვრების“ შევსებულ-გადაკეთებულ გაგრძელებასა და „პარიზის ქრონიკაში“ დაცული ცნობებია, სადაც ატენის ციხის ალყის შესახებ ამბის თხრობისას პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ლუარსაბ I-ის დედას ნესტან-დარეჯანი ერქვა (1, 507; 12, 29). „ახალი ქართლის ცხოვრების“ შევსებულ-გადაკეთებულ გაგრძელებაში დაცულ ერთ-ერთ ცნობაში ნესტან-დარეჯანის გვარი და მამის სახელიც არის მითითებული: „ქრონიკონსა რა (1503 წ.) მეფე კონსტანტინე მიიცივალა და დაჯდა მის წილ ძე მისი დავით და ბარათაშვილის დავითის ქალი დედოფალი ნესტან-დარეჯან“ (1, 486).

ქართველმა მკვლევარებმა თავიანთი დასკვნები ზემოთ აღნიშნულ ცნობაზე დაყრდნობით გამოიტანეს. მათ მსჯელობას მხარს ისიც უჭერდა, რომ წყაროში დედოფალ ნესტან-დარეჯანის მამად მოხსენიებული დავით ბარათაშვილი რეალური ისტორიული პიროვნება იყო. იგი ჩვენი სხვა წყაროებიდანაც არის ცნობილი. დავითი უფროსი ვაჟა ბარათაშვილთა საგვარეულოს ფუძემდებლის ბარათა ქაჩიბაძისა, რომელიც აკად. სიმონ ჯანაშიას აზრით, XV საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა (14, 468-469), ვარდა ამისა, სპეციალისტთა აზრის ჩამოყალიბებაზე იმანაც იქონია გავლენა, რომ დავით X-ის მამამ, ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ (1478-1504/5) მის მიერ გაცემულ ერთ-ერთ, კერძოდ, 1488 წლის სიგელში აღნიშნა თავისი ვაჟის ბარათაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელზე დაქორწინების ფაქტი: „... ჩუენთაიცა ცოდვითა სიმრავლისა და სოფლისა ვითარებისაგან ცოდვისა საქმესა შეესწრა ჩუენი შვილი დავით და უხუედრი (ე. ი. შეუფერებელი — გ. ს., დ. ნ.) ბარათაშვილის ასული შერთი“ (6, 6; 8, 306). მამასადაძე, 1488 წელს დავით უფლისწულს ცოლად ჰყავს დავით ბარათაშვილის ასული ნესტან-დარეჯანი, რომლის გვარიშვილობის შეუფერებლობას მამამისი უკმაყოფილება გამოუწვევია. ზემოთ განხილულმა ცნობებმა ხელი შეუწყო იმ აზრის დამკვიდრებას, რომ დავით X-ის მეუღლეს და ლუარსაბ I-ის დედას, ქართლის დედოფალს ნესტან-დარეჯანი ერქვა და იგი ბარათაშვილთა საგვარეულოს კუთვნილია.

მოყვანილ არგუმენტთა გამო, მართლაც, შეუძლებელია ნესტან-დარეჯანის ვინაობაში ეჭვის შეტანა, მაგრამ მეორე საკითხია — დავით X-ის ეს თანამეცხედრე იყო თუ არა ლუარსაბ I-ის დედა, ანუ დედოფალი, რომელმაც თავისი გმირობით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი სახელოვან ქართველ მანდილოსანთა გალერეაში? ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ლუარსაბ I-ის დედა არ ყოფილა ნესტან-დარეჯანი. როცა იგი დავით X-ის ბერად შედგომის ამბავს აღწერს, მოუთითებს: „შემდგომად ამის განიხილა მეფემან დავით სოფლისა სიმუხიდუ და უსუფობა თვისი, დაუტევა მეფობა და იქმნა მონაზონ, და დაშთენ ძეხი სამნი თამარ დედოფლისაგან ლუარსაბ, დემეტრე და რამაზ“ (4, 399).

რა თქმა უნდა, მკვლევარს აქვს უფლება არსებული ფაქტობრივი მასალიდან (ვარიანტიდან) ერთ-ერთს მთავრობის უპირატესობა, ჩვენს შემთხვევაში, ნესტან-დარეჯანი ამჯობინოს თამარს, მაგრამ რა უეუთ ისეთ ფაქტს, როგორცაა 1552 წელს გაცემული სიგელი, ანუ მოვლენების თანადროული დოკუმენტი (რომელსაც, ჩვენი აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს), სადაც ლუარსაბ I თავის დედას ნესტან-დარეჯანს კი არა, თამარს უწოდებს? სიონის ტაძრისადმი ნაბოძებ სიგელში იგი აღნიშნავს: „ტფილისის სიონის ღვთისმშობელს! მეოხ, შემწე და მფარველ გვექმენ ჩვენს, მინდობილთა შერთა — ღვთიე გვირგვინოსანთა მეფეთ-მეფესა ლუარსაბს და დედასა ჩვენსა დედოფალთ-დედოფალსა თამარს (5, 40-41; 8, 392-393).

ნესტან-დარეჯანი და თამარი რომ აბსოლუტურად განსხვავებული სახელებია, ამას განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება. წყაროებით არც ის დასტურდება, რომ მოხუცებულობაში ნესტან-დარეჯანი თამარის სახელით მონაზვნად აღკვეცილიყო. ასე რომ მომხდარიყო, მაშინ ლუარსაბი, როგორც ეს შუასაუკუნეებში იყო მიღებული, თავის დედას მხოლოდ თამარს კი არა, არამედ ნესტან-დარეჯან-ყოფილ თამარს უწოდებდა. მეორეც, არც ერთ წყაროში მითითებული არ არის, რომ ლუარსაბ I-ის დედა მოხუცებულობაში მონაზვნად აღიკვეცა. ასე რომ, ეს ვარიანტიც თავისთავად უნდა გამოირიცხოს.

ამავე დროს, ყურადღებას იქცევს 1512 წლის სიგელი (11), რომლის მიხედვითაც დავით X-ის თანამეცხედრედ მირაინგული გამოდის. ამდენად, ნესტან-დარეჯანი, თამარი თუ მირაინგული?! რომელია ლუარსაბ I-ის დედა? შიშა სურგულაძემ და მიხეილ ქავთარიამ არსებულ გენეალოგიურ სიტუაციას ასეთი ახსნა მოუძებნეს (10, 52):

- დავით X = 1. მამბრ, დავით ბარათაშვილის ასული  
2. შორაბდუღ, ყვარყვარე ჯაყელის ასული

ჩვენი აზრით, ნესტან-დარეჯანის სრული იგნორირება არ უნდა იყოს სწორი, თუნდაც ზემოაღნიშნული ფაქტების არსებობის გამო. პირიქით, იგი დავით X-ის პირველი ცოლი ჩანს, რომელიც მას უფლისწულობის ხანაში მოუყვანია. 1488 წლის სიგელში სწორედ ეს ფაქტია აღნიშნული და დედოფლის „უხუედრობაცა“ ხაზგასმული. „ახალი ქართლის ცხოვრება“ პირდაპირ მიუთითებს ნესტან-დარეჯანის ბარათაშვილობას: „... ბარათაშვილის ქალი დედოფალი ნესტან-დარეჯანი“ (1, 486). დავით ბარათაშვილის ასულ ნესტან-დარეჯანისაგან დავითს X-ს ვაჟები არ ჰყოლია და ბუნებრივია, იგი ვერც ლუარსაბ I-ის დედა იქნება. შემდგომ ხანებში დავით X-ს მოჰყავს მეორე მეუღლე, რომლისგანაც ჩნდება ვაჟები და მათ შორის, უპირველესი — უფლისწული ლუარსაბი. ამიტომაც აღნიშნავს ვახუშტი, რომ დავით X-ის ვაჟები თამარ დედოფლისაგან ჰყავდა (4, 399). ამიტომაცაა, რომ დავით X-ის ბერად შედგომისას მოიხსენიება არა ნესტან-დარეჯანი, არამედ მეორე მეუღლე — თამარი (იხ. იქვე). ამის გამოა, რომ 1552 წლის სიგელში ლუარსაბი თავის დედად სწორედ თამარს ასახელებს. თანაც, ვინაიდან ვაჟებში ლუარსაბი უფროსია, ნარატიული წყაროები დავით მეფის შვილებში პირველ ადგილზე სწორედ მას იხსენიებენ (1, 492; 2, 353). თვით დავით X-ც მის მიერ გაცემულ სიგელებში პირველად



აბშისის ტიხა

(საივრის ციხე, ორბელიანის ციხე, დაახლ. X ს.)

აქ. 1554 წელს, შაჰ-თამაზის მეოთხე შემოსევისას, თავს აფარებდა ლუარსაბ I-ის დედა.



ლუარსაბს ახახელებს (5, 32, 50; 8, 368). მაგრამ განა ფოველივე ნესტან-დარეჯანის არაისტორიულობა-არარეალურობას ნიშნავს?! როგორც ვახუშტი, იგი ცნობილია გვიანი შუასაუკუნეების ქართული ისტორიული წყაროებისათვის და ჩვენი აზრით, ქართლის მეფის დავით X-ის პირველი მეუღლეა როგორც აღნიშნეთ, ვაჟები დავით X-ს მისგან არ გასჩენია, ამდენად, დავით ბარათაშვილის ასული ნესტან-დარეჯანი ვერ იქნებოდა ლუარსაბ I-ის დედა, როგორც ეს „საქართველოს ისტორიის ნარკვევებსა“ და „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ მჩხეული.

საკვჭო არ უნდა იყოს, რომ ქართლის გმირი დედოფალი ~~ქართველთა~~ დედა დავით X-ის მეორე ცოლი იყო და თამარი ერქვა ჩვენთვის არ ანტიკვებულა როდის მოხდა განქორწინება ნესტან-დარეჯან ბარათაშვილთან და თამართან დაქორწინება. ლუარსაბ I თავის დედას რომ 1552 წლის სიგელში თამარს უწოდებს, ამას ვერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი აფიქსირებს (13, 206), მაგრამ რა უყუთ მირაინგულის პიროვნებას? ჩვენი აზრით, დავას არ უნდა იწვევდეს, რომ დავით X-ის მეორე თანამეცხედრე ჯაყელთა ფეოდალური სახლიდანაა. ამაზე მიგვანიშებს თუნდაც 1520 წლით დათარიღებული ერთი ცნობა: ვვარყვარე II ათაბაგის ქრონიკი ნესტან-დარეჯანი თავისი ძმის – კორხმანის სულის საცხოვრებლად ქვათახევის მონასტრისათვის შესაწირის ბოძებისას აღნიშნავს, რომ ამას „ჩვენის სიძის მეფეთ-მეუის დავითის ყბულობითა და ნებადართულობითა“ აკეთებს (6, 51; 8, 347). ვვარყვარე II-ის ცოლის ნესტან-დარეჯანის 1508 წლის სასყიდობის წიგნში ნესტან-დარეჯანი დავით X-ის სიდედრად იხსენიება (9, 399-401). ამდენად, 1508 წლისათვის დავით X-ს უკვე მეორე ცოლი ჰყავს ჯაყელთა გვარიდან. მაგრამ როგორ უნდა შეგათანხმეთ თამარისა და მირაინგულის თანაარსებობა?

ხომ არ არის მირაინგული თამარ დედოფლის პირველი, სიერმის სახელი?! ისიც ხომ ცნობილია, რომ ვვარყვარე II ათაბაგისა და მისი ცოლის – ნესტან-დარეჯანის შვილებს გარკვეულად უცნაური სახელები ერქვათ: თამარ, სახურელო, სალუყასან. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენთვის საინტერესო ასულს მირაინგული ერქვა, ხოლო შემდეგ გახდა რა ქართლის დედოფალი, სამეფო სახელში ველაზე უფრო პოპულარული სახელი – თამარი უწოდეს (ამ დროს სახელების გადარქმევა თვით მეფეებისთვისაც არ არის უცხო, მაგალითად, ბახუტა-ვახტანგ V და სხვ).

ჩვენი ვარაუდი ასეთ სახეს იღებს:

- დავით X – 1. ნესტან-დარეჯან, დავით ბარათაშვილის ასული
- 2. თამარ (მირაინგული), ვვარყვარე II ჯაყელის ასული

ამდენად, 1554 წელს, შაჰ-თამაზის მოთხე შემოსევისას, ატენის ციხის აღეის პერიპეტეობთან დაკავშირებული ქართლის გმირი დედოფალი, ლუარსაბ I-ის დედა არის არა ნესტან-დარეჯანი, არამედ თამარი – ჯაყელთა ცნობილი ფეოდალური სახლის წარმომადგენელი. ვფიქრობთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში უნდა გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი.

**პირა საითიქმ**

თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტი

**დავით ნიხიქმ**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,

თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი

ლიტერატურა

1. ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, წგნ.: ქართლის ცხოვრება. II. ტექსტი დადგენილი ველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვახუშტის მიერ. თბ. 1959.
2. ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, წგნ.: ქართლის ცხოვრება. II.
3. ვიქტორ გუჩუა. ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში. წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. IV. თბ. 1973.
4. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგნ.: ქართლის ცხოვრება. IV. ტექსტი დადგენილი ველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვახუშტის მიერ. თბ. 1973.
5. სარგის კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. II. ტფ. 1913.
6. სარგის კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. III. ტფ. 1913.
7. რევაზ კიკნაძე. თამარ I-ის დაშქრობები საქართველოში XVI ს-ში. მსმ. 4. თბ. 1979.
8. თეოდორ კორდანი. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. II. ტფ. 1897.
9. საქართველოს სიძველენი. II. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1909.
10. შჩია სურგულაძე. ბაგრატიონთა სამეფო სახლი. გენეალოგიური ტაბულები შეადგინეს: მ. სურგულაძემ და მ. ქავთარიამ. თბ. 1995.
11. სოსხა. ფ. 1448. № 61.
12. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. აღასანიამ. თბ. 1980.
13. ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. IV. თბ. 1967.
14. სიმონ ჯანაშია. ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის შრომები. II. თბ. 1952.
15. Парсадан Горгиджанидзе. История Грузии. Перевод Р. К. Кикидзе и В. С. Путуридзе. Исследования и указатели Р. К. Кикидзе. Тб. 1990.

# მასალები ქართული ბონისტის ისტორიისათვის (ნაწილი მეორე)



ქართული  
ისტორიის საზოგადოება

„არტანუჯის“ წინა ნომერში ეწერდით ქართული ბონების პირველი სამი ჯგუფის შესახებ. ამჯერად შემოგთავაზებთ 1918-1924 წლებში გამოშვებული ბონების ორი უკანასკნელი ჯგუფის – ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ბონებისა (1923-1924 წწ.) და საქართველოს ტერიტორიაზე 1918-1924 წლებში გამოშვებული ქალაქის ფულადი სუროგატების – მიმოხილვას.

## ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ბონები

1922 წლის 10-13 დეკემბერს ბაქოში გამართულ ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე მიიღეს დადგენილება 1922 წლის 12 მარტს შექმნილი ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ. დამტკიცდა ახალი კონსტიტუცია, ცენტრად აირჩიეს ქ. თბილისი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ფედერაციული რესპუბლიკის სახით შევიდნენ 1922 წლის 30 დეკემბერს შექმნილ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში. ცოტა მოგვიანებით, ამიერკავკასიის ფედერაციის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა მამია ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის დღიდანვე დაჩქარდა მუშაობა ფედერალური ფულადი ერთეულის ბრუნვაში გამოსაშვებად. ამ საკითხის ირგვლივ საზოგადოებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა იყო. ერთნი ვარაუდობდნენ, რომ ახალი ფულის ნიშანი ქართულ ფულზე უკეთესი თუ არა, უარესი მაინც არ იქნებოდა, ვინაიდან მისი მიმოქცევითი სივრცე გაცილებით ფართო უნდა ყოფილიყო, მეორენი კი ფიქრობდნენ, რომ ამიერკავკასიის ფედერალური ფული დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკების ფულის ნიშანთა ბედს გაიზიარებდა და სწრაფად გაუფასურდებოდა.

1923 წლის 10 იანვარს ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საკავშირო საბჭომ მიიღო დეკრეტი „ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების გამოცემის შესახებ“, რომელშიც ვკითხულობთ:

„ამ მიზნით, რათა განმტკიცებულ იქნეს ეკონომიკური მდგომარეობა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა, რომელთაც შექმნეს ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა და ავრეთვე, რათა გააღვილებულ იქნეს უკვე არსებული მჭიდრო ეკონომიკური ერთიერთობა ამიერკავკასიის ფედერაციისა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირთან, ამიერკავკასიის საკავშირო საბჭო აღგენს:

1. შეიქმნას ერთი მთლიანი ფულის სისტემა მთლად ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ამა 1923 წლის იანვარის 10-დან, რისთვისაც გამოიყენებულ იქნეს სახმარებლად ერთიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშანი.

2. ერთიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშანი გამოიყენებულ იქნეს – 1.000, 5.000, 10.000, 50.000, 100.000, 500.000, და 1.000.000 მანეთის კუპონებად ქართული ფულის ნიშნის თანაბრობით (პარიტეტობით); ერთი მანეთი ამიერკავკასიის ფულის ნიშნისა ეთანხმდებოდეს ერთ მანეთს ქართული ფულის ნიშნისას.

3. აზერბაიჯანის ფულის ნიშნების მიმართ – ერთი მანეთი ამიერკავკასიის ფულის ნიშნისა ეთანხმდებოდეს 100 მანეთს აზერბაიჯანის ფულის ნიშნებისას, ხოლო სომხეთის ფულის ნიშნების მიმართ – ერთი მანეთი ამიერკავკასიის ფულის ნიშნისა ეთანხმდებოდეს 150 მანეთს სომხეთის ფულის ნიშნისას; ამასთანავე, ეს სალიკვიდაციო კურსი მიღებულ იქნეს უცვლელად მთელი გაყვლა-გამოყვლის პერიოდის განმავლობაში.

4. ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნის მხელელობა აქვს ყველგან მთლად ამიერკავკასიის ტერიტორიაზე და მისი მიღება საუბედებლოა ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთათვის, საზოგადო ორგანიზაციებისათვის და კერძო პირთათვის.

5. ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნის გამოცემის დღიდან, - ე. ი. 1923 წლის იანვრის 10-დან, მოხსნის დამოუკიდებელი ემისია საქართველოში, ამერბაიჯანში და სომხეთში.

6. ადგილობრივი ფულის ნიშნები საქართველოში, ამერბაიჯანში და სომხეთში და დარსება ხმარებაში მხოლოდ ირი თვის განმავლობაში ამიერკავკასიის ერთიანი ფულის გამოცემის დღიდან, ე. ი. 1923 წლის მარტის 10-მდე (ამ რიგბითობით), რომელიც ვადის განმავლობაშია ეს ფულის ნიშნები გამოცემის უნდა იქნება ამიერკავკასიის ფულის ნიშნებზე. ამ დეკრეტის მე-2 და მე-3 მუხლში აღნიშნულს კერძო მხედრეთ, ამიერკავკასიის მთავრობის ყველა კახებში, რ. ს. ფ. ს. რ. კანტონებში და ავრეთვე რესპუბლიკების ადგილობრივ ბანკებში.

7. ადგილობრივი ფულის ნიშნები, რომელიც 1923 წლის მარტის 10-ს გამოუცვლელი დარსება, კარგავს ძალას და აღარ მიიღება სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ბანკების მიერ ფულის ბაღდად და გამოხატულად.

8. ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნის ემრუნველყოფილია ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკების ავლადიებით და ყალბი ფულის გაკეთებისათვის დამსამავე პასუხს აკებს სიხლას სამართლის წინაშე.

9. ამა დეკრეტის განხორციელება დაეკისროს ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მიუხედავად მას უფლება ამა დეკრეტის განხორციელებისათვის გამოხატოს სათანადო ინსტრუქციები.

10. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმს:

- ნ. ხარამბასოვი,
- ა. მახსნიკოვი,
- მ. ელიაევი" (5).

ამ დეკრეტს თან ერთვის მორე დეკრეტი - „ამიერკავკასიის ერთიანი ფულის ნიშნების მიხედვით ანგარიშის წარმოების შესახებ“ (5).

ამიერკავკასიის ფედერალური ფულადი ერთეულის შედარებით მტკიცე კურსის შენარჩუნების მიზნით, სსრ კავშირის მთავრობამ ამიერკავკასიას გამოუყო 10 მილიონ 150 ათასი მანეთი ოქროთა, 1,5 მილიონი ფუთი პური და 5 მილიონი არშინი მანუფაქტურა, რაც ნაწილ-ნაწილ ჩამოდიოდა ამიერკავკასიაში (2, 168).

ზემომოყვანილი დეკრეტის ძალით გამოშვებულ ამიერკავკასიის ფედერაციის ბონების შეიდ ნომინალს 1923-24 წლებში დაემატა კიდევ 11 ბონის კუპიურა, კერძოდ, 25.000, 250.000, 5.000.000, 10.000.000 (1923 წ.), 25.000.000, 50.000.000, 75.000.000, 100.000.000, 250.000.000, 1.000.000.000 და 10.000.000.000 (1924 წ.) მანეთის კუპიურები. სხვადასხვა დროს გამოშვებული ამიერკავკასიის სსსრ-ის ბონების 18 ნომინალის ფერი და ზომა შემდეგნაირი იყო:

1.000 მანეთი	- მომწვანო შავი და ყვითელი	- 172 x 104 მმ
5.000	- მუქი ლურჯი და იისფერი	- 170 x 100
10.000	- ყავისფერი და ნაცრისფერი	- 170 x 100
25.000	- შავი და ყავისფერი	- 171 x 105
50.000	- შავი და მწვანე	- 171 x 105
100.000	- ყავისფერი და ვარდისფერი	- 171 x 105
250.000	- შავი და მწვანე	- 171 x 105
500.000	- მეწამული და ცისფერი	- 171 x 105
1.000.000	- ყავისფერი და იისფერი	- 171 x 105
5.000.000	- შავი, მწვანე და ვარდისფერი	- 170 x 100
10.000.000	- შავი და ცისარტყელას ფერები	- 170 x 100
25.000.000	- ნაცრისფერი და მოვარდისფერი იისფერი	- 174 x 100
50.000.000	- შავი და იისფერი	- 170 x 100
75.000.000	- შავი და მოყვითალო ყავისფერი	- 194 x 94
100.000.000	- ყავისფერი და მწვანე	- 170 x 100
250.000.000	- მუქი მწვანე, მეწამული და სარისჯისფერი	- 197 x 94
1.000.000.000	- მწვანე, ვარდისფერი და ყავისფერი	- 195 x 95
10.000.000.000	- მწვანე, ვარდისფერი და ყავისფერი	- 195 x 95

1923 წელს გამოშვებული ბონების ნაწილი მოსკოვშია დაბეჭდილი. ისინი თბილისში დაბეჭდილი ბონებისაგან იმით გამოირჩევა, რომ მათ რვეურსზე გვხვდება არასწორი ქართული წარწერები, მაგალითად, სიტყვა „საქართველო“-ს ნაცვლად - „საქართველო“. ხოლო „უღრის“-ის ნაცვლად - „უღრის“, ე. ი. „ღ“-სა და „ღ“-ს მაგიერ დაბეჭდილია „ღ“.



ამიერკავკასიის ფედერაციის 1000-მანეთიანი



ამიერკავკასიის ფედერალურ ბონებზე აღნიშნულია, რომ იგი არის „ამიერ-კავკას. ს. ს. რ. ფედერაც. ფულის ნიშანი“, რომლის „მიღება სავალდებულოა ამ-კავკ. ფედერ. მთელს ტერ.“ და რომ „ერთი მანეთი ამიერ-კავკასიის ბონისა უდრის საქართველოს ბონის ერთ მანეთს“. ანალოგიური წარწერები გვხვდება რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ (არაბული შრიფტით) ენებზე.

ბონების ავერსზე არის სამოკავშირეო საბჭოს პრეზიდიუმის წევრების – ბუღუ მდიანის, ნარიმან ნარიმანოვისა და ალექსანდრე მიასნიკოვის (მიასნიკიანის) ხელმოწერათა ფაქსიმილეები რუსულ ენაზე. იქვე მითითებულია ბონების ორი ერთნაირი სერია რუსული ასოთი და ხუთნიშნა ნომერი არაბული ციფრებით. რევერსზე აღნიშნულია მათი გამოშვების თარიღი – 1923 წელი.

ამიერკავკასიის ფედერაციის 1923 წლით დათარიღებული ბონები მხატვრული თვალსაზრისით უმნიშვნელო ცვლილების მიუხედავად იდენტურია საქართველოს სსრ-ის 10.000-

მანეთიანი ბონის კუპიურისა შეცვლილია მხოლოდ წარწერები, ხოლო ქართული საბჭოთა გერბის ადგილი ფედერაციის გერბს — ხუთქიმიანი ვარსკვლავის გარემოცვაში მოქცეულ კავკასიონის ფონზე აღბეჭდილ ნამგლის, უროს, ვარსკვლავისა და ნახევარმთვარის კომპოზიციას უკავია.

1924 წლით დათარიღებული ფედერალური ბონების ნაწილი მოსკოვშია დაბეჭდილი, თუმცა მათზე აღარ გვხვდება არასწორი ქართული წარწერები ადგილი კქონდა 1923 წლით დათარიღებული ამიერკავკასიის ბონების მოსკოვში გამოშვებულ ნომინალებზე.

1924 წელს გამოშვებულ ამიერკავკასიის ბონებზე აღნიშნულია, რომ ეს არის „ა.კ.ს.ფ.ს.რ. ფულის ნიშანი“, რომლის „მიღება სავალდებულოა ამ-კ.ს.ფ.ს.რ. მთელს ტერ.“ ასეთივე შინაარსის წარწერები გვხვდება რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ (არაბულ შრიფტით) ენებზე. ბონების ავერსზე არის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის — მამია ორაჩელაშვილისა და ფინანსთა სახალხო კომისრის ხელმოწერათა ფაქსიმილები რუსულ ენაზე. აღნიშნულია ბონების სერია — რუსული ასოთი, ხოლო ნომერი — არაბული ციფრებით, რევერსზე კი მითითებულია მათი გამოშვების წელი — 1924.

1924 წელს გამოშვებული ამიერკავკასიის ფედერალური ბონების ყველა ნომინალი, გარდა 75 და 250-მილიონიანსა, აგრეთვე 1 და 10-მილიარდიანი კუპიურებისა, გარეგნული სახით თითქმის ანალოგიურია 1923 წელს გამოცემული ბონებისა. შეცვლილია მხოლოდ გერბი, რომელზედაც აღარ გვხვდება ისლამური რელიგიის ატრიბუტა — ნახევარმთვარე.

ამიერკავკასიის ფედერაციის სხვა ბონებისაგან არსებითად განსხვავდება 75 და 250-მილიონიანები, ასევე 1 და 10-მილიარდიანები. მართალია, მათზე 1924 წელს დაბეჭდილი დანარჩენი ფედერალური ბონების ანალოგიური წარწერებია, მაგრამ მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით ისინი სრულიად განსხვავებულ ელფერს ატარებენ.

75 და 250-მილიონიანების ავერსზე, ცენტრში მოთავსებული ფედერაციის გერბის მარჯვნივ ნომინალური ციფრებია მითითებული, მარცხნივ კი გამოსახულია ნავთობის სარეწები და წელზევით შიშველი მუშა, რომელსაც მარჯვენა ხელით მხარზე ურო გაუდვია, ხოლო მარცხენათი კბილანებიან ბორბალს ეყრდნობა.

1 და 10-მილიარდიანების ავერსზე აღბეჭდილია ევროპული სტილის ჩუქურთმებით შემკული სვეტებიანი კედლის ფონი, რომლის მარჯვენა ნახევარში გამოსახულია კედლის კიდეზე ჩამოძვდარი ახალგაზრდა მშრომელი ქალის ფიგურა. მას მარჯვენა ხელით ყურძნის სავსე მტევანი უჭირავს, მარცხენა ხელი კი თავთავების ძნაზე ჩამოუდვია. ბონების მარცხენა მხარეს ფედერაციის გერბია გამოსახული, რომლის ქვედა კიდეზე აღბეჭდილია მოწოდება რუსულ ენაზე — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ამ ბონებზე გვხვდება 1924 წელს დაბეჭდილ სხვა ამიერკავკასიურ ბონებზე გამოსახულ ხელმოწერათა ფაქსიმილების ანალოგიები.

აღსანიშნავია, რომ 1 და 10-მილიარდიანების ავერსზე მხატვრული გაფორმების მხრივ აშკარად იგრძნობა რუსეთის იმპერიის 1912 წელს გამოცემული „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის“ 500-მანეთიანი კუპიურის ზეგავლენა.

ამიერკავკასიის ფედერალური ბონების ნაწილზე არის ვარსკვლავის ფორმის ჭვირნიშნები. ვინაიდან ზუსტად ასეთივე სახის ჭვირნიშნები საბჭოთა რუსეთის დაახლოებით იმავე პერიოდში გამოშვებულ ფულად ნიშნებზედაც გვხვდება, სავარაუდოა, რომ ფედერალური ბონების ჭვირნიშნებიანი ნაწილი მოსკოვშია დაბეჭდილი. შესაძლებელია, რომ ზოგიერთი მათგანი თბილისშიც დაიბეჭდა, ოღონდ მოსკოვიდან ჩამოტანილ ჭვირნიშნებიან ქაღალდზე.

აღსანიშნავია, რომ თბილისში დაბეჭდილი სხვა ბონების მსგავსად, გაყალბებისაგან არც ამიერკავკასიის ფედერალური ფულის ნიშნები ყოფილა დაზღვეული. ამ მოვლენამ ასახვა პოემა თვით ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობაში „დიდი იოსები“ ხატოვნადაა გადმოცემული ტრაგიკული ყოფა თბილისში გადმოსახლებული რაჭველი მეკურტნისა, რომელიც ყალბ ამიერკავკასიურ ბონებს ავრცელებდა.

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის თოთხმეტწლიანმა (1922-1936) ისტორიამ დაადასტურა, რომ ამ ნაძალადევად შეკოწიწებულმა კონგლომერატმა არამცთუ არაფერი შემატა მასში შემაგალ ქვეყნებს, არამედ ის მოწვევებითი სუვერენობაც ჩამოართვა, რაც დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებს გააჩნდათ. ფედერალური ფულის შემოღებამ ვერ მოახდინა რაიმე პოზიტიური ცვლილება ფედერაციაში შემაგალი



ამიერკავკასიის ფედერაციის 250.000.000-მანეთიანი



ქვეყნების ეკონომიკაში, რასაც ასე დაბეჯითებით ამტკიცებდნენ ფინანსური უნიფიკაციის ინიციატორი ბოლშევიკები. პირიქით, გაღრმავდა ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია თანდათან ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა და ფასებმაც ქაოსურად დაიწყო ზრდა. სწრაფად მატულობდა უცხოური ვალუტების საბაზრო ღირებულება. მაგალითად, თუ 1923 წლის 31 მარტს თბილისის სავალუტო ბირჟაზე რუსეთის მეფისდროინდელი ოქროს თუშნია (შეიცავდა 8,6 გრამ წმინდა ოქროს) 6 მილიონ 400 ათასი ამიერკავკასიური მანეთი, გირვანქა სტერლინგი – 3 მილიონ 800 ათასი, დოლარი – 820 ათასი, ხოლო თურქული ლირა 650 ათასი მანეთი ღირდა, უკვე 17 აპრილს ოქროს თუშნიანის ფასმა 11 მილიონი, გირვანქა სტერლინგისამ – 5 მილიონ 800 ათასი, დოლარისამ – 1 მილიონ 350 ათასი, ხოლო ლირას ფასმა 1 მილიონ 55 ათასი მანეთი შეადგინა (3).

1923 წლის მიწურულიდან ამიერკავკასიის ფედერალური მანეთის კურსის დაცემამ კატასტროფული ხასიათი მიიღო. ამ პერიოდში უკვე ჰიპერინფლაცია მძვინვარებდა. მაგალითად, თუ 1924 წლის 2 იანვარს 1 რუსული ჩერკონეცი 465 მილიონი ამიერკავკასიური მანეთი ღირდა, იმავე წლის 14 აპრილს მისმა ღირებულებამ 125 მილიარდ მანეთს მიაღწია (2, 169).

ამიერკავკასიის ფედერაციის მესვეურებმა ჩათვალეს, რომ მტკიცე საბჭოთა ვალუტის – ჩერკონეცის არსებობის პირობებში არავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა ამიერკავკასიის სეპარატიული ფინანსური სისტემის შენარჩუნება.

1924 წლის 18 თებერვალს ამიერკავკასიის ფედერაციის ცეკამ და სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება „ამიერკავკასიის სსსრ ტერიტორიაზე სსრკ სახელმწიფო ხაზინის ბილეთების სავალდებულო მიმოქცევის შესახებ“ (2, 170).

კაპერინფლაციის პირობებში, იმისათვის, რომ როგორმე შეენარჩუნებინა რეალური ხელფასები, ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობამ პროფკავშირთა მონაწილეობით დაიწყო ხელფასთა გადაანგარიშება საქონლის მანეთზე. მისი გამოანგარიშების მიზნით აღებულ იქნა პირველი საჭიროების 24 დასახელების სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქტი. ყველა საგნის რაოდენობა აღებული იყო იმდენი, რამდენსაც ომამდე იყიდებდა 10 მანეთი, მისი შეათედი ჩათვალეს საქონლის მანეთად. მაგალითად, 1913 წელს 100 მანეთად ღირებულ პროდუქციათა ფასი 1923 წლის 22 ნოემბერს უდრიდა 287.072,00 მანეთს (საქ. ფულის ნიშნით). მაშასადამე, საქონლის მანეთი ამ დროისათვის უდრიდა დაახლოებით თანხის ერთ მეათედს – 27.707.000 მანეთს. ხელფასი იმატებდა საბაზრო ფასების მომატებასთან ერთად. პროდუქტებზე ფასების შესახებ ცნობებს კრებდნენ სტატისტიკური ორგანოები ქალაქის ბაზრებზე და აგზავნიდნენ შრომის დაცვის სახალხო კომისარიატში, სტატისტიკურ ბიუროში, რომელიც აჯამებდა და გადასცემდა იქვე არსებულ საქონლის მანეთის გამოანგარიშების კომისიას, სადაც შედიოდნენ შრომის დაცვის სახალხო კომისარიატის, საქ. პროფკავშირების, ამიერკავკასიის ფინსახკომის რწმუნებულის, სმუს და ცს სამმართველოს წარმომადგენლები კომისია საქონლის მანეთის ინდექსს აცხადებდა თვეში ოთხჯერ – 3, 10, 17, და 24 რიცხვებში (4).

1924 წლის 4 აპრილის დეკრეტით ამიერკავკასიის მთავრობამ საკავშირო მთავრობის დავალებით დაიწყო ფულადი რეფორმა. 14 აპრილიდან შეწყდა ფედერალური ფულის ნიშნების ბეჭდვა, ხოლო 15 აპრილიდან – მათი გამოშვება. დაიწყო ამიერკავკასიის ბონების საბჭოთა ჩერვონეცებზე გადაცვლა. ჩერვონეცის ერთ მანეთზე იცვლებოდა 12 მილიონ 500 ათასი ამიერკავკასიური მანეთი (2, 170).

1924 წლის 15 აპრილიდან საქართველოში სსრ კავშირის ფული გაბატონდა. აღნიშნულ მოვლენას ქართველი საზოგადოებრიობის ერთი ნაწილის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შემორანდუშში ერთა ლიგის 1924 წლის სექტემბრის ასამბლეისადმი, სხვა საჭირობოროტო საკითხებთან ერთად, გულსტკივილით იყო აღნიშნული, რომ ეროვნული სუვერენიტეტის ერთ-ერთი სიმბოლო – „ქართული ფული რუსულ ფულით შეიცვალა“ (1, 148). აქ „ქართულ ფულში“ ნაგულისხმეულია ამიერკავკასიის ფედერალური ფული, რომელიც სავსებით სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ქართულ ფულადაც.

1924 წლის 15 აპრილიდან 1993 წლის 5 აპრილამდე ერთადერთ კანონიერ სავადამხდლო საშუალებას საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის ფული წარმოადგენდა.


### საქართველოს ტერიტორიაზე გამოშვებული ქალაქის ფულადი სუროგატები

ქალაქის ფულად სუროგატებს, როგორც სამდვილი ფულადი ნიშნების შემცველებს, ფართო გამოყენება ჰქონდა XX საუკუნის ათიანი წლების მიწურულისა და ოციანი წლების დასაწყისის მსოფლიოს ქვეყნებში. ასეთი ტიპის ნიშნებით წლობით იყო გავსებული მთელ რივ სახელმწიფოთა ფულადი მიმოქცევის არხები.

1914-1922 წლებში მარტო გერმანიის ქალაქებში 43.500-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ქალაქის ფულადი სუროგატი გამოვიდა, რომელთაც ხალხი „ნოტგელდის“ სახელწოდებით მოიხსენიებდა. „ნოტგელდი“ 1935 წლამდე მიმოქცეოდა (7, 186).

1918-1924 წლების საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების სახელით გამოშვებული ფულის ნიშნების ნაკლებობისას, რასაც იმხანად ხშირად ჰქონდა ადვილი, არა მხოლოდ ქალაქები, არამედ ცალკეული საზოგადოებები, დაწესებულებები და კერძო კლუბებიც კი იძულებულნი ხდებოდნენ ებეჭდათ საკუთარი ფულადი სუროგატები, ძირითადად ქალაქის ხურდა ფულის სახით. მათ ახასიათებდა ერთობ ლოკალური მიმოქცევითი სივრცე.

1918 წელს ბათუმის საქალაქო ხაზინამ ხურდა ფულის მწვავე დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით გამოუშვა 1 მანეთის ღირებულების ყვითელი ფერის კუპიურა, ზომით 30 x 48 მმ. ცენტრში მოთავსებულ მრგვალ ჩარჩოში გამოსახულია პალმის ხე, რომლის გარშემოც გვხვდება წარწერა – „ბათუმის ხაზინის ხურდა ფულის ნიშანი“ (რუსულ ენაზე). კუპიურის ქვედა ნაწილში ასევე რუსულად არის მითითებული, რომ „გაყალბება



ამერიკის შეერთებული შტატების ფელერატიის 1.000.000.000-მანეთიანი



ისჯება კანონით“. რევერსზე არ არის არც გამოსახულებანი და არც წარწერები. ამ ნომინალის გარდა 1918-1919 წლებში ბათუმის ხაზინამ გამოუშვა უფრო მალალი ღირებულების მქონე ფულადი სუროგატებიც.

1918 წელს თბილისის „სამხედრო მომსახურეთა მოხმარების საზოგადოებამ“ გამოუშვა ზომით 80 x 53 მმ სამი შემდეგი ნომინალის მქონე ჩეკი:

- 1 მანეთი - შავი
- 3 მანეთი - მეწამული ნაერისფერზე
- 5 მანეთი - ყაფისფერი ყვითელზე.

ჩეკების ავერსზე გვხვდება შემდეგი შინაარსის რუსული წარწერები: „სამხედრო მომსახურეთა მოხმარების საზოგადოება“, „ჩეკი 1 (ან 3, ან 5 - ნ. ჯ.) მანეთი, „ქ. თბილისი“, „თავმჯდომარე“ და „ხაზინადარი.“ ამ ორი უკანასკნელი წარწერის ქვეშ ხელს აწერდნენ დასახელებული პირები და ამის შემდეგ ჩეკები ბრუნვაში შედიოდა. ჩეკების რევერსი ცარიელია.

1918 წელს „ქართულმა კლუბმა“ გამოსცა შემდეგი ფულადი სუროგატები (ზომით 125 x 60 მმ), რომლებიც დაბეჭდილია სხვადასხვა ფერის ქაღალდზე:

- 1 მანეთი - წითელი, შავი და ყვითელი
- 3 მანეთი - წითელი, შავი და მწვანე
- 5 მანეთი - წითელი, შავი და ლურჯი.

თავისი არსით კლუბის ფულადი სუროგატები ჩეკებია. მათი რევერსი, როგორც წესი,



ცარიულია. ჩეკების ავერსზე გვხვდება ქართული წარწერები: „ქ. კ.“, „ერთი (ან სამი, ან ხუთი - ნ. ჯ.) მანეთი დასახურდავებლად“, „1918“, „1. ამ ხურდას გასავალი აქვს მხოლოდ კლუბის შენობაში“, „2. ამ ხურდის განაღდება შეიძლება მხოლოდ არა ჩაკლებ ხუთი თუმნისა“, „თავმჯდომარე“, „ხაზინადარი“, „№“. ჩეკებს ხელს აწერდნენ თავმჯდომარე და ხაზინადარი, უხვამდნენ შესაბამის რეგისტრს და მხოლოდ ამის შემდეგ შედიოდა ჩეკები მიმოქცევაში.

1919 წელს „ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში“ გამოუშვა ზომებით „ქართული კლუბის“ ჩეკების ანალოგიური საკუთარი ფულადი სუროგატები:

- 10 შაური - წითელი, ყვითელი და ლურჯი
- 1 მანეთი - წითელი, ყვითელი და ლურჯი
- 5 მანეთი - წითელი, შავი და ხარისხისფერი
- 10 მანეთი - წითელი, იისფერი და ლურჯი.

ტყიბულის ქვანახშირის წარმოების ჩეკებიც ასევე ცალ გვერდზეა დაბეჭდილი. მათზე გვხვდება შემდეგი ქართული წარწერები: „ტ. წ.“, „ათი შაური (ან 1, 5, 10 მანეთი - ნ. ჯ.) დასახურდავებლად“, „1919“, „1. ამ ხურდას გასავალი აქვს მხოლოდ ტყიბულის მალაროებზე“, „2. ამ ხურდის განაღდება შეიძლება მხოლოდ მალაროების კასაში“, „თავმჯდომარე“, „ხაზინადარი“, „№“. ეს ჩეკებიც, მსგავსად დანარჩენი ჩეკებისა, მხოლოდ შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ შედიოდა ბრუნვაში.

1921 წლის მარტის დასაწყისში, ქუთაისში გადახვეწილმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ, რომელიც მძიმე ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, გადაწყვიტა ადგილზე გამოეშვა საკუთარი დროებითი ფულადი ნიშნები, რომლებიც გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, კერძოდ, მაშინ, როცა მთავრობა და ხელისუფლება თავის უფლებებში აღდგებოდა, უნდა გადაცვლილიყო ქართულ ბონებზე პარიტეტული კურსით. მთავრობის დავალებით ქუთაისის ხაზინამ გამოუშვა თეთრ, ჭვირნიშნებიან (ისინი ქართული 5.000-მანეთიანი ბონის ჭვირნიშნების ანალოგიურია) ქალაქზე შავი შრიფტით დაბეჭდილი 100 და 50 ათასი მანეთის ღირებულების ჩეკები, ორივე ზომით 210 x 95 მმ.

ქუთაისის ხაზინის ჩეკებზე მითითებულია, რომ უნდა „მიეცეს ამ ჩეკის წარმომდგენს ორმოცდაათი ათასი (ან ასი ათასი - ნ. ჯ.) მანეთი და ეს თანხა ჩამოიწეროს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ანგარიშიდან.“ აღნიშნულია ისიც, რომ ამ ჩეკების „შილება სავალდებულოა ერთი თვის განმავლობაში თანაბრათ საქართველოს ფულის ნიშნისა.“ ჩეკებს გაცემისას ეწერებოდა ნომერი, გაცემის თარიღი, გაცემული თანხის რაოდენობა და ფულის მიძღების ვინაობა. ამის შემდეგ ჩეკს ხელს აწერდნენ „ფინანსთა მინისტრი“ და „ტფილისის ხაზინადარი“. ჩეკებზე გამოსახულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი.

დევიდ მარშალ ლენგი წერს: „ჩუჩინის მიხედვით, ეს ჩეკები, რომლებიც ნამდვილი ბანკნოტებია, არასდროს ყოფილა მიმოქცევაში“ (გვ. 244).

1921 წელს თბილისის ამხანაგობა „დახმარებაში“ გამოსცა ორი ჩეკი:



„ქართული კლუბის“ 5-მანეთიანი



ქუთაისის ხაზინის 50.000-მანეთიანი

- 10 მანეთი - მავი ვარდისფერზე - 79 x 66 მმ
- 25 მანეთი - მავი წითელზე - 67 x 69 მმ

ჩვენების რუსული წარწერა გვაუწყებს, რომ ისინი უნდა გადახურდავებულიყო თბილისში, ვვანგელოვსკაიას № 8-ში მდებარე კოოპერატივის მთავარ სამმართველოში.

1923 წელს ამიერკავკასიის სსსრ-ის რკინიგზის სამმართველომ გამოუშვა საკუთარი ფულადი სუროგატები (ზომით 124 x 77 მმ) რუსული წარწერებით. მათი ფერი შემდეგნაირი იყო:

- 5.000 მანეთი - ყვითელი
- 10.000 მანეთი - ლურჯი
- 25.000 მანეთი - მწვანე
- 50.000 მანეთი - ვარდისფერი
- 100.000 მანეთი - მუქი წითელი.

გარდა ზემოთ განხილულისა, ქალაქის ფულადი სუროგატები გამოდიოდა აგრეთვე ქალაქებში: სოჭი (1918-1919 წწ.; ერთხანს სოჭი საქართველოს შემადგენლობაში იყო), გუდაუთა (1923 წ.), ოჩამჩირე და ა. შ. (6, 52-59). საქიროების შემთხვევაში საკუთარ ფულად სუროგატებს უშვებდნენ ბათუმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, ელინთა საზოგადოება ქალაქ სოხუმსა და სოფელ პილენკოვოში (აფხაზეთი) და სხვ.

ქალაქის ფულადი სუროგატების ბეჭდვა და მიმოქცევა საქართველოში ავტომატურად შეწყდა 1924 წლის 15 აპრილიდან, როდესაც შეწყდა ამიერკავკასიის სსსრ-ის ბონების გამოშვება.

### ნიკო ჯავახიშვილი

თსუ ქართული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უძეგროსი მეცნიერ-თანამშრომელი

#### ლიტერატურა

1. რაიმონ დიუგუე მისიკოვი და წამებული საქართველო. ფრანგულიდან თარგმნეს მზია და აკაკი ბაქრაძეებმა. თბ. 1994.
2. იური კაჭარაევა. საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა და სახალხო მურხნობის აღდგენა საქართველოში (1921-1925 წწ.). წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. VII. თბ. 1976.
3. ვახ. „კომუნისტი“. 18 აპრილი. 1923.
4. ვახ. „კომუნისტი“. 20 თებერვალი. 1924.
5. ვახ. „ტრაბუნა“. II იანვარი. 1923.
6. Каталог бон и дензнаков России, РСФСР, СССР, окраин и образований (1769-1927). 1 часть. Под редакцией Ф. Г. Чучина. М. 1927.
7. Щелоков А. А. Свидетели истории. М. 1987.
8. Lang D. M. War Medals and Paper-Money of Georgia in Transcaucasia (1915-24). The American Numismatic Society Museum Notes VII. New York. 1957.

## რომაელები კავკასიაში

(კიდევ ერთხელ ბეიუქ-დაშის ლათინური წარწერის შესახებ)

ერჩენიძე

1948 წელს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, კასპიის ზღვისპირა რაიონში 4 კმ დაშორებით, მთა ბეიუქ-დაშის სამხრეთ კალთაზე არქეოლოგმა ი. ჯაფარ-ზადემ აღმოაჩინა კარგად შემონახული 6-სტრიქონიანი ლათინური წარწერა – გეოგრაფიულად ყველაზე უფრო აღმოსავლეთით მდებარე მსოფლიოში ცნობილ ლათინურ წარწერათა შორის. იგი შესრულებულია მიწის ზედაპირიდან 7 მ სიმაღლეზე, 14 მ სიგანის კლდოვან დამრეც სიბრტყეზე. ასოების სიმაღლე 14 სმ აღწევს და 1 სმ სიღრმეზეა ამოკვეთილი (9, 178; 8, 342-343). წარწერა გვამცნობს:

IMP DOMITIANO  
CAESARE AVG  
GERMANIC  
L IVLIVS  
MAXIMVS >  
LEG XII FVL

IMP DOMITIANO  
CAESARE AVG  
GERMANIC  
L. IVLIVS  
MAXIMVS >  
LEG XII FVL

Imp(eratore) Domitiano  
Caesare Aug(usto)  
Germanic(o)  
L(ucius) Iulius  
Maximus centurio  
Leg(ionis) XII Ful(minatae)

„იმპერატორ დომიციანე კეისარ ავგუსტუს გერმანიკის დროს ლუციუს იულიუს მაქსიმუსი XII ლეგიონის ფულმინატას ცენტურიონი“

I საუკუნის II ნახევრის ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ არსებული წყაროების უაღრესი სიმწირის პირობებში რომაელი ცენტურიონის წარწერა მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნულ რეგიონში იმპერიული პოლიტიკის მიზნებისა და მიმართულებების გასარკვევად.

ასეთ უკიდურეს აღმოსავლეთში რომაული რაზმის გამოჩენის საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული.

ლ. ელნიცკი ლუციუს იულიუს მაქსიმუსის ცენტურიას დამსჯელ ექსპედიციად მიიჩნევს, რომელიც კასპიის კარიდან არმენიის საზღვრებამდე გადმოსულ აღან-სარმატთა ტომების ან ადგილობრივი ალბანელების წინააღმდეგ იყო მიმართული (3, 194).

ზ. იამპოლსკის აზრით, რომაული რაზმის ალბანეთის ტერიტორიაზე ყოფნა, მოვსეს ხორენაცის ერთ-ერთი ცნობის საფუძველზე, რომაული წყაროებისათვის უცნობი, კავკასიაში დომიციანეს (81-96) სარმატული კამპანიის წარმოებით აიხსნება. სვეტონიუსთან

შემონახულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დომიციანეს დროს ადგილი ჰქონდა ლაშქრობას სარმატების წინააღმდეგ (Domit. 6). ავტორი არ გამორიცხავს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის იმ ტომების, რომლებთანაც რომაელებს უხლებოდ/ბრძოლა (სარმატები, დაკები, ხატები) და ამიერკავკასიის ტომებისა და ხალხების სამხედრო-პოლიტიკური კავშირის არსებობას. მკვლევარი მაქსიმუსის რაზმის გადარდვილებას ალბანეთის ტერიტორიაზე დომიციანეს კავკასიის სარმატების წინააღმდეგ მიმართული ლაშქრობის ნაწილად მიიჩნევს (9, 180-181). უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, სვეტონიუსთან სწორედ დუნაისპირა (და არა კავკასიის) სარმატებზეა საუბარი.

ო. კუდრიავეცივი თვლის, რომ ეს ცენტურია ალბანეთში რაიმე დიპლომატიური მისიით იყო გაგზავნილი (4, 691).

გ. მელიქიშვილი ამ ფაქტის სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ჯერ კიდევ იბერიის მეფე ფარსმანე I თხოვნით მიმართავდა რომაელებს დახმარებოდნენ ალბანთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთანავე, თხოვნის საფუძველად ალბანების ანტირომაულ განწყობილებას იშველიებდა. როგორც ჩანს, I საუკუნის 80-იან წლებში იბერიის მეფემ შეძლო თავის ალბანურ ლაშქრობაში რომაელთა სამხედრო ძალების გამოყენება. ავტორი რომაულ ცენტურიას განიხილავს როგორც იბერთა ლაშქრის დამხმარე ძალას (7, 350-352). ამ ახსნას იზიარებს ნ. ლომოურიც (6, 180-181).

კ. ტრევერის აზრით, XII Fulminata-ს ნაწილები რაღაც ადგილობრივ რეიდს ახორციელებდნენ, რომელიც არა დაპყრობით, არამედ დაზვერვით, კვლევით მიზნებს უკავშირდებოდა. წარწერა კასპიის ზღვის სიახლოვეს არის შესრულებული, კასპიის ზღვა კი კვლევის ობიექტს წარმოადგენდა როგორც სელევკიდების ხანაში – ძვ. წ. III საუკუნეში, ისე ძვ. წ. I საუკუნეშიც, როდესაც პომპეუსი შეეცადა მისულისო კასპიის ზღვამდე შესადლოა, სწორედ ეს ამოცანა იდგა ლეგიონის მეთაურის წინაშე (8, 345).

უნდა აღინიშნოს, რომ რომაელთა მონაწილეობა იბერიის მიერ წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში ამ შემთხვევაში ნაკლებად მოსალოდნელია – არ გაგვაჩნია არავითარი დამადასტურებელი ინფორმაცია წყაროებში, თანაც საეჭვოა იბერიის ლაშქარი ასე ღრმად (კასპიის ზღვის ხანაპირომდე) შეჭრილიყო ალბანეთის ტერიტორიაზე. კავკასიის სარმატებზე დომიციანეს ლაშქრობაც არადამაჯერებელია, რადგან მის შესახებ წყაროებში არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, პირიქით, დომიციანეს პოლიტიკა ცალსახად არის ასახული როგორც დასავლური. ის ფაქტი კი, რომ წარწერა თითქმის 250 კმ-ით არის დამორებული დარუბანდს, ნაკლებად სავარაუდოს ხდის ლ. ელნიცკის მოსაზრებასაც. მართალი უნდა იყოს კ. ტრევერი, რომ იულიუს მაქსიმუსის რაზმის ამოცანა დაზვერვითი იყო. მაგრამ იგი სწორედ რომ სამხედრო დაზვერვას აწარმოებდა. ამ ვარაუდს, ჩვენის აზრით, მხარს უჭერს შემდეგი გარემოებები.

I საუკუნის რომაელი პოეტის სტაციუსის ინფორმაციით, დომიციანეს პრინციპატის ბოლო წლებში დიდი აღმოსავლური ლაშქრობა იგეგმებოდა, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო ვერ შედგა (13). იმპერატორის ბრძანებით, მის ძღვიანს – აბასკანტიუსს აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა უნდა შეესწავლა (Staius. Silvae. V, 1<sub>89</sub>). იმპერიული ძალები ევფრატზე ზეკვმასთან უნდა გადასულიყვნენ, შემდეგ გეზი ჩრდილოეთისაკენ აეღოთ და არაქსი გადაელახათ. სხვა ძალები უნდა შეჭრილიყვნენ მესოპოტამიაში და აეღოთ ბაბილონი. ლაშქრობის საბოლოო მიზანი ბაქტრია ან ინდოეთიც კი იყო. სირიის ლეგიონების სათავეში ჩააყენეს მეციუს ცელერი, რომელსაც აღმოსავლეთში ბრძოლის გამოცდილება გააჩნდა (Silvae. I, 4<sub>77-78</sub>, 6<sub>18</sub>; III, 2<sub>101, 135</sub>; IV, 1<sub>40</sub>, 3<sub>137, 154</sub>; V, 3<sub>185</sub>).

პუბლიუს პაპინიუს სტაციუსი (დაახლ. 45-96), ლათინური ლიტერატურის ვერცხლის ხანის ერთ-ერთი ძირითადი ფიგურა ეპიკურ და ლირიკულ პოეტებს შორის, რომში ცხოვრობდა და დომიციანეს საიმპერატორო კარის პოეტი იყო (II, 349). ის ფაქტი,

რომ იგი საკმაოდ ახლოს იყო იმპერატორის გარემოცვასთან და თანაც, დომიციანეს პირადი მდივნის — აბასკანტიუსის გულითადი მეგობარიც იყო, მის პოეტურ კრებულში — „ტყეები“ (Silvae) დაცული ინფორმაციის სახეობაზე მეტყველებს.

რომაელი პოეტის ცნობების ფონზე მეტად ნიშანდობლივია მოვსეს ხორენაცის ინფორმაცია, რომ დომიციანემ სომხეთის მეფე არტაშესის წინააღმდეგ ჯარები გაგზავნა, რომლებმაც სომხები ბასიანის ხევამდე გადარეკეს და არტაშესის წაქეზება მოქმედებდა დალებთან ერთად, მეტად შეავიწროვეს. საბოლოოდ, სმბატ ბიჭრიტიანი დახმარებამ ბრძოლის ბედი სომხების სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამ ამბის აღწერას მოსდევს მეტად საინტერესო ფრაზა: „უნდათ რა ამ [ამბავს] უმღერონ, გადმოცემაში აღნიშნულია, რომ მოვიდა ვინმე დომეტი, რომელიც იგივე დომიციანოს კეისარია. იგი თვითონ არ მოსულა ჩვენში, მაგრამ რადგან ბრძანება გასცა და [გამოგზავნა] ლაშქარი, [თქმულებებში] გადაასხვაფერეს ეს და მოსვლაც მიაწერეს“ (I, II, 54). ხორენაცმა იცის, რომ ლაშქრობა იგეგმებოდა და იმასაც აღნიშნავს, რომ იგი არ შეძგარა. ეს ცნობა თითქოს სტაციუსის ინფორმაციასთან ამჟღავნებს მსგავსებას და თანაც, I საუკუნის 80-იანი წლების მანობელ აღმოსავლეთში შექმნილ რეალურ პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება. იმპერიასა და პართიას სომხეთს შორის ურთიერთობების დაძაბულობის პირობებში გარკვეულ სამხედრო მოქმედებებს სასაზღვრო რაიონებში მართლაც ჰქონდა ადგილი და ბასიანთან რომაელთა და სომეხთა შეტაკებაც შეიძლება რეალური ფაქტების გამოძახილი იყოს. დასაშვებია, რომ ეს სამხედრო მოქმედებები სტაციუსთან დაცული ინფორმაციით დაგეგმილი აღმოსავლური ლაშქრობის ნაწილიც იყო.

დომიციანეს პრინციპატის დროს დაგეგმილ აღმოსავლურ ლაშქრობასთან მიმართებაში ბეიუქ-დაშის წარწერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. როგორც ჩანს, მაქსიმუსის ცენტურია სამხედრო კომუნიკაციების დაზვერვას აწარმოებდა, რადგან ასეთი დიდძალსტაბიანი კამპანიის პირობებში ჩრდილოეთის ზურგის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, უეჭველია, ერთ-ერთი პირველხარისხოვანი სტრატეგიული ამოცანა იქნებოდა.

სპეციალისტთა აზრით, ამ ხანებში ალბანეთს პროპარტული პოზიცია უკავია (7, 352; 10, 181). რამდენად შესაძლებელია ამ ქვეყნის ტერიტორიაზე რომაელთა რაზმის დაუბრკოლებლად გამოჩენა? ჩვენის აზრით, ალბანეთის ანტირომაულ მისწრაფებებს საფუძვლად უფრო ანტიიბერიული განწყობილება ედო, რადგანაც ეს ხანა ალბანეთის წინააღმდეგ ქართლის სამეფოს მხრიდან მიმართული განუწყვეტელი აგრესიის ხანაა. ამდენად, ნაკლებად სავარაუდოა, ალბანეთის მეფეს რაიმე წინააღმდეგობა გაეწია რომაული რაზმის მის ტერიტორიაზე შეყვანისათვის აგრესიული იბერიის არსებობისა და პართიარმენიისაგან დახმარების მიღების თითქმის არანაირი შესაძლებლობის პირობებში.

როგორი იყო XII Fulminata-ს ცენტურიის მარშრუტი, რა გზით მოხვდა იგი ალბანეთში? შესაძლოა, რომაელები იბერიაზე გავლით გადმოვიდნენ. მომდევნო პერიოდში სწორედ XII ლეგიონი კურირებს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს (5, 87; 12). ასე რომ, მათი კოლხეთიდან ალბანეთში მოხვედრა სავსებით შესაძლებელია. ამ შემთხვევაში რომაელთა რაზმი ტრანსკავკასიურ მაგისტრალს მიჰყვებოდა. სავარაუდოა მეორე გზაც — via Armenia. ამაზე შესაძლოა მოუთითებდეს არაქსთან ნაპოვნი ლათინური წარწერა, რომელშიც ასევე XII Fulminata იხსენიება (8, 345-346).

ზ. იამპოლსკი ბეიუქ-დაშის წარწერას 89-96 წლებით ათარიღებს. ზედა ზღვარი დომიციანეს მკვლელობის თარიღია, ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი კი მას მოვსეს ხორენაცის ცნობიდან გამოჰყავს: „დასავლეთში რაღაც არეულობა ჩამოვარდა. ამით დაიმედებულმა არტაშესმა გადაწყვიტა აღარ დამორჩილებოდა რომაელთა ხელისუფლებას, არ მიეცა მათთვის ხარკი. მაშინ განრისხებულმა დომიციანოს კეისარმა ჯარები გაგზავნა არტაშესის წინააღმდეგ“ (I, II, 54). ამ „არეულობაში“ ზ. იამპოლსკი ანტონინუს სატურნინუსის აჯანყებას (89 წ.) გულისხმობს და რადგანაც მკვლევარის მოსაზრებით,

„სომხეთის ისტორიაც“ დომიციანეს აზიურკავკასიაში ლაშქრობის ფაქტს ადასტურებს, რომაული სამხედრო ძალების არმენიაში ყოფნას იგი 89-96 წლებით განსაზღვრავს. ამავე ქრონოლოგიურ მონაკვეთზე ვარაუდობს წარწერის შესრულებასაც (9, 181-182).

89 წ. 1 იანვარს მაინცში მდგომმა ორმა ლეგიონმა ზემო გერმანიის ლეგატი – ანტონინუს სატურნინუსი იმპერატორად გამოაცხადა. მან სხვადასხვა ტომებში მძიმე და აქტიური მოქმედებისათვის მოემზადა. შეიქმნა კრიზისული მდგომარეობა. დომიციანემ ესპანეთიდან გადმოისროლა ლეგიონი VII Gemina და ჩრდილოეთისაკენ გაემართა. სატურნინუსის დამარცხება ქვემო გერმანიის ლეგატის – აპიუს მაქსიმუს ნორბანუსის პოზიციამაც განაპირობა – იგი იმპერატორის ერთგული დარჩა და სიტუაციაც ძალზე სწრაფად განიმუხტა (15, 172-173).

სატურნინუსის აჯანყების სინქრონული იყო აღმოსავლეთში ცრუ ნერონის (Falsi Neroni lubidrius) ხელახალი გამოჩენა (Suet. Nero. 57; Tacit. Hist. I, 2). იმპერატორ ნერონის (57-68) უეცარ და საიდუმლოებით მოცულ სიკვდილს შემდგომ წლებში არაერთი პიროვნების გამოჩენა მოჰყვა, რომელნიც თავს გადარჩენილ იმპერატორად აცხადებდნენ. ერთ-ერთი მათგანი, ვინმე ტერენციუს მაქსიმუსი, მიმდევართა ჯგუფთან ერთად პართიაში გაიქცა, სადაც არტაბანე IV-ის მხარდაჭერა პპოვა (Dio. LXVI). 89 წლისათვის ცრუ ნერონი კვლავ გამოჩნდა პართიაში (არ ჩანს ეს ისევ მაქსიმუსია, თუ უკვე სხვა კანდიდატი). ეს მომენტი ხელსაყრელი იყო პართელთათვის – რომაელები დაკებთან ომში იყვნენ ჩაბმულნი. ამას სატურნინუსის აჯანყებაც დაერთო. მაგრამ სატურნინუსის მარცხმა და რომაელთა მოთხოვნამ (შესაძლოა მუქარამაც) პართიის მუყუე პაკორი აიბულა გაეცა ცრუ-ნერონი (Suet. Nero. 57; Statius. Silvae. IV, 3<sub>110</sub> – Eoae citius venite laurus).

ჩვენის აზრით, შესაძლოა სწორედ პართიის მხრიდან ცრუ-ნერონის გამოჩენასთან დაკავშირებულ პროვოკაციის საპასუხოდ დაიგეგმა აღმოსავლეთის ლაშქრობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ 88 წლის ბოლოსათვის სირიის საზღვარზე იმპერიული ძალების კონცენტრაციას ჰქონდა ადგილი (15, 144, შენ. 2), შესაძლოა, ფრთხილი პიპოტეზის სახით, ლუციუს იულიუს მაქსიმუსის რაზმის აღბანეთში გამოჩენა პართიასთან ურთიერთობის უკიდურეს გამწვავებას დაუეკავშიროთ და წარწერის შესრულების თარიღად 88-89 წლები მივიჩნიოთ. ამავე დროს დაგვეხილოთ სამხედრო კამპანია არ შედგა, მაგრამ აღმოსავლური ლაშქრობის იდეა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. 95 წელს სტაციუსი ჯერ კიდევ აღმოსავლეთში მოსაპოვებელ მომავალ გამარჯვებებზე საუბრობს (Silvae. IV, 3<sub>153-154</sub>).

6060 მიწიშვილი

თსუ საქართველოს ისტორიის  
კათედრის ასპირანტი

ლიტერატურა

<p>1. ბოესს ხორენაცი. სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთოთ ალექსანდრე აბლაღაძემ. თბ. 1984.</p> <p>2. <b>Гай Светоний Транквилл.</b> Жизнь двенадцати цезарей. Перевод с латинского, предисловие и послесловие М. Л. Гаспарова. М. 1990.</p> <p>3. <b>Ельницкий Л. А.</b> Северочерноморские заметки. ВДИ. N 1. 1950.</p> <p>4. <b>Кудрявцев О. В.</b> Колхида, Иберия и Албания в I-II вв. н. э. в кн.: Всемирная История. II. 1956.</p> <p>5. <b>Леквинадзе В. А.</b> Понтийский лимес. ВДИ. N 2. 1969.</p> <p>6. <b>Ломоური Н. Ю.</b> Грузино-Римские взаимоотношения. Тб. 1981.</p> <p>7. <b>Меликишвили Г. А.</b> К истории древней Грузии. Тб. 1959.</p>	<p>8. <b>Тревср К. В.</b> Очерки по истории и культуре Кавказской Албании. М. Л. 1959.</p> <p>9. <b>Ямпольский З. И.</b> Вновь открытая латинская надпись у горы Белок-даш. ВДИ. N 1. 1950.</p> <p>10. Dio's Roman History. With an English translation by E. Cary. vol. II. London. 1954.</p> <p>11. Encyclopaedia Britannica. vol. 21.</p> <p>12. <b>Mitford T. B.</b> Some inscriptions from the Cappadocian limes. YRS. 1974.</p> <p>13. <b>Staius Publius Papinius.</b> With an English translation by Y. H. Mozley. vol. I. Silvae. LCL. London. 1955.</p> <p>14. <b>Tacitus Cornelius.</b> The Histories. With an English translation by Cl. Moore. London. 1963.</p> <p>15. The Cambridge Ancient History. vol. XI. Camb.</p>
---	---



ვახტანგ ავაკიმიანი  
ფოტო  
დაეთით სომეგარიასი  
სეპეტი. 1981.

აშშ-ში მცხოვრები ქართველი ხელოვნების ისტორიკოსი და არქეოლოგი პროფესორი ვახტანგ ჯობაძე დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ავტორიტეტული მედიევისტო მკვლევარია. იგი დაიბადა თბილისში, 1917 წელს. ხელოვნების ისტორიით ჯერ კიდევ საზღვარგარეთ წახვლამდე, მორე მსოფლიო ომის წინა წლებში დაინტერესდა. 1940 წელს თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ვ. ჯობაძე გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი პირველი ასპირანტი ხელოვნების ისტორიის განხრით. ომის შემდგომ სწავლობდა ფრაიბურგის, გოტინგენისა და სორბონის უნივერსიტეტებში. 1950-იანი წლებიდან დაშვილდა ამერიკაში და ნაყოფიერად მოღვაწეობდა ჯერ აუტას, შემდეგ კი კალიფორნიის უნივერსიტეტში.

ვახტანგ ჯობაძის საიქცნაო ინტერესების სფერო ძალიან ვრცელია. ძირითად ყურადღებას იგი ყოველთვის ქართულ სიტყვებზე უთმობდა. მისი პირველი დიდი ნაშრომი – საღვთობის დისკურსაცია (1949 წ.) ხახულის ხატს ეხებოდა. დაწერილი აქვს გამოკვლევები ქართული ტიხრული მინანქრების, მცხეთის ჯვრის რელიეფების, ხომის ტაძრის გალერეაში ჩართული ამბიონის ფრაგმენტების შესახებ. საყოველთაო აღიარება მოუტანა მკვლევარს ჩრდილოეთ სირიის ქართული მონასტრებისადმი მიძღვნილმა ორმა ფუნდამენტურმა მონოგრაფიამ, რომლებშიც თავმოყრილი და გაანალიზებულია უძველესი მასალები.

საგანგებოდ არის აღსანიშნავი ვ. ჯობაძის დიდი ტაო-კლარჯეთის არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების მკვლევების შესწავლაში. 1965-1983 წლებში მან რვა ექსპედიცია მოაწყო ამ რეგიონში და უზარმაზარი შრომა გასწია როგორც ახალი მასალების გამოვლენის, ისე მისი მკვნიურული დამუშავების თვალსაზრისით, ამ შრომის შედეგად დაიწერა ხუთი წერილი ტაო-კლარჯეთის ხელოვნების ცალკეულ საკითხებზე (დაიბეჭდა წამყვან მედიევისტურ ჟურნალებში) და საბოლოოდ, ფუნდამენტური წიგნი – „შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთისა და შავშეთში“ („Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klardjet i and Savset'i“), რომელიც 1992 წელს გამოიცა შტუტგარტში ინგლისურ ენაზე. წიგნში დაწერილებით არის განხილული „თურქეთის საქართველოს“ უნიშვნელოვანეს მონასტრო ცენტრებში – ობიხაში, ახიხაში, ხანძთაში, ენი-რაბათში, დოლისყანაში, ანში, ბანაში, ოშკში, ხახულში, ოთხთა ეკლესიაში, პარხალში, იშხანში, ტბეთში შემონახული ეკლესიები და სხვა ნაგებობანი, მათი ფრესკული თუ სკულპტურული დეკორი და წარწერები.

წერილი ხანძთის მონასტრის შესახებ, რომელსაც ეთავაზობთ მკითხველს, 1994 წელს დაიბეჭდა ჟურნალში „Oriens Christianus“ (№ 78). აქვე გვსურს მასალის მოწოდებისათვის დიდი მადლობა მოვახსენოთ აკად. ელენე მებრეკელსა და ჟურნალ „მაცნეს“ (ენისა და ლიტერატურის სერია) რედაქციას.

# ხანძთის წმ. გიორგის მონასტერი

(მოკლე მიმოხილვა)\*



1. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“<sup>1</sup> (საქართველოს მონასტრების შესახებ)  
როგორც წყარო ტაო-კლარჯეთის მონასტრების შესახებ

## შესავალი

1960-იანი წლების დასაწყისიდან ხელოვნების ისტორიკოსთა ინტერესი ისტორიული ქართული მიწების – ტაო-კლარჯეთისა და შაქშეთისადმი კვლავ გამოცოცხლდა და მას შემდეგ თანდათან იზრდება. მაგრამ მეცნიერთა უმეტესობას იზიდავს უპირატესად X-XI საუკუნეებში აგებული ან განახლებული დიდი ეკლესიები და კათედრალები. ნაკლები ყურადღება ექცევა აღრიხდელ მონასტრებს, რომლებიც VIII-IX საუკუნეთა მიჯნიდან მოყოლებული ააშენა ან დააარსა სამონასტრო მოძრაობის დაუღალავმა და თავდადებულმა ინიციატორმა – დღევრძელმა გრიგოლ ხანძთელმა. კლარჯეთში იგი 782 წლის ახლო ხანებში ჩავიდა და დარჩა აქ სიკვდილამდე, 861 წლამდე. მან მეტად არახელსაყრელ პირობებში, თითქმის სრულიად დაუხმარებლად, წამოიწყო მონასტრების გაშენება ამ მხარეში, რომელიც გაუკაცრიელებული და გაჩაჩაგებული იყო მარვან II იბნ-მუჰამადის 736-738 წლების დამსჯელი ლაშქრობისა და შაკიჭირის ეპიდემიისაგან<sup>1</sup>.

გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფია 951 წელს დაწერა ცნობილმა მწერალმა გიორგი მერჩულემ<sup>2</sup>. არსებულ წერილობით წყაროთაგან ის ყველაზე ვრცელ და დაწვრილებით ცნობებს შეიცავს კლარჯეთის საერო და სამონასტრო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შესახებ VIII საუკუნის ბოლოდან X საუკუნის შუახანებამდე. გიორგი მერჩულე, გრიგოლის მთავარი მონასტრის – ხანძთის ერთ-ერთი ბერი, რომელიც დაჯილდოებული იყო როგორც ლიტერატორის, ისე იურისტის ნიჭით, როგორც ჩანს, სანდო ავტორია. იგი კარგად ერკვეოდა არა მხოლოდ ხანძთასა და კლარჯეთის სხვა მონასტრებში მომხდარ მოვლენებში, არამედ რეგიონის საერთო სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაშიც. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ – ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლი და ამასთანავე, სანდო ისტორიული წყარო, ოსტატურად გვიხატავს სამონასტრო და სამოქალაქო საქმიანობის სხვადასხვა მხარეს: 1) ადგილის შერჩევა და მომზადება მონასტრის გასაშენებლად და თავად შშენებლობის პროცესი; 2) სამონასტრო კოლონიზაციის თანდათანობითი განვითარება; 3) სამონასტრო ინსტიტუციის მნიშვნელობა; 4) კანონიკური თეოლოგიური კონცეფციების მკაფიო ჩამოყალიბება; 5) მონასტრებისა და საერო ხელისუფალთა თანამშრომლობა; 6) სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები.

ამ წერილის მიზანია გიორგი მერჩულეს ბიოგრაფიული თხზულების ზოგიერთი ზემოთ ნახსენები ასპექტის მოკლე განხილვა, რაც გააიოლებს სამონასტრო ინსტიტუციის არსის გაგებას და თავად არქიტექტურული ნაგებობების კვლევას. ასევე მოკლედ შევეხები ჩემს მიერ ხანძთაში ჩატარებულ სამუშაოს, რაც, ვიმედოვნებ, შეავსებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ცნობებს.

## მონასტრის დაარსება

დაახლოებით 782 წელს ნეტარმა გრიგოლმა თავის სამ მეგობართან ერთად ფარულად დატოვა იმხანად არაბთა ხელში მყოფი ქართლი და კლარჯეთს მიაშურა. იგი ჩავიდა ოპიზის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში. გრიგოლმა მალე გადაწყვიტა წამოეწყო ფართო სამონასტრო მოძრაობა და დაიწყო თავისი სავანის ასაგებად შესაფერისი ადგილის ძებნა, რაც კლარჯეთის მთიან რეგიონში არცთუ ისე იოლ ამოცანას წარმოადგენდა. ეს სიძნელეები აღწერილია მის „ცხოვრებაში“:

\* ინგლისურიდან თარგმნა ლევონი ხოშტარიანი.



„რამეთუ ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანამ უდაბნოთამ მათ და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიცხი შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცოცხე შეაურევს მყოფთა მასთა. არამედ განწესებით დგას თვისსა საზღვარსა უნოტიოთ, უხრბაკოთ, უმიწოთ, მზუარს, რამეთუ კაცთა ნახუნნი ფერკითანი არა ოდეს თიკიან ექმნებიან სიგასა/მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შეშამ ნებისაებრ უნაკლულად აქუს აღმოცენებული ქუეყანა მათ შინა, ურიცხე მალნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთამ, ბუნებით მხიარულება მიცემულ არს თვისსაგან. და არს იგი უგზო და მიუვალ რამეთურთით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ დადოთა მათთა შინა მალალოთა არს მკვდრობამ მათი. და შორტყმულ არს ერთ კერძო მათამ იგი და ერთ კერძო მაყმეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვამ გარე-მოადგს ზღუდის სახელ უძრავისა.

და ესრეთ ყოვლით კერძო შეზღუდვილ არიან მათთა მიერ, და კვენებისა, და წყალთა მათგან საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაჲსა, და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანამ, არცა ყანამ საენავი, არამედ დიდითა შრომითა როჭიკისა მისლვამ აქუს კარაულისა ზურგიითა. და მკირედ ვენა კნი ჭირით და ურკით დაუნერგვარ და ვგრეთვე მტილები, ხოლო მხალთა ველისათამ არს სიმრავლე ურიცხე. და ამას ყოველსა თანა უშიშ არს გული მათი უქრისტოთა მათ ურწმუნოთაგან შერყვისაგან და ყოვლისა ძრვისა უამსა კელმწიფეთა მტერობისასა. და ესრეთ მრავლითა მშვიდობითა მყუდროებით არიან ყოლადვე და ქრისტესა ადიდებენ“.

სხვა აბზაცი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად მრავალი მიმზიდველი თვისებისა, ხანძთაში არ იყო მონასტრის არსებობისათვის საჭირო ყველა პირობა. ერთ-ერთ მთავარ ნაკლს წარმოადგენდა სახნავი მიწების სიმცირე<sup>1</sup>. და მაინც, გადაწყდა მონასტერი აქ აგებულიყო.

ბერებმა აღავლინეს ღოცვა, იგალობეს ფსალმუნი (89: 1-2, 65: 11-13, 90: 16-17, 121, 124: 8), ჯარი გარდასახეს სამშენებლოდ განკუთვნილ ადგილს და დაიწყეს მუშაობა. პირველად აშენდა ხის ეკლესია, შემდეგ მათა სენაკები და ბოლოს, გრიგოლის საკუთარი სენაკი („საყუდელი“) და დიდი დარბაზი – სატრაპეზო, რომლის ნაწილები ახლაც არის შემორჩენილი<sup>2</sup>. მაგრამ VIII საუკუნის ბოლოს აგებული ხის ეკლესია, როგორც ჩანს, გრიგოლის სიცოცხლეშივე განადგურდა – დაახლოებით ოცი წლის შემდეგ, ჯერ კიდევ აშოტ კურაპალატის სიკვდილამდე (826 წ.) საჭირო გახდა ახალი, ამჯერად ქვის ეკლესიის აშენება<sup>3</sup>.

აშოტ I კურაპალატის წარმატებამ ქართული სამეფოს აღდგენის საქმეში (ბიზანტიის მფარველობაში მყოფი ტერიტორიების შექნის ან დაპყრობის გზით) დიდად შეუწყო ხელი საერთო პირობების გაუმჯობესებას. ამ გარემოებამ, როგორც ჩანს, არაბთა ბატონობას გამოქცეული უამრავი ლტოლვილი მიიზიდა. ბერების რაოდენობა ხანძთის მონასტერში თანდათან უნდა გაზრდილიყო და სამოციოდე წლის მერე, უკვე გრიგოლის სიკვდილის შემდეგ, განიდა ახალი ეკლესიის აშენების საჭიროება. ის კვლავ ქვით აიგო და წმ. გიორგის მიეძღვნა. ეს უკანასკნელი მშენებლობა დაიწყო აშოტ კუხმა (896-918) და დაასრულა მისმა შემკვიდრემ გურგენმა (გარდაიცვალა 941 წელს).

ხანძთაში ჩატარებული სამი ძირითადი მშენებლობის გაცნობას საგუჯლისხმო შედეგამდე მივყავართ: პირველი ეკლესია დიდი წყალებით ააგეს თავად ბერებმა ვისიმე დახმარების გარეშე, უმარტივესი იარაღებით. ოპიზის ძმობამ მათ გაუნაფაყი ხუროები მიაშველა. ეს საკვებით შეესაბამება იმ უკიდურეს სიძნელეებს, რომლებსაც ახლადჩამოსული ბერები და საერო ხელისუფალნი წააწყდნენ ამ გაჩანაგებულ მხარეში. მაგრამ უკვე აშოტ კურაპალატის მმართველობის პერიოდის დასაწყისში ქვეყნის ეკონომიკა, როგორც ჩანს, მოღონიერდა, რასაც მოწმობს ხანძთაში მეორე და შემდეგ მესამე ეკლესიების აგება და სხვა თერთმეტი მონასტრის დაარსება.

### მფარველობა და თანამშრომლობა მონასტრებსა და საერო ხელისუფლებას შორის

ასეთი მასშტაბის სამუშაოები ვერ ჩატარდებოდა კლარჯეთის საერო ხელისუფალთა მატერიალური ხელშეწყობის გარეშე. ხანძთის პირველი ქვის ეკლესიის მშენებლობის აღწერა გვიჩვენებს, რომ ის გასრულდა ადგილობრივი აზნაურის გაბრიელ დაფანჩულის შემწეობით. მან არა მხოლოდ უხვი შესაწირავი მისცა გრიგოლს, არამედ თავისი ოსტატებიც მიახმარა<sup>4</sup>. ეს არის პირველი მაგალითი მატერიალური მხარდაჭერისა, რომელსაც საერო დიდებული აღმოუჩენს



სამონასტრო ძმობას კლარჯეთში. მაგრამ გაბრიელ დაფანჩულის გულუხვობა უანგარო არ უნდა ყოფილიყო, როგორც გვინვენებს ქველმოქმედის შემდეგი მიმართვა გრიგოლისადმი:

„აწ ჩუენ თანა არს კორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესე შეეხავენეთ ურთიერთას. თქუენ მონაწილე გუყვებით წმიდათა ღოცვათა თქუენთა ცხორებასა ამას და შემდგომად სიკუდილისა, და ძუალნი ჩუენნი ღირს ყვენით დასხმად წყაღეთა ძუალთა თქუენთა, და ღოცვაჲ ჩუენთუს უკუნისამდე განაწესეთ მონასტერსა თქუენსა და წუენს ძღუითქუამთ ცხორებასა ჩუენსა და ცხორებასა შვილთა ჩუენთასა. შვილითი-შვილადმდე თანა-გუაც თქუენი ღუწაჲ და მონასტრისა თქუენისაჲ უამთა უკუნისამდე“<sup>48</sup>.

მართლაც, გიორგი მერჩულე დასძენს, რომ ამ პირობის შესაბამისად, დაფანჩულოთა გვარის ძამაკაცებს, რომლებიც ხანძთაში დაიკრძალნენ, ბერები კვლავაც იხსენიებენ თავიანთ ღოცვებში. ასეთსავე შეთანხმებას მიაღწია გაბრიელ დაფანჩულმა გუნათლეს დედათა სავანის მშენებლობის დროსაც თავისი ოჯახის წევრი ქალებისათვის, რომლებიც აქ ჰპოვებდნენ საძუდამო განსასვენებელს<sup>9</sup>.

სხვა შემთხვევაში, აშოტ I კურაპალატი, შეიტყობს რა ნაყოფიერი მიწების ნაკლებობის შესახებ, ხანძთის სწრაფად მზარდ მონასტერს შესწირავს დიდ მამულებს, მათ შორის შატბერდსაც. ბერ-მონაზვნობის მფარველობა აშოტის სიკვდილის (826 წ.) შემდეგაც გრძელდება. როცა გრიგოლი გადაწყვეტს შატბერდში მონასტრის აგებას, აშოტის შვილი ბაგრატ კურაპალატი (826-878) მას დამატებით უბოძებს ახალ მიწებს და ყველაფერს, რაც საჭიროა მონასტრის ასაშენებლად<sup>10</sup>. ასევე, ხანძთის შორე ქვის ეკლესია აიგო შატბერდიანური დახმარებით აშოტ კუხისა (896-918), რომელიც იყო „მონაგებთა შემწირველი და გლახაკთა მოლუაწე და დაემარხა ხანცთას“<sup>11</sup>.

თანამშრომლობა სახელმწიფოსა და მონასტრებს შორის ვითარდებოდა, რადგან აშოტ I-ს, გრიგოლ ხანძთელის თანამედროვესა და თავისი დროის უდიდეს ფიგურას, ალბათ ნათლად ესმოდა, რომ სახელმწიფოებრიობის აღსადგენად არ კმაროდა მხოლოდ პოლიტიკური წარმატებები. საჭირო იყო ხელის შეწყობა მონასტრებისადმი, რომლებიც იქცეოდა ცოდნის კერებად და ბიზანტიური კულტურის შეთვისების ცენტრებად.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთპატივისცემა აისახა იდეოლოგიურ სფეროშიც. აშოტთან საუბარში გრიგოლი ამბობს: „რამეთუ თქუენ, კელმწიფენი, უფალ-გყვნა ღმერთმან ქუეყანასა განგებასა, ვითარცა გულის, ქმა-გჰყოფთ კეთილისა ყოფასა ღმრთისასა ჩუენდა მომართ მუყობითა შენითა“<sup>12</sup>. აშოტი საპასუხოდ ასე განაღიღებს გრიგოლს: „მეფეთა ისრაშლისათა უამად-უამად წინასწარმეტყუელი აღუდგინის ღმერთმან სიქადულად მათა და ზღუდედ შჯულისა, და შესაწევნელად მორწმუნეთა და სამხილებელად ურწმუნოთა, ეგრეთვე უამთა ჩუენთა შენ გამოგაჩინა ღმერთმან ქრისტეანეთა სიქადულად. და რათა მას იღუწიდე ჩუენთუს წმიდითა ღოცვითა შენითა წინაშე ქრისტსსა და წმიდათა მისთა“<sup>13</sup>. ამაზე გრიგოლი მიუგებს: „დავით წინასწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულთ კელმწიფეთ, მეფობაჲ და სათხოვანიცა მისნი დაგიმკდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისათუსცა ამას მოგაკსენებ: არა მოაკლდეს მთავრობაჲ შვილთა შენთა და ნათესავთა მათთაჲ ქუეყანასა ამათ უკუნისამდე უამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროჲს კლდეთა მყართა და მათთა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე“<sup>14</sup>.


საქართველოს ხელისუფალთა დვთაებრივი წარმოშობის ეს წმინდა ფორმულა (მას ამავდროულად ვხვდებით კონსტანტინე პორფიროგენეტთანაც<sup>15</sup>. შესაძლოა, იგი სპორადულად მანამდეც არსებობდა) წარმოადგენს ბაგრატიონთა მმართველი სახლის იდეოლოგიური საფუძვლის საბოლოო რედაქციას, რომელიც შეიძლება გრიგოლ ხანძთელს მიეწეროს. ამით ბაგრატიონთა დინასტია მსოფლიოში უძველესად ცხადდება.

ხელისუფლის დვთაებრივი წარმომავლობის ანტიკური კონცეფციის აღდგენისადმი სწრაფვა აისახება აგრეთვე მმართველის საერო რეზიდენციის, მისი სასახლის წმინდა სახლთან — ეკლესიასთან გატოლებაში. მაგალითად, ტერმინი „ტამარი“, რომელიც ახ. წ. V საუკუნიდან ქართულ ლიტერატურაში (სახელდობრ, იაკობ ცურტაველის „წმ. შუშანიკის წამებასა“<sup>16</sup> და თვით გიორგი მერჩულეს თხზულებაშიც<sup>17</sup>) გამოიყენება მეფის სასახლის ან უმაღლესი დიდგვაროვნის საცხოვრებლის მნიშვნელობით, თანდათან ეკლესიის აღსანიშნავადაც იხმარება<sup>18</sup>.

### მშენებლობის პროცესი და საშენი მასალები

გიორგი მერჩულე მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის მონასტრების მშენებლობის პროცესისა და გამოყენებული მასალების შესახებ. როგორც ირკვევა, ხანძთაში, პარუხთაში და ზოგან სხვაგანაც, კლარჯეთის მონასტრები იგებოდა სპეციალურად მოსწორებულ ბაქნებზე, რომლებიც ჩვეულებრივ ციცაბო მთების მზიან სამხრეთ ფერდობებზე მდებარეობდა. ამ ბაქნების მოშენება უაღრესად რთული იყო. გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფი ამასთან დაკავშირებით იტყობს:

„ხოლო იყო ჟამსა მას ხანძთას წინამძღურად მამაჲ არსენი, ნათესავით აზნაური. ამისითა განზრახვითა იქმნა დაწყებაჲ ახლისა მის და შუენიერისა ეკლესიისაჲ ფიცხელსა მას კლდესა



ხანძთის მონასტერი. საერთო ხედი აღმოსავლეთიდან. ნიკო მარის ფოტო. 1904.

ზედა, რომელიცა ფრიადითა შროძითა და ქვათკირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დააკაკეს და ესრეთ შეპრაცხეს შემზადებაჲ ადგილისაჲ მის, ვითარცა სრულიად აღუშენა<sup>19</sup>.

ჩვენი გამოკვლევა ადასტურებს მოყვანილი ციხატის სისწორეს და ამასთანავე გვიჩვენებს, რომ სივრცე ფერდობსა და საყრდენ კედელს შორის მთლიანად არ ამოუვსიათ მიწით.

სამშენებლო ტექნიკაზე დაკვირვებით შეიძლება გამოიყოს მშენებლობის ორი პერიოდი: პირველი, რომელიც მოიცავს VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნეს, ხუროთმოძღვრული, ცუდად გათლილი ქვების გამოყენებით. ბევრგან ღრეჩოები არათანაბარ ფენებს ქმნიან კვანძებითაა შევსებული, ხსნარის ძალზე მცირე რაოდენობის ხმარებით. ყველა შემთხვევაში დუღაბის „გული“ შიდა და გარე პირითა წყობას შორის მინიმალურია.

მეორე პერიოდში ბლოკები თანაბარზომიერია (0,25 x 0,30 მ.) და მკაცრად თანაბარ, სწორ რიგებს ქმნის. ზოგან ისინი ძალიან სუფთა მართკუთხა მოყვანილობისაა, პირითა მხრიდან გლუვად გათლილი და ისე აკურატულად მორგებული, რომ მათ კედლებს შორის ხსნარი არ ჩანს<sup>20</sup>. ყოველივე ეს მიგვანიშნებს კლარჯეთის ეკონომიკური ძვგომარეობის სწრაფ გაუმჯობესებაზე და აგრეთვე ხურითა ისტაბლობის სრულყოფაზე. მართლაც, ამ პერიოდში ჩნდებიან ისეთი ცნობილი ხურითმომძღვრები, როგორიც არის ამონა — ხანძთის უკანასკნელი ეკლესიის მამშენებელი, რომელსაც მონასტრის წინამძღვარი „სიბრძნით სრულიად მამშენებელს“ უწოდებს. მაგრამ მონასტრის მიდამოებში ყოველგვარი მასალა როდი მოიპოვებოდა. ხანძთაში კირი და ქვაც კი, რომელსაც მშენებლები წონით ყიდულობდნენ<sup>21</sup> და „ფრად შორით“ მოქონდათ, მხოლოდ ზურვით, საცალფეხო ბილიკით შეუძლოთ მიეტანათ და არა ურიკებით ან საბაღნე ცხოველებით, როგორც შეიძლებოდა გვეუიქრა.

### სამონასტრო ცხოვრების პირობები

გიორგი მერჩულეს თხზულება შთაბეჭდილებას გვიქმნის ხანძთის ძმობის ყოველდღიურ ცხოვრებაზეც. წესდებას, რა თქმა უნდა, მკაცრად იცავდნენ. ამის შესახებ ვკითხულობთ:


„არამედ პირველთა მათ დღეთა ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისთა ფიცხელ იყო ფრად კანონი მოწაფეთა მისთაჲ, რამეთუ სენაკთა მათთა შინა იყო მცირე სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითოჲ სარწმუნო წყლისათჲს, ხოლო სხუაჲ ნუგეშინის-საცემელი კორცთაჲ არაჲ აქუნდა საჭამადისაჲ და სასუამადისაჲ ყოლადვე, არამედ რომელი ტრაპეზისა ზედა ერთბამად ჭამიან, მით იყო ცხოვრებაჲ მათი და მრავალნი მათგანნი არა სუძიდეს დუნოსა ყოლადვე და რომელნიცა მიიღებდეს, მცირედ იკუმევედეს. და სენაკებსა მათსა საკუამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღევზებოდა, და არცა ღამშ სახთელს აღანთიან, არამედ ღამე იყო ფსალმუნებაჲ და დღისი წიგნის კითხვაჲ და ლოცვაჲ მარადის, ვითარცა იტყვის დავით: „დღისი ამცნო უფალმან წყალობაჲ მისი და ღამშ კაღლობაჲ მისი“ (ფსალმუნი, 41: 8)<sup>22</sup>.

ბერები ქველმოქმედებასაც ეწეოდნენ, რაც მოიცავდა ობოლთა დახმარებას, გაჭირვებულთა ნუგეშისცემასა და მათთვის მოწყალების მიცემას. ქონების გარკვეული რაოდენობა, რომელსაც „ლარიბთა წილი“ ეწოდებოდა, განკუთვნილი იყო გაჭირვებულთა შორის გასანაწილებლად, ვინაიდან, როგორც გრიგოლი იტყობდა, არავინ ზრუნავს გლახაკთათვის, გარდა ღმერთისა<sup>23</sup>.

გრიგოლი ცნობილი იყო როგორც მკაცრი, ურყევი მორალისტი, როცა აშოტ კურაპალატმა თავის სასახლეში ხარჭა მოიყვანა, „რომლისა თანა იმრუშებდა“, გრიგოლი დიდად შეწუხდა. მან მკაცრად გააკიცხა მეფე და დაარწმუნა ქალი, მიეტოვებინა აშოტი და მონასტერში წასულიყო. გრიგოლი იქამდე ჩაერია აშოტის პირად ცხოვრებაში, ვიდრე მეფემ არ მოინანია თავისი სამარცხვინო საქციელი და ესლა თქვა ნაღველიანად: „ნეტარ მას კაცსა, ვინც არღარა ცოცხალ არს“<sup>24</sup>.

### წმინდა ნივთების შემოტანა

წესდება და წმინდა ნივთები, რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო მონასტრის სათანადო ფუნქციონირებისათვის. ისინი უნდა შემოეტანათ სირიიდან, პალესტინიდან და კონსტანტინოპოლიდან. ერთხელ გრიგოლმა თავის დედის დისწულ საბასთან ერთად იმოგზაურა კონსტანტინოპოლში, სადაც მათ მოიხილეს და მოილოცეს მთავარი სიწმინდეები. ხანძთაში დაბრუნებისას მათ თან წამოიღეს მრავალი წმინდა ნაწილი, ხატები და მრავალგვარი ეკლოგია<sup>25</sup>. საეკლესიო კრება, რომელიც გვარამ მაბჟალმა 845-850 წლებს შორის მოიწვია ჯავახეთში, გვაფიქრებინებს, რომ



Խոնձուռի Բրնձեկցբերն, Երզնթու Երկրի Երկրագործական Սնունդի Երկրագործական

კონსტანტინოპოლიდან კლარჯეთში შემოქონდათ არა მხოლოდ ხატები, ხელნაწერები და სხვა წმინდა საგნები, არამედ აგრეთვე ახალი, პროგრესული იდეებიც<sup>26</sup>, რაც მოწმობს \*სურვილს გადმოენერგათ საბერძნეთის ცნობილი ცენტრებიდან ქრისტიანული მოძღვრების შესაბამისი სანიმუშო წესები.

სხვა შემთხვევაში გრიგოლმა სთხოვა თავის მეგობარს, რომელიც იერუსალიმში მიემგზავრებოდა, გადმოეწერა მისთვის საბაწმინდის ლავრის ტიპიკონი<sup>27</sup>, რომელიც მან შემდგომში გადაამუშავა თავისი მონასტრისათვის.

## სწავლა-განათლება და ლიტერატურული მოღვაწეობა

სწავლა-განათლება და ლიტერატურული მოღვაწეობა VIII-IX საუკუნეთა კლარჯეთში, ცხადია, მთლიანად დაკავშირებული იყო ადგილობრივ მონასტრებთან. ხანძთის სკოლაში, მაგალითად, ძმები ისევე სწავლობდნენ ქცევის ზოგად წესებს, როგორც ფსალმუნს. მათ ასწავლიდნენ აგრეთვე უცხო ენებს (ბერძნულსა და სირიულს), თეოლოგიურ და საერო ლიტერატურას და ფილოსოფიას.

მონასტრებში თავიდანვე განვითარდა ლიტერატურული საქმიანობა. აქიურ სკრიპტორიუმებში იწერებოდა ორიგინალური თხზულებები, ითარგმნებოდა ბერძნული, სირიული, არაბული ლიტერატურა. ზოგიერთი ამ ნაწარმოებთაგანი ახლა დაკარგულია (მაგალითად, პარეხთას მონასტრის დამაარსებლის — მიქელ პარეხელის „სწავლანი და ნიშნი და სასწაულნი“, აღწერილი მისი მოწაფეების მიერ IX საუკუნის ბოლოს) და მათი არსებობა მხოლოდ წყაროებიდან ვიცით. სხვა ხელნაწერები, კერძოდ, გრიგოლ ხანძთელის მოწაფის მაკარის მიერ 864 წელს გადაწერილი მრავალთავი, რომელიც 52 სხვადასხვა თხზულებას შეიცავს, ახალი სინაზე ინახება<sup>28</sup>. თავად გრიგოლ ხანძთელმა დაწერა საწულოწლო იადგარი — ჰიმნების კრებული. გიორგი მერჩულემ ხანძთაში დაწერა გრიგოლის ბიოგრაფია, ხოლო შატბერდში სოფრონ შატბერდელმა 897 წელს შექმნა აღიშის ოთხთავი.

უეჭველია, რომ კლარჯეთის სავანეთა სკრიპტორიუმები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სწავლულობის აღორძინებასა და საქართველოში ბერძნული კულტურის შემოტანაში.


## 2. არქეოლოგიური მასალა

### შესავალი \*

გიორგი მერჩულეს მიხედვით, გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებულ მონასტრებს შორის ხანძთა იყო უძველესი, უდიდესი და შესაძლოა, კულტურულად ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან ის წარმოადგენდა თავად გრიგოლის სამყოფელს. ამ მხარის მონასტერთა უმეტესობის მსგავსად, იგი მდებარეობს მაღალ ზეგანზე, მთებს შორის, მდინარე იმერხევის მარჯვენა ნაპირზე მამაკალი ძველი გზის ზემოთ. მონასტრამდე მიღწევა შეიძლება ფეხით, ორ-სამ საათში, ძველი გზით, რომელიც შავშეთიდან მიემართება ოპიზის, ჯმურკის, დოლისყანის, სვეტის გავლით და შესაძლოა, მამაწმინდის გასწვრივ. მოკლე მონაკვეთი (რომელსაც მდინარე იმერხევიდან პირდაპირ მაღლა აყვავართ) და ახალი გზა უფრო რთულია, მაგრამ მანძილს ნახევარზე მეტად ამოკლებს.

გიორგი მერჩულე მონასტრის ადგილს გასაოცრად ზუსტად აღწერს. ზემოთ ითქვა, რომ კლარჯეთში ჩამოსვლის პირველ ხანებში გრიგოლი დამკვიდრდა ოპიზის მონასტერში და ეძებდა შესაფერის ადგილს თავისი სავანის ასგებად. მალე მან დაიწყო შშენებლობა. თავის სიცოცხლეში გრიგოლმა ააგო ხის ეკლესია, რომელიც მოგვიანებით ქვისამ შეცვალა.

გრიგოლის სიცოცხლეში აგებულ შენობათაგან ნაწილობრივ შემონახულია გალაკანი, სატრაპეზო, ზოგიერთი სენაკი და სამლოცველო მონასტრის ზღუდის გარეთ. გრიგოლის სიკვდილის შემდეგ დამატებულ ნაგებობებს განეკუთვნება გალაკნის ნაწილი აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს, წმ. გიორგისადმი მიძღვნილი მეორე ქვის ეკლესია, სამრეკლო და რამდენიმე სამლოცველო ზღუდის გარეთ. ქვემოთ შემოვთავაზებთ ამ ძეგლების მრკლე მიმოხილვას.



### მონასტრის გალავანი

გიორგი მერჩულეს მიხედვით, ხანთოს საგანის მშენებლობისას ყველაზე რთული ამოცანა მთის დამრეცი კალთის დავაკება იყო. სამუშაო მოიცავდა შემომფარვლავი საყრდენი კედლის ამოყენასაც. იგი კვლავ არსებობს თავდაპირველი სახით აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეს. კედლები 38,40 მ სიგრძისაა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და 51,15 მ სიგრძისა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, აქედან 20,00 მ მოგვიანებით უნდა იყოს დამატებული. აღმოსავლეთ კედლის შუა ნაწილს ამაგრებს 4,05 მ სიგანისა და 2,15 მ სისქის კონტრფორსი. კედლები უკეთაა შემორჩენილი აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეს, სადაც მათი სიმაღლე 6-8 მეტრს აღწევს. ისინი ნაგებია უხეშად ნატეხი, ხშირად გეომეტრიულად არასწორი ფორმის დიდი ბლოკებით და რიყის ქვებით. ღრეჩოები ხსნართაა შევსებული. კედლებს შუაში ღორღის გული აქვს, რომელსაც კედლის საერთო სისქის (მერყეობს 1,17-დან 1,36 მეტრამდე) ერთ მესამედზე



ნაკლები უჭირავს, ღორღზე კარის ხსნარია დასხმული, მაგრამ ისე მუნწად, რომ ზოგიერთი ქვა არ ებძის პირითა წყობის ქვეს.

ეს სამშენებლო თავისებურებები ასახავს იმ ურიცხვ სიძნელეს, რომელსაც გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფეები წააწყდნენ მაკმაღიანთა შემოსევებითა და კომანდითი განაგებულ და გაუკაცრიელებულ მხარეში.



### სატრაპეზო

მონასტრის ყველაზე დაბლა განლაგებული ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეა. იგი უკავია 17,55 მ სიგრძისა და 12,14 მ სიგანის დარბაზს, რომელიც ორ ტოლ ნაწილად იყოფა დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე განლაგებული ოთხი, გეგმაში ჯვრისებრი ბურჯით. ერთმანეთისაგან ისინი თანაბარი მანძილებითაა დაცილებული. ბურჯები და თაღები ახლა ჩანგრეულია, მაგრამ შემოინახა ყველა პროფილირებული კრონშტეინი, რომლებსაც განივი თაღები ეყრდნობოდა. დარბაზს აქვს ორი პარალელურწირობლებიანი 1,30 მ სიგანის სარკმელი აღმოსავლეთით და სამი შიგნითკენ გაფართოებული სარკმელი დასავლეთით (გარე სიგანე – 0,50 მ, შიდა სიგანე – 1,20-1,30 მ). პილასტრები ან კედლის ბურჯები გამოყენებული არ არის, განივად გადაყვანილ თაღებს უეჭველად შემორჩენილი კრონშტეინები იკავებდა. შემოინახა აგრეთვე ცილინდრული კამარების დასაწყისი და ორივე ფრონტონის ნაწილები აღმოსავლეთ მხარეს. ყველა ეს არქიტექტურული ელემენტი დამახასიათებელია ამ რეგიონისათვის VIII საუკუნის ბოლოდან X საუკუნის შუახანებამდე.

ეს დარბაზი დაკავშირებულია გალავანთან და იმავე სამშენებლო თავისებურებებს ამჟღავნებს. მასში მოხვედრა შეიძლება მხოლოდ ჩრდილოეთიდან ორი თაღოვანი კარის მეშვეობით, შესაბამისად – 1,06 და 1,70 მ სიგანისა. მუორე კარი, რომელიც ჩვენს გეგმაზე არ არის ნაჩვენები, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხიდან 2,45 მეტრის დაცილებითაა გაჭრილი. პირველ კარს გაყვავართ მონასტრის ეზოში, ხოლო მეორე სენაკებს უკავშირდება.

ამჟამად ხშირი მცენარეულობით დაფარულ დასავლეთის კედელში უნდა ყოფილიყო გასასვლელი სატრაპეზოდან სამხარეულოში, რომლის მდებარეობა არავის აღუნიშნავს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის იდგა სატრაპეზოს დასავლეთით, სამხრეთის საყრდენი კედლის გასწვრივ გამდინარე ნაკადულის სიახლოვეს.

უნდა აღინიშნოს, რომ დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ქვის ფილებით მოკირწყლულს იატაკის ქვეშ, მოხრდილი ცილინდრულ კამაროვანი დარბაზი ჩანს. ის შეიძლება საკუჭნაოდ ან რაიმე მსგავსი მიზნით ყოფილიყო გამოყენებული. ეს მიწისქვეშა სარდაფი, რომლის ნაწილები გავარჩიე აღმოსავლეთის საყრდენ კედელთან, გვიჩვენებს, რომ მთის კალთის მოსწორება, რასაც, მერჩულეს თქმით<sup>29</sup>, დიდი შრომა დასჭირდა, ამკარად არ იყო ბოლომდე მიყვანილი, რადგან სამხრეთით და აღმოსავლეთით ფერდობი ბოლომდე მიწით არ ამოავსეს. სანაცვლოდ, საყრდენი კედლის გასწვრივ აშენდა მარტივი ცილინდრულ კამაროვანი ოთახები, რომლებიც, გარდა იმისა, რომ ხელს უწყობდა ადგილის მოსწორებას, საყრდენი კედლის დაწოლასაც ასუსტებდა და ამავედროულად, საკუჭნაო ოთახებადაც ემსახურებოდა მონასტრის თემს.

ჩვენმა კვლევა-ძიებამ დარბაზში ვერ გამოავლინა – და არც იყო მოსალოდნელი, რომ გამოავლენდა – რაიმეხარის არქიტექტურული პლასტიკა.

ამ დარბაზის მსგავსება ტაო-კლარჯეთის მონასტრების სატრაპეზოებთან, კერძოდ კი ოთხთა ეკლესიისასთან, რომელიც ასევე ორ ნაწილადაა გაყოფილი, აგრეთვე მისი დიდი ზომები და მდებარეობა ნაკადულის პირას<sup>30</sup>, გვაფიქრებინებს, რომ მას სატრაპეზოს ან სემინარიის ფუნქცია ჰქონდა. თუ ეს ასეა, მის დასავლეთით სამხარეულოს არსებობა უნდა ვივარაუდოთ.

მე ვფიქრობ, რომ სატრაპეზო აიგო საყრდენი კედლების თანადროულად, გრიგოლ ხანძთელის სამშენებლო მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე, ანუ VIII საუკუნის მიწურულს.

1904 წლის 15 აგვისტოს, როცა ეს ადგილი ნ. მარმა ინახულა, მან სატრაპეზოს დასავლეთით იპოვა 2,65 x 1,45 მ ზომის საწნახელის ნაშთები<sup>31</sup>. ჩემი იქ ჩასვლისას კვალიც ვეღარ მოვძებნე ამ საწნახელისა, რომელიც აქ უთუოდ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, მერჩულეს მიხედვით, ხანძთელ ბერებს ბაღ-ვენახი ჰქონდათ გაშენებული<sup>32</sup>. ისინი ახლაც კულტივირებულია სოფლის დღევანდელი მცხოვრებლების მიერ.

## ბერთა სენაკები

სატრაპეზოს ჩრდილოეთით, აღმოსავლეთის საყრდენი კედლის გასწვრივ სამი პატარა, თანაბარი ზომის (5,80 x 2,50 მ, სიმაღლე 2,60 მ) სენაკის ნაშთებია. ჩემმა კვლევა-ძიებამ მიმიყვანა აზრამდე, რომ ეს სენაკები ზედა სართულებია სამხართულიანი საძინებლებისა, რომლებიც მეტწილად ჩამარხულია ნანგრევების ქვეშ. სენაკები ყველა ნიშნით ერთნაირია. თითოეულს აქვს 1,06 მ სიგანის კარი დასავლეთით და ცალი ვიწრო სარკმელი აღმოსავლეთით. ქვედა სართულების სენაკებს სარკმლები აღმოსავლეთით არა აქვს, შესაძლოა, უსაფრთხოების მიზნით. თუმცა დასავლეთით მათ ჰქონდა 1,67 მ სიგანის დერეფანი თუ აივანი, რომლისგანაც თითქმის აღარაფერი შემორჩა.

სენაკების იატაკი სატრაპეზოს ცილინდრული კამარის ქუსლის დონეზეა ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაფერდების გამო. შესაბამისად, სატრაპეზოს სიმაღლე თითქმის ორჯერ სჭარბობს სენაკებისას.

თითოეული სენაკი ერთ ბერს ეკავა. ისინი უკიდურესად სადაა, კერისა და სხვა კომფორტის გარეშე და ამრიგად, ასახავს ასკეტურ ყოფას, რომელსაც იტანდა მონასტრის ძმობა<sup>13</sup>. სხვა სენაკები, მათ შორის, გრიგოლ ხანძთელისა, შეიძლება მდებარეობდეს მონასტრის დასავლეთ მხარეს, მონაკვეთზე, რომელიც მთლიანად დაფარულია ქვიშით და რაღაც ქოხმახებით ან ზედ ამოსული მცენარეულობით.

## სამლოცველო


აღმოსავლეთ მხარეს, სატრაპეზოსა და სენაკებს შორის, მდებარეობს პაწია, შედარებით უკეთ შემონახული სამლოცველო. მისი შიდა ზომებია 4,50 x 2,85 მ, 1,50 მ სიღრმის ნახევარწრიული აფსიდის ჩათვლით. აფსიდაში ერთი ვიწრო სარკმელია. იგი ფლანკირებულია ორი მართკუთხა ნიშით, რაც ამ რეგიონის სამლოცველოების ტრადიციულ ელემენტს წარმოადგენს. აფსიდა იატაკიდან ერთი საფეხურით არის შემადგენელი. სამლოცველოს საერთო



მეორე სამლოცველო წყაროს თავზე, ზედა სამხრეთ-დასავლეთიდან. ნიკო მარის ფოტო, 1904.



მცირე სამლოცველო. ხელი აღმოსავლეთიდან.



მცირე სამლოცველო. გეგმა.

სიმაღლე არის 2,60 მ. მასში შესვლა შეიძლება დასავლეთიდან 1,00 მ სიგანის კარით. ამენებიდან ცოტა ხნის შემდეგ, როგორც ჩანს, მისი კედლები შეამკეს მხატვრობით, რომლისგანაც მცირე ფრაგმენტები შემორჩა იატაკის დონეზე. ეს სამლოცველო დაკავშირებულია მიძღვებარე შენობებთან და მათი თანადროულია, გვიჩვენებს რა იმავე არქიტექტურულ თავისებურებებს.

### მცირე სამლოცველო გალავნის გარეთ

მონასტრის გალავნიდან ორმოცდაათი მეტრის დაშორებით, ზედ წყაროს თავზე პატარა, ცილინდრულ კამაროვანი, აფსიდიანი სამლოცველო დგას. მისი შიდა ზომებია 3,90 x 2,50 მ. მისი აღმოსავლეთ კედელი პირზე უსწორდება შეღრმავებაში მდებარე წყაროს თავზე გაკეთებულ თაღოვან ნიშას. წყარო ზაფხულის ცხელ დღეებში უხვად მოედინება და მონასტერი საკმარისზე მეტი წყლით უნდა ყოფილიყო მოძარაგებული ყველა მიზნისათვის.


სამლოცველო აგებულია უხეშად გათლილი მართკუთხა ან ზოგჯერ არასწორი ფორმის ბლოკებით, რომლებიც ძლიერ სხვაობს ზომებით და არარეგულარულ რიგებს ქმნის. ყურადღებას იპყრობს კედლების სისქე, რომელიც 0,97-დან 1,05 მეტრამდე მერყეობს, მაშინ, როცა მათი ღორღის გული პირითა წყობის ქვებს შორის ძალიან თხელია, არაუმეტეს 0,17 მეტრისა. აღმოსავლეთიდან სამლოცველოს აქვს ძალიან ვიწრო თაღოვანი სარკმელი. დასავლეთის კედელი ახლა დანგრეულია, მაგრამ მასშიც რომ ყოფილიყო მსგავსი დიობი, ინტერიერის განათება მაინც ძალიან სუსტი იქნებოდა. ერთადერთი ვიწრო (0,72 მ სიგანის) შესასვლელი სამხრეთიდანაა.

სამშენებლო მეთოდისა და ადრეული შუა საუკუნეების სამლოცველოებთან (როგორცაა ამოტ I კურაპალატის სამლოცველო და ზემოთ აღწერილი სამონასტრო ნაგებობები) მსგავსების საფუძველზე ეს ეკლესია შეიძლება მივაკუთნოთ VIII საუკუნის მიწურულს. ამავე დროს შეიძლება განხდეს კითხვა: რატომ არ აჩვენებს — გაკვრითაც კი — ამ განმარტებულ სამლოცველოს ისეთი ყურადღებიანი დამკვირვებელი, როგორც გიორგი მერჩულეა?

ამ შენობის პ. ინგოროყვასეული იდენტიფიკაცია პირველ ქვის („ძველ“) ეკლესიასთან ამკარად მცდარია რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ის აგებულია შედარებით სწორ ადვილზე და მისთვის სამშენებლო მოედნის მოსწორება დიდ შრომას არ მოითხოვდა, როგორც ეს აღწერილი აქვს გიორგი მერჩულეს<sup>14</sup>; მეორე, ის მდებარეობს მონასტრის ზღუდის გარეთ; მესამე,

ეს არ არის ეკლესია, არამედ მხოლოდ მცირე სამლოცველოა, საეკლესიო მსახურებისათვის შეუფერებელი; და მეოთხე, ეკლესიის მშენებლობის პროცესის აღწერაში მერწულე არ გამოტოვებდა იმ ფაქტს, რომ ის წყაროს თავზე აიგო.

ზოგიერთი სხვა სამლოცველო, რომელიც აშენდა სხვადასხვა დროს VIII საუკუნის შემდეგ მონასტრის მიდამოებში, აღწერილი მაქვს სხვა გამოკვლევაში<sup>35</sup>.



სამშენებლო საქმიანობა გრიგოლ ხანძთელის სიკვდილის შემდეგ


ცალკეული შეფერხებების მიუხედავად, ტაო-კლარჯეთის მონასტრების და მათ შორის, ხანძთის ეკონომიკური მდგომარეობა უფრო და უფრო მტკიცდებოდა და სამონასტრო თემიც იზრდებოდა. შესაბამისად, სამშენებლო საქმიანობა მონასტრის ტერიტორიაზე და მის მიდამოებში გრიგოლ ხანძთელის სიკვდილის შემდგომაც გაგრძელდა. ზოგიერთი ამ ნაგებობათაგანი შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნას.

მეორე („ახალი“) ქვის ეკლესია

ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, მონასტრის უმაღლეს წერტილში, 6,00 მ სიმაღლის სუბსტრუქციაზე, რომელიც ერთ დონეზეა აღმოსავლეთის საყრდენ კედელთან, ოღონდ არ ებმის მას, აღმართულია ახალი ანუ მეორე ქვის ეკლესია, მიძღვნილი წმ. გიორგისადმი<sup>36</sup>. მიუხედავად ციცაბო ფერდობის დავაკებისა ეკლესიის ასაშენებლად, მისი იატაკი სატრაპეზოს ცილინდრული კამარის ქუსლის დონეზეა. ამდენად, 18 მ სიმაღლის ეკლესია მკვეთრად დომინირებს მონასტერსა და მის შემოგარენზე.



ხანძთის წმ. გიორგის ეკლესია, ვუძბაია



0 1 2 3 4 5  
m

ნახიძის წმ. გიორგის ეკლესია. გეგმა.

ქვების შემოდარცვის, ჰავის მავნე ზემოქმედებისა და არასახარბიელო ადგილმდებარეობის გამო ეკლესია მძიმე მდგომარეობაშია: მისი ცილინდრული კამარები თითქმის მთლიანად ჩაქცეულია, გუმბათის ყელის პერანგის ქვები შემოცლილია და სახურავის კრამიტი დაკარგულია. 1967 წლის შემდეგ მთლიანად დაინგრა ჩრდილოეთ ნავის აღმოსავლეთ ბურჯი. და მაინც, ეკლესიის იერი კვლავაც მეტად შთაბეჭდილია.

ტიპოლოგიურად ეკლესია მიეკუთვნება ჯვარგუმბათოვან ნაგებობებს, რომლებშიც ჯვარი მართკუთხა გეგმაშია ჩაწერილი („ჩახახული ჯვარი“). მისი შიდა სიგანე არის 10,50 მ, სიგრძე 16,86 მ, აფსიდისა და ბემის ჩათვლით (4,70 x 2,40 მ). აფსიდის მიმდებარე მართკუთხა სათავსები (4,45 x 2, 20 მ) მისკენ არ იხსნება, მხოლოდ დასავლეთიდან აქვთ 0,96 მ სიგანის ღიობები. დასავლეთ მკლავი 4, 60 მ სიგანისაა, მაშინ, როცა გვერდითი ნაგებობის სიგანე 2,00 მეტრს ძლივს აღწევს. ნავის კედლებს იკავებს ორი წყვილი ბურჯი (0,95 x 0,85 მ), რომლებსაც აქვთ ინტერკოლუმნია. შემოინახა პროფილირებული კრონშტეინები, რომლებიც კამარის საბჯენ თალებს იკავებდა. გუმბათი ეყრდნობა ცენტრში აღმართულ ოთხ მსუბუქად შეისრულ თაღს. გადასვლა კვადრატული საფუძვლიდან გუმბათის რვაწახნაგა ყელზე მიიღწევა ტრომპების მეშვეობით. ასევე, გადასვლა ოქტოგონალური ყელიდან თვით გუმბათის ნახევარწრიულ საფუძველზე ხორციელდება პატარა შეღრმავებული სამკუთხა მონოლითებით.


გარედან გუმბათის ყელი თორმეტწახნაგაა და ოთხი ერთნაირი თაღოვანი სარკმელი აქვს. ყელის ზედაპირი ხაზგასმულია თორმეტი ცრუ თაღით, რომლებიც მსუბუქ შეწყვილებულ სვეტებს ეყრდნობა. გუმბათის განსაკუთრებული თავისებურებაა მისი სახურავი. იგი ასევე დაყოფილია თორმეტ ერთნაირ სვეტენტად ამოშვებული და ჩაღრმავებული სახსრებით და ნახევრადგახსნილი ქოლგის ფორმა აქვს. სახურავის სვეტენტები ისეა განლაგებული, რომ ისინი ქმნიან ფრონტონებს მართკუთხა ტეხილი კარნიზით ცრუ თაღების თავზე. გუმბათის ამგვარი ახლებური გადაწყვეტა




*ხანძთის წმ. ვაჲორგის ეკლესია. გრომძეობი და ვეშბათის ყელა შიჯხიდან.*



*ხანძთის წმ. ვაჲორგის ეკლესია. საკურთხეველის აფხიდა.*



ხანძის წმ. გიორგის ეკლესია.  
გუმბათის ყელის ხაზი.



ხანძის წმ. გიორგის ეკლესია.  
ხრდილო-აღმოსავლეთი კროში.

მოკლე ხნის შემდეგ ჩნდება ოპიზამიც, ხოლო გაცილებით გვიან – სომხურ ეკლესიებში (ანისი, ბენი, მარმაშენი) ეს უნდა მიეწეროს ხანძის ეკლესიის ხუროთმოძღვარ ამონას, რომელსაც მერჩულე მართლმადიდებელს აძლევს<sup>37</sup>. კედლებს კირიანი დუღაბის გულზე ექვს და მოპირკეთებულია სუფთად გათლილი თანაბარზომიერი ბლოკებით. ისინი ისე აკურატულადაა დაწახნაგებული და ერთმანეთზე მორგებული, რომ რიგებს შორის ხსნარი არ ჩანს.

ეკლესიის კედლების შიდა პერანგისათვის გამოყენებულია უხეშად გათლილი ბლოკები, ხოლო დარჩენილი მცირე ღრეჩოები ხსნარით არის ამოვსებული. ოსტატები უთუოდ აპირებდა კედლების მხატვრობით დაფარვას. მე ამ მოხატულობის მხოლოდ პატარა ფრაგმენტები ვიპოვე აფსიდაში, იატაკის დონეზე. მაგრამ ნ. მარმა მრავალი ასეთი ნაშთი ნახა, რომელთაგან ზოგიერთი შავი პიგმენტით შესრულებულ ქართულ მრგვლოვან წარწერებს შეიცავდა<sup>38</sup>.

ეკლესიის მშენებლობის პროცესი უნდა დაეჩქარებინა ახლებურად სტანდარტიზებული ქვის ბლოკების გამოყენებას – სიახლეს, რომელსაც აღნიშნავს მერჩულე და რომელიც მას დამატებით საბაბს აძლევს ხოტბა შეასხას ხუროთმოძღვარ ამონას.

წმ. გიორგის ეკლესია, თუმცა მოკლე-ბულია სკულპტურულ ორნამენტაციას, მაინც პირველი ნიმუშია ტაო-კლარჯეთში, რომელშიც მშენებელი იყენებს დეკორაციულ ელემენტებს, ისეთებს, როგორცაა ნახევრადგახსნილი ქოლგისებრი სახურავი („Faltendach“) ტეხილი საფეხუროვანი კარნიზით, გუმბათის ყელის გარე ზედაპირის დანაწევრება ცრუ თაღებით თუ შეწყვილებული სვეტების, კაპიტელებისა და ბაზისების გაცოცხლება წითელი პიგმენტით. გუმბათის ყელის პერანგის მოწითალო წერილ-მარცვლოვანი ბლოკები ზრდის გუმბათის სიბრტყეს და ცხოველხატულობის შთაბეჭდილებას, რომელიც მთელ მონასტერზე ვრცელდება. თავისი სიმდიდრით ეკლესიას მძლავრი ზემოქმედება უნდა მოეხდინა აღფრთოვანებულ მხილველებზე. გასაკვირი არ არის, რომ მერჩულე მას „ახალსა და შუენიერ ეკლესიას“ უწოდებს<sup>39</sup>, ხოლო მის ნოვატორ ხუროთმოძღვარს – „სიბრძნით სრულიად მამშნებელს“<sup>40</sup>. სხვა ახალ დეკორაციულ მახვილს წარმოადგენს ომეგას ფორმის თავსართი და ტოლმკლავა რელიეფური ჯვარი თაღოვანი სარკმლის თავზე აღმოსავლეთ ფასადზე, რაც ქრისტეს მეორედ მოსვლას მიგვანიშნებს<sup>41</sup>.

გიორგი მურხულესაგან ჩვენ კარგად ვიცით ეკლესიის თარიღი. იგი გვაუწყებს, რომ მშენებლობა დაიწყო კლარჯეთის მმართველმა კრითაეთურისთავმა აშოტ კუხმა (896-918) და დაასრულა მისმა მემკვიდრემ გურგენმა (918-941). ამგვარად, მშენებლობა შეიძლება ვაგრძელებულიყო 896-დან 941 წლამდე. მაგრამ არქიტექტურა და სამშენებლო ტექნიკა, კერძოდ, თლილი ქვის გამოყენება გარე პერანგისათვის, სტანდარტიზებული ბლოკების ხმარება და ზემოთ ჩამოთვლილი დეკორაციული ელემენტების შეძობა ავიწროებს ქრონოლოგიურ ფარგლებს და აღბათ არ შევცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ ეკლესიის აგება უნდა დაწყებულიყო აშოტის მმართველობის მიწურულს და დამთავრებულიყო გურგენის მიერ 941 წელზე ცოტა ადრე.

### სამრეკლო

ორსართულიანი სამრეკლო მდებარეობს მონასტრის დასავლეთ მხარეს. მისი საშენი მასალა იგივეა, რაც ეკლესიისა. ამჟამად სამრეკლო საზამთროდ თივის შესანახად გამოიყენება და ამდენად, კარგად არის დაცული. მისი ქვედა სართული, რომელიც კვადრატული სათავისაგან შედგება (ფართობი 4,50 კვ.მ), ნაგებია უხეშად გათლილი, არათანაბრად დალაგებული ბლოკებით. მეორე სართული, საკუთრივ სამრეკლო, ამოყვანილია სუფთად დამუშავებული ქვებით. ის წარმოადგენს 16-წახნაგა ფანჩატურს წრიულ საფუძველზე. ფანჩატურის წიბოები ხაზგასმულია კუთხის სახსრებით. აქ რვა თანაბარი ზომის თაღოვანი, პარალელურ-წირთხლებიანი ღიობია გაჭრილი (სიმაღლე 1,95 მ, სიგანე 0,58 მ). სამრეკლოს კონუსური სახურავი იქმნება ურთიერთმიბჯენილი დაღარული კრამიტების თექვსმეტი სექციით. ისინი ტეხილი კარნიზით მთავრდება, რაც ეკლესიის გუმბათის კარნიზს ეხმაურება. სახურავი დაკვირვებულანია მკვირე „კოპით“, რომელიც არქიტექტურული ფორმით თავად სამრეკლოს წააგავს.

სამრეკლოს თარიღი შეიძლება განისაზღვროს ზედა სართულის კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთ წახნაგის ზედა ნაწილში ამოკვეთილი ორი სამშენებლო წარწერით. ისინი უამრავ უხეშ ენობრივ და ორთოგრაფიულ შეცდომას შეიცავს, ხოლო პალეოგრაფული ნიშნები გვაფიქრებინებს, რომ სამრეკლო არ უნდა იყოს XIV საუკუნეზე ადრე აგებული<sup>41</sup>, მით უმეტეს, რომ, თუ არ ვცდები, სამრეკლოები XIII საუკუნემდე უცნობია საქართველოში.

### მონასტრის იდენტიფიკაცია

1904 წლის 14 აგვისტოს, როცა ნ. მარი „ქვემო ფორთის“ (ე. ი. ხანძთის) მონასტერში მივიდა, მან მაშინვე გადაწყვიტა, რომ შატბერდში იმყოფებოდა<sup>42</sup>. ამ მცდარ იდენტიფიკაციას ქვემო ფორთის მონასტრისა შატბერდთან იზიარებდა მკვლევართა უმეტესობა, სანამ ის არ გაასწორა პ. ინგოროყვამ<sup>43</sup>, რომელმაც ქვემო ფორთის მონასტერი ხანძთასთან გააიგივა. მართლაც, ნ. მარისეული იდენტიფიკაციის საწინააღმდეგოდ ბევრი უცილობელი არგუმენტი:

1) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მერჩულე მოგვითხრობს LX საუკუნის 30-იან წლებში კლარჯეთის მეფის ბაგრატ I-ისა და მისი ძმების მოგზაურობის შესახებ, გრიგოლ ხანძთელისა და მისი თანამოღვაწე ბერების თანხლებით, ამ მხარის მონასტრების მოსანახულებლად. საერო დიდებულებმა და წმინდა მამებმა თავიანთი მოგზაურობა ბაგრატის სამეფოს დედაქალაქ არტანუჯიდან დაიწყეს. პირველად ისინი ეწვივნენ შატბერდის ახლად დაარსებულ



სამრეკლო. ზედა სამრეკლო-აღმოსავლეთისაკენ.



მონასტერს. შემდეგ მოიარეს ოპიზის, ხანძთის, მიძნადორისა და წყაროსთავის სავანეები და ბოლოს მივიდნენ ბერთაში. მათი მარშრუტი ლოგიკურად გრძელდება სამხრეთიდან ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ (იხ. ჩვენა რუკა), მისდევს რა არსებულ მონასტერთა თანამდებრობას<sup>45</sup>.

2) ამავე წყაროში ნათქვამია, რომ ოპიზიდან უახლოესი მონასტერი არის ხანძთა<sup>46</sup>.

3) მერჩულე განაგრძობს: „ხოლო შატბერდი დაღაცათუ სხუათა მათი უდაბნოთა (ე. ი. ხანძთას, ბერთას, ოპიზას, წყაროსთავს – ვ. ჯ.) მკირვე შორავს, არამედ განუყოფელნი სანამომომე არს მათი ერისა მის ღმრთისა სიკეთითა და ყოვლითავე საღმრთო მსაძმურებისა წესითა და კანონითა მონაზონებისა შჯულის-დებისა მათა“<sup>47</sup>. რაკი ადგილობრივმა მმართველებმა და სასულიერო პირებმა თავიანთი მოგზაურობა არტანუჯიდან დაიწყეს და პირველად კლარჯეთის სხვა სავანეებისაგან ყველაზე დამორებული შატბერდი დაათვალიერეს, შეუძლებელია ქვემო ფორთის მონასტერი შატბერდთან გავაიგივოთ. შატბერდი არტანუჯის მიდამოებში უნდა მდებარეობდეს.

4) აღნიშნულია აგრეთვე, რომ რაკი ხანძთის მონასტერს არ გააჩნდა საკმარისი მიწა თავის შესანახად, გრიგოლ ხანძთელმა სთხოვა მეფე აშოტ I-ს და მიიღო მისგან ნაყოფიერი მიწა შატბერდში, სადაც მან შემდგომ გააშენა მონასტერი, როგორც ხანძთის ფილიალი<sup>48</sup>. მართლაც, ხანძთის კლდოვანი ნიადაგი უნაყოფოა და ძნელად დასამუშავებელი, მაშინ, როცა შატბერდში მეტად ნაყოფიერი სახნავად ვარგისი მიწა და ხეხილის ბაღებია<sup>49</sup>.

5) მეორე თავში საბუთისა, რომელიც აღწერს ერთ-ერთი ქართული პროვინციის – მესხეთის ეპარქიებს, აღნიშნულია, რომ ოპიზასა და ხანძთას შორის მდებარეობს ადგილი „დახატულა“<sup>50</sup>. ნ. მარმა განსაზღვრა დახატულას ადგილმდებარეობა ოპიზასა და ქვემო ფორთას შორის<sup>51</sup>, რაც ამტკიცებს, რომ ქვემო ფორთის მონასტერი სწორედ ხანძთაა და არა შატბერდი.

6) დასასრულს, სინას წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერის (no. 77, fol. 192 b) მინაწერი მიძნადოვს „ნეტარ მამა გრიგოლს“, როგორც ხანძთის მაშენებელს და მარკოზს, როგორც ხანძთის სამრევლოს მაშენებელს<sup>52</sup>. კლარჯეთის მონასტრებს შორის მხოლოდ ქვემო ფორთას (ე. ი. ხანძთას) აქვს სამრევლო და ამდენად, უეჭველია, რომ აქ მოხსენებული მარკოზი და ხანძთის სამრევლოს წარწერაში მოხსენიებული მარკოზი ერთი და იგივე პირია<sup>53</sup>.

მონასტრის ზღუდის გარეთ მდებარე რამდენიმე სამლოცველო, განდევილის სუნაკი და ისტორიული მნიშვნელობის სხვა ნაგებობათა ნაშთები ადრეა განხილული ჩემს მიერ<sup>54</sup>.

მე ვიმედოვნებ, რომ ხანძთის მონასტრის ეს მოკლე მიმოხილვა ინტერესს გამოიწვევს ტაოს, კლარჯეთისა და შავშეთის მონასტრების სისტემატური, ფართო შესწავლისადმი და ასევე, გააღვივებს ზრუნვას მათ დასაცავად.

პასტანგ ჯოზაძე

### შენიშვნები

1. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 233-239, განსაკუთრებით 239<sup>11-12</sup>, 376<sup>19-21</sup> ცხოვრება (იხ. შენიშვნა 2), გვ. 257<sup>9-11</sup>.
2. ეს ნაშრომი 1902 წელს ხელახლა აღმოჩინა ნ. მარმა იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში და შემდგომში გამოაქვეყნა რუსული თარგმანით: **Георгий Мерчул**, Жизнь св. Григория Ханцетийского, Введение, издание, перевод Н. Марра, с Дневником поездки в Шавшину и Кларджию. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, т. 7, С.-Петербург, 1911. ლათინურად თარგმანი ეკუთვნის პ. ჰეტერსს, *Analecta Bollandiana*, 36-37, 1917-1919 (1923), გვ. 207-309. ჩვენ ციტატები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ მოგვყავს ი. აბულაძის შესწორებული

გამოცემის მიხედვით: შრომა და მოლუაწებაა ღირსად ცხოვრებისაა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუქისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაა და მას თანა ხსენებაა მრავალთა მამათა ნეტართაა, ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ი. აბულაძის გამოცემა, ტ. I, თბილისი, 1963, გვ. 248-319. ქვემოთ მოთითებულია, როგორც „ცხოვრება“ ნაწილები ნ. მარის რუსული თარგმანიდან ინგლისურად თარგმნი დ. მ. ლენგმა: *Lives and Legends of the Georgian Saints*, London, 1956, გვ. 135-153.

3. ცხოვრება, გვ. 269<sup>7-12</sup>.

4. ცხოვრება, გვ. 262<sup>22-28</sup>. არსებითად, მიწის ნაკლებობა, როგორც ჩანს, მონასტრებს შორის ხანგრძლივი დავის მიზეზი უნდა ყოფილიყო. ერთ შემთხვევაში ასეთმა დაკამ სახნავი მიწების საზღვრების გამო

ობიხას მონასტერსა და მეზობელ მიწათმფლობელ შორის იმდენად ფართო მასშტაბს მიღწეა, რომ საქართველოში გახდა მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072) ჩარევით. იხ.: ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფილისი, 1909, გვ. 1-5. საგულისხმოა, რომ ამ საქმის განხილვისას სამეფო კარზე მხოლოდ საქართველოს საბუთები კი არ მიიტანეს, არამედ წმ. პეტრე მოციქულის ხატიც და წმ. ბართლომე მოციქულის ნაწილებიც, რომელთაც უნდა განემტკიცებინათ ფიცი და დაედასტურებინათ წარდგენილ სიგელთა ავთენტურობა. იხ.: მ. სურგულაძე, იურიდიულ მტკიცებათა ორი სახე მეფეთა სიგელების მიხედვით, მრავალთავი, 8, 1980, გვ. 31-33.

5. ცხოვრება, გვ. 256<sup>27-30</sup>, 257<sup>31-33</sup>
6. ცხოვრება, გვ. 261<sup>30-34</sup>
7. ცხოვრება, გვ. 260<sup>34-36</sup>
8. ცხოვრება, გვ. 260<sup>34-36</sup>
9. ცხოვრება, გვ. 260<sup>30-33</sup>
10. ცხოვრება, გვ. 273<sup>34-38</sup>
11. ცხოვრება, გვ. 277<sup>32-34</sup>
12. ცხოვრება, გვ. 266<sup>30-32</sup>
13. ცხოვრება, გვ. 262<sup>28-31</sup>
14. ცხოვრება, გვ. 262<sup>25-31</sup>
15. De Cer. თავი 45.
16. ი. აბულაძე, ძეგლები, I, გვ. 16<sup>14-19</sup>, 17<sup>1,2</sup>, მაღალ სახელმწიფო მოხელეთა სასახლეების შესახებ.
17. ცხოვრება, გვ. 262<sup>1</sup>, აშოტის სასახლის შესახებ და გვ. 270<sup>21</sup>, ფეოდალის რეზიდენციის შესახებ.
18. ამ თემაზე იხ. აგრეთვე: ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, იმეზობლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, ტ. I, თბილისი, 1948, გვ. 13, 74.
19. ცხოვრება, გვ. 277<sup>4,7</sup>
20. ეს განსაკუთრებით ითქმის ხანძრის ეკლესიის სამხრეთ კედელსა და გუმბათის ყელზე.
21. ცხოვრება, გვ. 277<sup>1,41</sup>
22. ცხოვრება, გვ. 266<sup>37-40</sup>, 267<sup>1,7</sup>, იხ. აგრეთვე გვ. 294<sup>12-14</sup>, 275<sup>11-13</sup>, 253<sup>11-13</sup>, დიდმარხვის დროს თავად გრიგოლი იკვებებოდა მხოლოდ უმი კომბოსტოთა, ხოლო ჩვეულებრივ დღეებში მკვირილენ პურსა და წყალზე ცხოვრობდა. ყმაწვილობიდან იგი არასოდეს მიკარებია ღვინოს (ცხოვრება, გვ. 267<sup>8,11</sup>, იხ. აგრეთვე გვ. 284<sup>23-28</sup>). საკვების მიღებაში თავმჯავებას მოწმობს აგრეთვე გიორგი ათონელის მიერ 1042-1044 წლებში დაწერილი „ათონისა და უფთუმეს ცხოვრება და მოღვაწეობა“. აქ ნათქვამია, რომ ჩვეულებრივ, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით უფთუმე იკვებებოდა მხოლოდ ცოტა პურითა და წყლით, კვირის დანარჩენ დღეებში კი საკმელს იღებდა სატრაპეზოში. იხ.: ი. აბულაძე, ძეგლები, ტ. 2, თბილისი, 1967, გვ. 74<sup>13-14</sup>.
23. ცხოვრება, გვ. 276<sup>11-24</sup>
24. ცხოვრება, გვ. 294<sup>5-43</sup>, 297<sup>1,41</sup>. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე: M. Tarnišvili, Das Verhältnis von Kirche und Staat im Königreich Georgien. Oriens Christianus, 39, 1955, გვ. 83-85.
25. ცხოვრება, გვ. 264<sup>15-18</sup>, 265<sup>18-19</sup>. ეს არ არის წმინდა საგნების შემოტანის ერთადერთი მაგალითი. XI საუკუნის ოციან წლებში კათალიკოსი მელქისედეკი კონსტანტინოპოლს გაემგზავრა და ეახლა ბერძენთა იმპერატორ ბასილ II-ს, რომელსაც იგი მიიღო და მისცა სამკაულები ეკლესიისთვის, ხატები, ჯვრები და ღვთისმსახურთა შესამოსელი, რის შემდეგაც

მელქისედეკი დაუბრუნდა თავის ქვეყანასა და სამწესოს, იხ.: ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 282<sup>10, 15-18</sup>, 294<sup>1,5</sup>.

26. ცხოვრება, გვ. 289<sup>28-31</sup>
27. ცხოვრება, გვ. 263<sup>10, 37</sup>, 265<sup>28, 29</sup>
28. G. Garitte, Catalogue de manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai. Subsidia 9, 1956, nr. 33, 95-97. რომელიც მოციქულთა მკარის ანდერძს (fols. 273 v-275 r).
29. ცხოვრება, გვ. 257<sup>1,7</sup>, 260<sup>29</sup>, 277<sup>5,6</sup>
30. ხანძრის – იხევე, როგორც ოთხთა ეკლესიაში – ნაკადული ჩამოედის სატრაპეზოს და არა სამზარეულოს.
31. H. Mapp, Дневник, გვ. 153.
32. ამ დაკვირვებას ადასტურებს – გიორგი მერჩულე, ცხოვრება, გვ. 269<sup>12,23</sup>
33. W. Djobadze, Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjet'i and Šavset'i, Stuttgart, 1992, გვ. 27.
34. ცხოვრება, გვ. 260<sup>24,37</sup> და მთლიანად ეკლესიისთვის გვ. 277<sup>4,7</sup>
35. W. Djobadze, Monasteries, გვ. 26, ტაბ. 5.
36. ეკლესიის აგების შემდეგ მოკლე ხანში მონასტრის საყრდენი კედელი 7,35 მეტრით დააგრძელეს ჩრდილოეთისაკენ.
37. ცხოვრება, გვ. 277<sup>1</sup>
38. H. Mapp, Дневник, გვ. 146-147.
39. ცხოვრება, გვ. 277<sup>4,5</sup>
40. ცხოვრება, გვ. 277<sup>1</sup>
41. ასეთი ჯვრების, როგორც ქრისტეს მათეველებია, თეოლოგიური მნიშვნელობის შესახებ იხ.: W. Djobadze, Monasteries, გვ. 33. ხანძრის ეკლესიის აგებიდან ოციოდე წლის შემდეგ ტაო-კლარჯეთის ეკლესიების არქიტექტურულ კანდაკებაში ბრტყელი გეომეტრიული ჯვრები მოღიანად უთმობს ადგილს განედლებულ ანუ აფაგებულ ჯვრებს, რომლებშიც ორგანულადაა შერწყმული ქრისტეს ჯვარი და სამთხის ხე ცხოვრებისა. ამ საკითხზე იხ. იქვე, გვ. 154, ტაბ. 50 და გვ. 200-202, ტაბ. 71.
42. ამ წარწერების შესახებ იხ.: W. Djobadze, Monasteries, გვ. 37-39.
43. H. Mapp, Дневник, გვ. 139.
44. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 307-310.
45. ცხოვრება, გვ. 274-276.
46. ცხოვრება, გვ. 311<sup>39-41</sup>, 313<sup>30-35</sup>
47. ცხოვრება, გვ. 313<sup>34,37</sup>
48. ცხოვრება, გვ. 262<sup>32,40</sup>
49. მე ვერ შევძელი მატერადის მონასტრის ადგილმდებარეობის დადგენა, მაგრამ ძალიან მაცოუნებელია მისი გაიგივება ენი-რაბათის ეკლესიასთან. იხ.: W. Djobadze, Monasteries, გვ. 45-48.
50. თ. ჯორდანი, ქრინიკები, ტ. 2, ტფილისი, 1897, გვ. 187.
51. H. Mapp, Дневник, გვ. 141-142; იხ. აგრეთვე პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 311.
52. ი. ჯავახიშვილი, სინისძის ქართული ხელნაწერების აღწერილობა, თბილისი, 1947, გვ. 241<sup>17-22</sup>
53. ბოლო ხანს ხანძრის იდენტიფიკაციის საკითხი განიხილა ლ. მჭაბდემ (ძველი ქართული მწერლობის კურები, ტ. I, თბილისი, 1962, გვ. 396-400), რომელიც, ჩვენი აზრით, წარუმატებლად ცდილობს ნ. მარის მოსაზრების დაცვას.
54. W. Djobadze, Monasteries, გვ. 26.

# SUMMARIES

History of Georgia

## Assyrian Fathers



A small group of clerics from Syria came to kingdom of Kartli (the Eastern Georgia) in the 6th c. According to the Georgian literary sources, they are known as Thirteen Assyrian Fathers.

The paper deals with the questions related to the activities of Assyrian fathers. They are as follows: 1) the time of their appearance in kartli; 2) Their belief; 3) Their nationality; 4) The personal names of Assyrian fathers and their exact number.

The author assumes, that Assyrian fathers must have come to Kartli in 30s of the 6th c. (532-537), except for Anton of Martkopi, who separately arrived in Kartli in 545.

The ancient Georgian literary sources believe Assyrian fathers to be the champions of orthodox (dionophysite) belief. The position of the official church of kartli proved not to be monophysitic.

The author doesn't share the opinion suggesting Assyrian fathers to be Georgians by nationality because of their quick adaptation to the Georgian environment and the fact that the Georgian church had officially recognized them as saints very soon. All of the fathers are supposed to lead their secular lives in Assyria.

The author concludes, that among two distinct lists of the names of Assyrian fathers (one is an appendix to the "Life of Ioane Zedazneli", another is preserved in the "Life" of Shio), the first deserves credibility.

*David Merkviladze*

## The 10th c. Inscriptions from Bodbiskhevi Church

*p. 28*

The paper deals with the Georgian engraved incriptions of the church erected in village Bodbiskhevi in Kakheti. The chuch itself belongs to the basilica type prevailing in the 7th-10th cc. architecture of the cited region of Georgia. On the grounds of paleorgaphic analysis, the author considers the inscriptions on the church walls to be made in the 10th c. Therefore, the date of erection of Bodbiskhevi church is the 10th c.

*Buba Kudava*

## The Chronological List of the Bishops of Bedia

*p. 33*

The architectural complex of Bedia is situated in the Western Georgia, in Abkhazeti, Ochamchire region in particular. The temple of Bedia was erected in 999 by the King of Georgia Bagrat III (975-1014) and by that time the diocese as well was established.

In the paper an attempt is made for determination of personality of the bishops of Bedia and chronological borders of thier ecclesiastical activities. The author studied various historical annals, hagiological literature, civil and ecclesiastical legislative codes, historical documents, manuscript subscriptions, epigraphic data, etc.

The personality of 14 bishops and the chronological borders of their activities are determined. The first bishop of Bedia ("Bedieli") known to us, was in charge of this diocese in the 60s of the 11th c. The chronology is given up to 1814, when the Russian rule abolished the autonomy of the dioceses of the Western Georgia. The chronology in question is not complete and needs further researches.

*George Kalandia*

## On the Personality of the Mother of Luarsab I

*p. 38*

In 1554 the Shah of Persia – Tahmasp, during his military campaign in Georgia, after a surrender of the fortress of Ateni, captured the honourable hostage – the mother of the king of Kartli Luarsab I (1527-1556). She preferred to die and committed suicide. The paper deals with

the personality of the heroic Queen – the spouse of David X (1504/5-1525).

According to the Georgian annals and documents, three names of the wives of David X are known: Nestan-Darejan, Tamar, Miraingul. Who was exactly Luarsab's mother?

The analysis of the historical data leads the authors to the following conclusion: the King David X had two wives: 1) Nestan-Darejan, the daughter of David Baratashvili; 2) Tamar (Miraingul), the daughter of Kvarkvare Jakeli – the mother of the King of Kartli, Luarsab.

*Gocha Saitidze, David Ninidze*

## Materials for the History of Georgian Bonnistics (Part II)

This part of the paper deals with the last two groups of the Georgian bonnes: 1) The bonnes of Transcaucasian Soviet Federal Socialist Republic; 2) Non-convercial paper-money issued in Georgia and circulating here in 1918-1924.

*p. 41*

*Niko Javakhishvili*

### World History

## The Romans in the Caucasus (About the Latin inscription of Beiuk-Dash)

In 1948 the Latin inscription was found on the southern slope of the mountain Beiuk-Dash, some 4 kms away from the Caspian sea, in Azerbaijan. It was implemented by a centurion of Legio XII Fulminata Lucius Julius Maximus in the time of the Caesar Domitianus (81-96).

*p. 50*

The paper deals with the reasons and time of implementation of the inscription.

According to the information of the epic poet P. Statius, in the years of the principate of Domitianus, the great Eastern military campaign had been planned, though it was never realized.

An attempt is made to link this movement of the Roman military regiment to the Caucasus (Albania in particular) to this planned Eastern campaign. Evidently, the aim of the centuria of Lucius Julius Maximus was the reconnaissance of the military routes, since during such a largescaled compaign the northern borders should have been preserved.

The Roman military existence took place during the acute conflict between Rome and Parthia (a rebellion of Saturninus, reappearance of a false-Nero).

Thus, this inscription is thought to be incised in 88-89.

*Nino Mitsishvili*

### History of Culture

## St. George Monastery of Khandzta (Brief Review)

The paper deals with the famous Khandzta monastery. It consists of two parts. The first part comprises the ananalysis of hagiologic work "The Life of Grigol of Khandzta" as the historical source concerning Tao-Klarjeti, especially monastery of Khandzta. the separate sections cover the questions as follows: establishment of the monastery; patronage and cooperation between the monastery and secular authority; building process and materials; conditions and monastic life; importation of sacral objects; learning and literary activities.

*p. 55*

The second part of the paper is a survey of the architectural remains of Khandzta. The circuit walls of the monastery, the refectory, the monk's cells, the oratory, the chapel extramuros above a spring. All these buildings were erected during Grigol's activity in Khandzta. The following period buildings, such as St. George monastery constructed in 918-941 by architect Amona and lately, the 14th c. chapel should be noted.

*Wachtang Jobadze*

საქართველოს  
მეცნიერებათა  
აკადემიის  
ბიბლიოთეკა



მეფე მამია

(ყიზილბაშის გადრის ფრესკა)



წინ თამარს ჯარი შეხდევტი სიტყვებით გაუმხნეებია: „ძმანო ჩემო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლისა მათისათჳს და სიმცირისა თქუენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენ თანა არს. გასმია გედუონისთჳს სამასნი და სიმრავლე ურიცხვ მადიამელთა მათ მიერ მოწყუენილი, კუალად ასურასტანელთა ბანაკი ლოცვითა ეზუკიელისითა წამსა შინა ანგელოზისა მიერ დაკემულნი? მხოლოდ ღმერთსა ოდენ მიენდევნით და გულნი თქუენნი სიძარბლით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ყოველი ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ. შეისწრაფეთ ქუეყანად მათდა შეწყუენიან ნუჭრად წმიდისა ღმრთისმშობელისათა და ძალითა უძლეველისა ჯუარისათა წარემართენით“ (შემდეგ მხატვრისა დიდი ხელმწიფე ფეხშიშველი მისულა მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარში. არ შეშრობია თურმე ცრემლი ხატის წინ მავედრებელ თამარს, „ვიდრემდის სრულყო ღმერთმან სათხოველი მისი“.

აღსანიშნავია, რომ თამარს არც ბრძოლაში მოუღია მონაწილეობა და არც ბრძოლის ველზე ყოფილა, მაგრამ მისი პიროვნება გამარჯვებისა და რწმენის ერთგვარი სიმბოლო იყო მებრძოლთათვის.



ლაშქარს წინ ანტონ ჭყონდიდელი მიუძღოდა, ძელიცხოველით ხელში. ორი დღე-ღამე უველიათ შამქორისაკენ.

იმდროინდელი ქალაქი შამქორი (იგივე შამქური, შამჯირი) მდ. შამქორ-ჩაის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. აქ ციხესიმაგრე თავდაპირველად ირანელებს აუგიათ V საუკუნეში.

სწორედ შამქორში იყო გამაგრებული აბუბექრი. ქართველთა სარდლობას მზვერავეები დაუგზავნია მტრის შესახებ ცნობების მოსაპოვებლად. მათივე პასუხიდან ჩანს თუ რა მრავალრიცხოვანი ყოფილა თურქთა ლაშქარი: „ჩუენ თუალითა ჩუენითა გვხილვან ათასნი ათასთანი და ბევრნი ბევრთანი, უმრავლესნი რიცხვსანი, ვითარცა მკალნი და ვითარცა ქვიშა ზღვსა მანქორითგან ვიდრე მთად შოთისა და ვარდანაშტისა, განძის კარამდი ვერ მისაწთომელ არიან თუალნი განცდად და გარდაწთომად.“ აბუბექრთან ერთად იყვნენ მოლაშქრენი ბაღდადელითა, მუსუელითა, ავრიელითა, ერაყელითა, ადარბადაგანელითა, ერანელითა და სხვათა მრავალთა.

ქართველთა ჯარი ორად გაყოფილა. ბრძოლის წინ მებრძოლთ სახელოვანი წინაპარნი მოუგონებიათ და შეძახილით – „აჰა, ჩუენცა კელნი ჳრმლად და სული ღმრთად“ შამქორისაკენ გაუწევიათ.

ჯარის ერთი ნაწილი დავით სოსლანის სარდლობით „მოსწრაფე იქმნა გასვლად წყლისა კერძისა“. მეორე, მცირე ნაწილი კი მტერს შებძია. შამქორის მცველები ხედავდნენ, რომ ქალაქი ალყაში ექცეოდა. „დაათრვნეს ისარნი სისხლითა და ჳრმალნი ჳამდეს ჳორცთა მტერთა მათთასა“ – წერს შემატიანე. ქართველთა მამაცობამ მტერი უკუაქცია. აბუბექრიც დევნილთა რიცხვში ყოფილა, მაგრამ თავი მცირე ორმოში დაფლვით გადაურჩენია. ბრძოლის დაწყებამდე, ჳერ კიდევ მამინ, როცა მოწინააღმდეგე საომრად ემზადებოდა, თურქთათვის ხალიფას „ლაზოდ“ დროშა გამოუგზავნია. ქართველთ გამარჯვების დღეს მოწინააღმდეგის ეს ძლიერების ერთგვარი სიმბოლოც ხელში ჩაეარდნიათ.



გამარჯვების ღამე ქართველებს შამქორის მიდამოებში გაუტარებიათ, მეორე დღით კი შამქორელები „ქალაქის კლიტებით“ ეახლნენ დავითს და „ითხოვეს მშჳდობა და მონება“. განძასთან მიახლოებულ ქართველთა ჳარს შემოეგებნენ „დიდებულნი და დიდვაჭარნი, ყადი და მულიძნი“, რომელთაც მორჩილების ნიშნად ქალაქის კარი გაუღიათ და სულთნის სასახლემდე სტაყრა დაუგიათ. გამარჯვებული მეფე დავითი ჳედ სულთნის ტახტ ჳედ დაბრძანებულა და ასე გაუტარებია გამართული დარბაზობა.

თამართან მახარობლად მანდატურთუხუცესი ჳიაბერი იქნა გაგზავნილი. იგი მეფეს ტაბახმელას ხლებია და გამარჯვების ამბავი უცნობებია. გახარებულ თამარს ღვთისათვის მადლობა შეუწირავს.

საქართველოს ლაშქარი რამოდენიმე დღე დარჩა განძის მიდამოებში, შემდეგ კი სამშობლოსაკენ გამოეშურა, თანაც აურაცხელი ნადავლი წამოიღო: თორმეტი ათასი ტყვე, ორმოცი ავაზა, ოცი ათასი ცხენი, შვიდი ათასი ჳორი, თხუთმეტი ათასი აქლემი, ოქრო და ლარი „უძლო აღრიცხვად“.

თამარ მეფეს შალვა ახალციხელმა მიართვა ხალიფას დროშა, რომელიც ერთ დროს მოწინააღმდეგის უძლეველობის ნიშნად გამოგზავნილი, აწ უკვე ქართველთ ძლევამოსილების სიმბოლოდ ქცეული. თამარმა „მონასტერსა დიდსა“ (გელათს), სახულის ღვთისმშობელს შესწირა.



## „ოსთა საკითხი“

„Осетинский вопрос“.

Составители:

Акакий Бакрадзе и Омар Чубинидзе.

Редакторы:

Акакий Бакрадзе и Лиана Татишвили.

Тб. 1994.

1994 წელს გამოქვეყნდა „კერა-XXI“-მ გამოსცა შესანიშნავი კრებული რუსულ ენაზე – „Осетинский вопрос“ („ოსთა საკითხი“), რომელიც მიზნად ისახავს იმ ისტორიული პარადოქსის წარმოქმნის მიზეზების გამუქებას, რის წინაშეც დგას დღეს ქართული საზოგადოებრიობა – „სამხრეთ ოსეთი ცენტრალურ საქართველოში?!“

ოსური პრობლემის უკიდურესი გამწვავების ერთ-ერთი მიზეზი ალბათ საზოგადოებისა და მეცნიერ ისტორიკოსთა მიერ წლების მანძილზე ნებსით თუ უნებლიეთ ამ პრობლემის არსებობისათვის გვერდის აკლაც იყო. ეთნოკონფლიქტის მოგვარების წინაპირობას კი მისი ისტორიული წინამძღვრების, სამართლებრივი ასპექტების გაცნობიერება წარმოადგენს (არამარტო ქართული მხარის მიერ), რაც შეუძლებელია მეცნიერულად დასაბუთებული, უტყუარი ფაქტოგრაფიული მასალით გაჯერებული ნაშრომების არსებობის გარეშე. სწორედ ასეთ ნაშრომთა კრებულს წარმოადგენს „Осетинский вопрос“. მასში თავმოყრილია ქართველ ისტორიკოსთა სტატიები.

ოსთა საკითხი განუყოფლად უკავშირდება საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის – შიდა ქართლის ისტორიულ წარსულს. აღნიშნული რეგიონი კრებულში მთლიანი მოცულობითაა გაშუქებული (ეთნოგრაფიის, კულტურის, ისტორიული გეოგრაფიის, ტოპონიმიკისა და ეთნოდემოგრაფიული პროცესების შესწავლის საფუძველზე).

ისტორიულ-გეოგრაფიული და კულტურულ-ისტორიული რეალიების გათვალისწინებით, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

უასტანგ ითონიშვილი კონფლიქტის ზონის არსებულ ნომინაციებთან შედარებით („შიდა ქართლი“, „სამაჩაბლო“) უპირატესობას ანიჭებს „ცენტრალურ საქართველოს“ ან „ჩრდილოეთ საქართველოს“, რაც უფრო ადეკვატურად ასახავს როგორც ოს სეპარატისტთა ტერიტორიული პრეტენზიების მასშტაბებს, ისე ამ პრეტენზიების აბსურდულ ხასიათს. აქვე წარმოჩენილია რუსეთის კოლონიური ადმინისტრაციის მიერ ცენტრალური საქართველოს მთიანი რაიონების აღსანიშნავად ტერმინ „ოსეთის“ თანდათანობითი დანერგვის პროცესი. აღნიშნული ტენდენცია XIX საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს.

შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მიმდინარე კულტურულ-ეთნიკურ პროცესებს უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე ეხება ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის – ნოე აფხაზავას სტატია. გვიან ბრინჯაო – ადრე რკინის ხანის არქეოლოგიური მასალა არ ადასტურებს საქართველოში დაკრძოლ, მის ამ ნაწილში სკვითების დიდი მასების დამკვიდრებას, რის დამტკიცებასაც ცდილობენ ოსი მეცნიერები (მათ სკვითების უშუალო შემკვიდრებად ოსი ხალხი მიაჩნიათ). ეთნიკური ცვლილებები არ შეინიშნება არც ანტიკურ ხანაში და არც შუა საუკუნეებში, რადგან აღნიშნული რეგიონის არქეოლოგიური მონაცემები საქართველოს სხვა კუთხეებში მოპოვებული მასალის იდენტურია.


შიდა ქართლის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის, ადგილს ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფაში წარმოაჩენს პროფ. ჯონდო გვასალიას სტატია – „შიდა ქართლი და ოსური პრობლემა“. მასში განხილულია პირველი პოლიტიკური კონტაქტები ოსებთან. დოკუმენტური და ნარატიული წყაროების მონაცემების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ შიდა ქართლში ოსური დასახლებების წარმოქმნა მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში ხდება. გაშუქებულია ოსთა მიგრაციისა და საქართველოში მათი კომპაქ-



ტურად დასახლების ისტორიული მიზეზები. აღნიშნული პროცესი XVII საუკუნეში იწყება და შემდგომში უფრო ანტიენსიურ ხასიათს იღებს, საბოლოოდ კი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით მთავრდება. ოლქის შემადგენლობაში შევიდა ქართლისა და რაჭის ნაწილი, საქართველოს ისტორიული პროვინციები – სამაჩაბლო, ქსნის საერისთავო, საფალავანდიშვილო, საამილახვროს ნაწილი, ანუ ტერიტორია, დაფარული ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი ძეგლებით, როგორცაა იკორთა, თიღვა, ლარგვისი, წირქოლი, ნიქოზი, ღომისა, თირი, ბელოთი, ხეთი, ძეგლებით, რომელნიც საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას ეკუთვნის და რომლებიც მეტყველებენ, რომ ამ მხარეში ყოველთვის ქართველები ცხოვრობდნენ და ქართველები ქმნიდნენ (პროფ. პარმენ ზაქარაია, „შიდა ქართლის ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის“).

იმ ფაქტს, რომ შიდა ქართლი ეთნიკურად ქართული იყო, მხარის გამგებლნი და ადგილობრივი ფეოდალები ქართველები იყვნენ, რომ ქართული იყო სახელმწიფო და საეკლესიო ენა, ცხადყოფს ამ რეგიონის წარწერები, რომლებიც განხილული აქვს დოც. გიორგი ოთხმეხურს სტატიაში „შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილის ეპიგრაფიკა“.

აღნიშნული რეგიონის გეოგრაფიული სახელების ანალიზი მეტყველებს, რომ შიდა ქართლის მოელ ტერიტორიაზე XVIII საუკუნემდე მხოლოდ ქართული ტოპონიმები იყო გავრცელებული („შიდა ქართლის ტოპონიმთა წარმოშობა და განვითარება“). მათ არც



იკორთა. 1172 წ.

შემდგომში განუცლიათ მკვეთრი ცვლილებები. ასეთი სტაბილურობა იმიო/არის ახსნილი, რომ ჩამოსახლებული ოსები თანდათანობით ერეოდნენ ძირძველ ქართულ მოსახლეობას. ტოპონიმების მოლიანად შეკვლა მხოლოდ იქ ხდებოდა, სადაც ოსებმა მეტოქე უკულო სოფლები დაიკავეს ან ახალი ადგილები აითვისეს. იშველიებს რა ფაქტობრივ მასალას, სტატიის ავტორი – გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი კობა ხარაძე აღნიშნავს, რომ ბევრი ძველი ტოპონიმი ოსურად არის მიჩნეული მათი თავისებურად, ოსურად გამოთქმის საფუძველზე.

ეთნოგრაფიულ მონაცემებს განიხილავს პროფ. ბახვა გამყრელიძე („საქართველოში ოსთა განსახლების საკითხისათვის“). სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ოსთა მიგრაციული პროცესის ერთ-ერთ განმსაზღვრელ – სამეურნეო ფაქტორზე. ოსები საქართველოში „ნიზნებად“ სახლდებოდნენ და ადგილობრივ ფეოდალებთან მათი ურთიერთობის საფუძველი მიწა ხდებოდა. სამთაბარო სამეურნეო სისტემა, მთიელთა უწყვეტი კავშირი ქართლის ბარის რაიონებთან და მის სავაჭრო ცენტრებთან, რასაც ოსებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, შეადგენდა ქართველი და ოსი ხალხების კულტურულ-სამეურნეო ურთიერთობათა საძირკველს.

საქართველოში ოსების ჩამოსახლებისა და მათი დასახლებების რიცხობრივი რაოდენობის ცვლილებები ქრონოლოგიური მონაკვეთების მიხედვით მოტანილია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის – ანზორ თოთაძის სტატიაში „ოსები ქართულ მიწაზე“. აქვეა წარმოდგენილი ქ. ცხინვალის ეთნიკური შემადგენლობის მაჩვენებლები რუსული მმართველობის პერიოდში.

ქართველთა და ოსთა ურთიერთობის ის მხარე, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში არ ექცეოდა სათანადო ყურადღება და რომელიც ქართველი ხალხის ცნობიერებაში „ოსიანობის“ სახელით არის დაფიქსირებული, განხილული აქვს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს – ვახტანგ ითონიშვილს („Осетинщина“). ოსიანობა ორი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობების გარკვეულ პერიოდებში ოსების მიერ საქართველოს ცალკეული კუთხეების მარცვასა და აოხრებას გულისხმობს, რაც შემდგომში ეთნოდემოგრაფიული და ეთნოგეოგრაფიული ცვლილებების მიზეზი გახდა. როგორც ქართული, ისე „ნეიტრალური“ – რუსული დოკუმენტური წყაროების მიხედვით გარკვეულია „ოსიანობის“ არსი, თავისებურებები, მოვლენის ქრონოლოგიური დიაპაზონი, დაძებნილია

მისი პარალელები „ლუკიანობასთან“.


თვით ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ გაჩენის ქრონოლოგიას ადგენს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის – სოლომონ ლუკიშვილის სტატია – „როგორ წარმოიშვა ტერმინი «სამხრეთ ოსეთი»?“ ავტორის მიერ წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს: ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ მხოლოდ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩნდება, თანაც მისი ხმარება სპორადულ ხასიათს ატარებს. ტერმინის თანდათანობითი დანერგვა ამკარად უკავშირდება რუსეთის მმართველობის იმ პოლიტიკურ კურსს, რომელიც საქართველოში ტარდებოდა. დასასრულს მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფის ანალიზი რუსული მმართველობის მთელ მანძილზე.

რუსეთის პოზიცია მკაფიოდ გამოვლინდა 1918-1920 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, ოსი სეპარატისტების მიერ მოწყობილი ამკარა აჯანყებების დროს (დანართში მოცემულია ამომწურავი დოკუმენტური მასალა). აღნიშნავს რა დაპირისპირების ეთნიკურ ხასიათს, პროფ. ავთანდილ მენტეშაშვილი სტატიაში – „ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ოსი ბოლშევიკების გამოსვლები, დროის მიხედვით, ყოველთვის საქართველოში უცხო ძალების ინტერვენციის საფორთხეს ეძთხეოდა. ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში წამოყენებული მოთხოვნები რუსეთის ფედერაციასთან შეერთებისა ანალოგიურია უკანასკნელ ხანს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შესვეურთა მიერ წამოყენებული მოთხოვნებისა.

ავტონომიური ოლქის შექმნის საკითხს ეხება პროფ. ლევან თოიძე („ოსური ავტონომიის წარმოქმნა საქართველოში“). უტყუარი დოკუმენტური მონაცემებით მკაფიოდ იკვეთება ავტონომიის შექმნის ხელშეწყობა და ძალმომრეობითი ხასიათი, ის დანაშაულებრივი უგულვებელყოფა ყოველგვარი ისტორიული თუ ეთნიკურ-დემოგრაფიული სინამდვილისა, რამაც დღესდღეობით ცენტრალური საქართველო ეთნოკონფლიქტის ზონად აქცია. ავტორს მოჰყავს იმ ქართული დასახლებების სია, რომლებიც 1922 წელს ავტონომიურ ოლქს შეუერთეს.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის – ლევან მატარაძის სტატიაში განხილულია კონფლიქტის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები, დასახულია ეთნოკონფლიქტის მოგვარების შესაძლო გზები.

დასასრულს, დანართის სახით, მოყვანილია ეროვნებათა და ეთნიკურ უმცირესობათა



ლარგვისი. 1759 წ.

განათლების დონის მაჩვენებლები მოსახლეობის აღწერების მიხედვით, რაც კიდევ უფრო ნათელ სურათს იძლევა იმისა, თუ როგორ „იჩაგრებოდნენ“ ოსები საქართველოში.


სტატიები კარგად არის აღჭურვილი ილუსტრაციებით (რუკები, ხუროთმოძღვრული და ეპიგრაფიკული ძეგლების ფოტოები). შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ვიზუალური მასალა არცკი საჭიროებს კომენტარს, იმდენად თვალნათელს ხდის ოსების მიერ საქართველოს მიმართ წაყენებული ყოველგვარი ტერიტორიული პრეტენზიების აბსურდულობას.

ამრიგად, კრებული სრულ წარმოდგენას გვიქმნის „ოსური პრობლემის“ შესახებ. ნიშანდობლივია ისიც, რომ იგი რუსულადაა შედგენილი, რაც საშუალებას მისცემს რუსულენოვან მკითხველს ირწმუნოს ისტორიული ჭეშმარიტება.

აქვე დავძენთ, რომ ანალოგიური კრებულების გამოცემა სხვადასხვა ევროპულ ენებზე ქართულმა საზოგადოებრიობამ ერთერთ უპირველეს ამოცანად უნდა დაისახოს. თუმცა არანაკლებ საშური საქმეა მათი გამოცემა ქართულ ენაზეც. პირველ რიგში ალბათ ჩვენ უნდა გავითავისოთ და შევიგრძნოთ ჩვენივე ისტორია.

ნიკო პიჭიშვილი

# „საქართველო აღორძინდა“



**Wojciech Materski.**  
**Georgia rediviva.**  
**Republika Gruzinska w stosunkach**  
**miedzynarodowych 1918-1921.**  
**Warszawa. 1994.**

ასეთი სათაური წარუძმდვარა წინ ცნობილმა პოლონელმა მეცნიერმა ვოიცეხ მატერსკიმ თავის ნაშრომს, რომელიც პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკურ კვლევათა ინსტიტუტმა ცალკე წიგნად გამოსცა ვარშავაში 1994 წელს.

ავტორის წინათქმას აქვს ეპიგრაფი, რომელიც გამოჩენილი პოლონელი მწერლის — სტეფან ჟერომსკის პოეტური ნაწარმოებიდან არის ამოღებული. სტეფან ჟერომსკი აღნიშნავს, რომ საქართველოს თავისუფლება ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანის მისწრაფება უნდა იყოს.

ვოიცეხ მატერსკი წერს, რომ ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრება უნებურად პოლონელი ხალხის ბედს მოვკავონებს. მსგავსება უფრო დიდია, ვიდრე მხოლოდ ისტორიული ცხოვრებისა და მოვლენების ანალოგიურობა. ორივე ერის ეროვნული მენტალიტეტი გვიჩვენებს, რომ ქართველებიცა და პოლონელებიც ერთმანეთს ჰგვანან მამაცობით, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამირული თავდადებითა და მრავალი სხვა თვისებით.

ვოიცეხ მატერსკის ნაშრომი, რომელშიც განხილულია საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობანი 1918-1921 წლებში, კრცელ ლიტერატურულ და დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა. ავტორის მიერ გამოყენებულია როგორც რუსულ-ქართული,

ისე ფრანგული, ინგლისური თუ პოლონური დოკუმენტური და ნარატიული წყაროები.

წიგნი შედგება შესავლისა და ცხრა მუხტი თავისაგან. პირველ თავში მოცემულია ქართველი ხალხისა და მისი სახელმწიფოებრიობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე. აქვე განხილულია საქართველოში ჩამოსულ პოლონელთა მოღვაწეობის საკითხები. ინტერესს იწვევს ნაშრომში მოტანილი ტაბულები საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების შესახებ. აღსანიშნავია, რომ 1903-1912 წლებში საქართველოში მოიპოვებოდა მარგანცის მადნის მსოფლიო მოპოვების 31,79%, ე. ი. თითქმის 1/3. ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე იმყოფებოდა.

ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება იმ მოვლენებს, რომელიც ამერიკაკავკასიაში 1917 წლის ორივე რევოლუციის პერიოდში მიმდინარეობდა.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია ამერიკაკავასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის საკითხი.

ვოიცეხ მატერსკი განსაკუთრებით გულდასმით განიხილავს მასალებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებისა და მისი ჯერ „დე ფაქტო“, შემდეგ კი „დე იურედ“ ცნობის შესახებ. ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომის დანარჩენი თავები.


წიგნი კარგად არის გაფორმებული და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული. მას თან ერთვის მთელი რიგი რუკებისა, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს საქართველოსა და სომხეთს შორის წარმოებული საომარი მოქმედებისა (1918 წ. დეკემბერი) და რუსეთის წითელი არმიის აგრესიის (1921 წ. იანვარ-მარტი) ამსახველი რუკები. ნაშრომს ერთვის სახელთა საძიებელი, ლიტერატურის სია, აგრეთვე ილუსტრაციები — საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და დემოკრატიული საქართველოს ცნობილი მოღვაწეების პორტრეტები.

ვოიცეხ მატერსკის ნაშრომი შესანიშნავი შენაძენია საქართველოს ისტორიოგრაფიისათვის. მისი თარგმნა ქართულ ენაზე მეტად საშური საქმეა.

**გურამ ჯაღბინიძე**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
 თსუ რუსეთის ისტორიის  
 კათედრის დოცენტი

# ჟურნალი „პრო გეორგია“



**"Pro Georgia".  
Prace i materiały do dziejów  
stosunków gruzińsko-polskich.  
Warszawa.**

ქართველები არა ვართ მაინცდამაინც განებივრებულნი უცხოეთის ქვეყნების ყურადღებით. ბევრმა არც იცის, თუ არსებობს ასეთი ქვეყანა – საქართველო. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დიდად მოიკოჭლებს უცხოეთში ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაციის საქმე. და რაოდენ სასიხარულოა, რომ ასეთ პირობებში, პოლონეთში, ქალაქ ვარშავაში, პოლონურ ენაზე, გამოდის სპეციალურად საქართველოსადმი მიძღვნილი ისტორიული ჟურნალი – „PRO GEORGIA“ („საქართველოს შესახებ“). მხოლოდ ფაქტიც კი ამგვარი ჟურნალის გამოსვლისა ფრიად მისასალმებელია და მითუმეტეს სასიხარულოა, რომ ეს ჟურნალი მაღალპროფესიულ და მაღალპოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული.

„პრო გეორგია“ გამოდის 1991 წლიდან. ჟურნალის დამაარსებელი და მისი პირველი რედაქტორი ჩვენი თანამემამულეა – ვარშავის უნივერსიტეტის ასპირანტი დავით ყოლბაია. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიის კათედრის წარგზავნილია. მან შეძლო თავის გარშემო შემოეკრიბა პოლონელ მეცნიერთა ფართო წრე, დაახლოებოდა ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს, ემოვა საჭირო სახსრები

და რაც მთავარია, მიეკვლია მრავალფეროვან საარქივო მასალებისათვის წიგნები.

ჟურნალში ძირითადად პოლონეთის ურთიერთობის ამსახველი სტატიები იბეჭდება. დიდი ადგილი აქვს დათმობილი პოლონეთში ქართული ემიგრაციისა და საქართველოში პოლონური ემიგრაციის ისტორიას. ჟურნალის მიზანია აგრეთვე უფრო ახლოს გააცნოს საქართველოს ისტორია და კულტურა პოლონელ სპეციალისტებსა და საკითხით დაინტერესებულ საზოგადოებას.

ჟურნალ „პრო გეორგიას“ ეპიგრაფად ლათინური გამოთქმა აქვს წამძღვარებული: *"Historia testis temporum, lux veritatis, vita memoriae, magistra vitae, nuntia venustiae"* („ისტორია არის დროთა მოწმე, შუქი ჭეშმარიტებისა, უკვდავება ხსოვნისა, მოძღვარი ცხოვრებისა, მაცნე გარდასულ ჟამთა“).

ამჟამად ჟურნალის რედაქტორია ვოიცეხ მატერსკი. მის გარდა სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: იერზი არონიშიძე, იან ბრაუნი, რევაზ გლოველი, დავით ყოლბაია, სტანისლავ ლიშევსკი, გურამ ლორთქიფანიძე, მარეკ მადზიკი, ანჟეი ვოზნიაკი, მარია ვოზნიაკოვა.

უკვე გამოიცა „პრო გეორგიას“ ოთხი ნომერი (I – 1991, II – 1992, III – 1993, IV – 1994).

რედაქცია დაინტერესებულია, რომ ჟურნალში პოლონელ მეცნიერთა ნაშრომების გარდა ქართველ ისტორიკოსთა გამოკვლევებიც დაიბეჭდოს. მართლაც, კარგი იქნება, თუ საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ამსახველ სტატიებს ქართველი მეცნიერებიც მიაწვდიან „პრო გეორგიას“.

ის, რომ საქართველოს შესახებ საფრანგეთში გამოდიოდა ჟურნალი „ბედი ქართლისა“, გერმანიაში კი ახლაც გამოდის „გეორგიკა“, თითქმის ყველა ისტორიკოსმა იცის ჩვენში და დროა, სპეციალისტთა ფართო წრეში ისიც გაივოს, რომ პოლონეთშიც გამოდის შესანიშნავი ქართველოლოგიური ჟურნალი – „პრო გეორგია“!

„არტანუჯი“ გულწრფელად მიესალმება ამ დიდ წამოწყებას და „პრო გეორგიას“ უსურვებს არ განელებოდეს საქმისადმი ის უსაზღვრო სიყვარული, პასუხისმგებლობა და ენთუზიაზმი, რომელიც ჟურნალის ყოველ გვერდზე იგრძნობა!

# 1994 წელს გამოცემული წიგნები

გთავაზობთ ინფორმაციას ისტორიის დარგში 1994 წელს საქართველოში გამოცემული ლიტერატურის შესახებ. ნუსხაში შესულია მხოლოდ სამეცნიერო ხასიათის გამოცემები – საისტორიო წყაროები, გამოკვლევები, კრებულები და ჟურნალები. წარმოდგენილ ნუსხაში არ შეგვტანია პუბლიცისტურ-პოპულარული ლიტერატურა (თუმცა რიგ შემთხვევებში ჭირს მკვეთრი საზღვრის გავლება სამეცნიერო და პოპულარულ ნაშრომებს შორის), არ შეგვტანია აგრეთვე ბუკლეტები, სადისერტაციო მაცნეები, როტოპრინტული გამოცემები.

წარმოდგენილი ნუსხა, ცხადია, ვერ იქნება სრული. ბუნებრივია, ყველა წიგნის შესახებ ვერ აღწევს ჩვენამდე. ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, რომ მომავალში ყოველგვარი სამეცნიერო გამოცემის შესახებ ინფორმაცია ავტორებმა უშუალოდ მოგვაწოდონ რედაქციაში. გახსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის პერიფერიებში გამოცემული სამეცნიერო წიგნები. მეტი წილი ასეთი ნაშრომებისა რეალურად ვერ აღწევს თბილისში და მათი სიის დადგენა ძალზე გაძნელებულია. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს თხოვნას არ დატოვებთ უუურაღლებოდ.

### წყაროები:

- აჯანყება 1924. საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალმდებლო დასკვნა). თბ. 148 გვ.
- ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია (IV ს.-VII ს. პირველი ნახევარი). I ტომი. პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვიციანიშვილი. თბ. 270 გვ.
- გიორგი მცირე. ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა. ტექსტი გადოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბ. 288 გვ.
- სოლომონ ზალდასტანიშვილი. საქართველოს 1924 წლის აშოხება. თბ. 64 გვ.
- გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი. თორმეტი კესრის ცხოვრება. I. თბ. 296 გვ.
- ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და მუნიშვნები დაურთო ვიქტორ რაცხილაძემ. თბ. 592 გვ.
- ქართლის ცხოვრება [თანამედროვე ქართულ ენაზე]. ტომი I. ტექსტი შეადგინეს, კომენტარები და ლექსიკონი დაურთეს მანანა სანაძემ, ნოდარ მოშიაშვილმა. თბ. 168 გვ.

### გამოკვლევები:


- კახტანგ ბერიძე XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება. ქართული ქრისტიანული ხელოვნება. I. თბ. 512 გვ.
- გიორგი ბოჭორიძე. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები. თბ. 512 გვ.
- ნ. გელოვანი. საქართველოს სამხედრო ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან (1918-1921). თბ.
- გურამ გრიგოლია. ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები. თბ. 154 გვ.
- ვალერი გურგენიძე, გელა გურგენიძე. ქალაქი პეტრა და ჯიხანჯორის ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა. თბ. 40 გვ.
- მიქელ თარხნიშვილი. წერილები. ქართული ეკლესიის ისტორია. მასალები და გამოკვლევები. I. თბ. 544 გვ.
- შერი ინაძე. ძველი კოლხეთის საზოგადოება. თბ. 280 გვ.
- სარგის კაკაბაძე. კახტანგ გორგასალი და მისი ხანა. თბ. 416 გვ.
- ვაჟა ლორთქიფანიძე. საქმე-ჯავახეთი XIX-XX საუკუნეებში (დემოგრაფიული განვითარების პრობლემები). თბ. 120 გვ.
- ზვიად ქვანია. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მღვდელმთავარი 1917 წლიდან. ქუთ. 112 გვ.
- დავით ქლენტი. შინაფეოდალური ბრძოლა XVII ს-ის 60-70-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოში. თბ. 144 გვ.
- ლევან რჩეულიშვილი. ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები. თბ. 236 გვ.
- თეიმურაზ საყვარელიძე, გაასიე ალიბეგაშვილი. ქართული ხატები. ალბომი (ქართულ, ინგლისურ, გერმანულ, რუსულ ენებზე). თბ. 216 გვ.
- ვალერი სილოგავა. ბეთანიის წარწერები. თბ. 64 გვ.
- ვალერი სილოგავა. ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები. თბ. 144 გვ.
- ვალერი სილოგავა. კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა. თბ. 172 გვ.
- აბელ სურგულაძე. ცხოვრება და ღვაწლი აილარ აბაშიძისა. ბათ. 96 გვ.
- აბელ სურგულაძე, კახაბერ სურგულაძე. ქართული ლეგიაონი თურქეთში. ბათ. 40 გვ.
- ლევან ტუხაშვილი. ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, წიგნი I. ბაგრატ III-დან გიორგი V ბრწყინვალემდე. თბ. 288 გვ.
- ლევან ურუშაძე. საქართველოს ისტორიის საკითხები XX საუკუნის თურქულ ისტორიოგრაფიაში. თბ. 216 გვ.
- გურამ ყორანაშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. I ნაწილი. თბ. 240 გვ.
- კლისტრატე ცინცაძე. ქაშვეთის წმინდის ვიწროვანის კვლევისა ტყულისში. გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვა და საძიებელი დაურთო მიხეილ ქვთარიაშვილმა. ქართული ეკლესიის ისტორია. მასალები და გამოკვლევები. 2. თბ. 304 გვ.
- Гиви Жордания, Зураб Гамезардашвили. Римско-католическая миссия и Грузия. Часть I. Из истории взаимоотношений папства и миссионеров с Карпийско-Кахетинским царством и Крымским ханством. Горийские миссии (конец XVI и 20-30 е годы XVII столетия). Тб. 740 стр.

### კრებულები:

- „არქეოლოგიური კრებული“. I. რედაქტორ-მძღვენიელი ვაჟა ავალიშვილი. თბ. 216 გვ.
- „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“. I რედაქტორი ილია ტაბაღუა. თბ. 384 გვ.
- „ქართული დიპლომატია“. წელიწადი. I. მთავარი რედაქტორი რიონ მეტრეველი. თბ. 284 გვ.
- „ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე“. რედაქტორი რიონ მეტრეველი. თბ.-ქუთ. 220 გვ.
- "Осетинский вопрос". Составители: Акакий Бакрадзе и Омар Чубинидзе. Редакторы: Акакий Бакрадзе и Лиана Татишвили. Тб. 344 стр.

### ჟურნალები:

- „არტანუჯი“. ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. № 1. რედაქტორ-გამომცემელი ბუბა კუდავა. თბ. 96 გვ.
- „არტანუჯი“. ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი. № 2-3. რედაქტორ-გამომცემელი ბუბა კუდავა. თბ. 144 გვ.
- „მხედარი“. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ისტორიული ჟურნალი. იანვარი-დეკემბერი. № 1-4. მთავარი რედაქტორი მაშუკა წურწუშია. თბ. 96 გვ.



### ისტორიული ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში 1990 წლიდან მოქმედებს ისტორიული ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავების საპრობლემო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მალხაზ ღუმბაძე. ჯგუფის წევრები არიან: ზურაბ ჯამბურია, მაია გურაბანიძე, ანი რუაძე.

როგორც ცნობილია, კომპიუტერს გააჩნია ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის დიდი შესაძლებლობები, მკვლევარისათვის კი ისტორიული ინფორმაცია მთავარ სიმდიდრეს წარმოადგენს. ამიტომ ჯგუფმა მიზნად დაისახა კომპიუტერის საშუალებით დაამუშაოს ქართული ისტორიული წყაროები. მიღებული შედეგი დიდ დახმარებას გაუწევს მკვლევარს – საგრძნობლად შეუმსუბუქებს შრომას და დაახოგვინებს დროს. გარდა ამისა, აღნიშნული კომპიუტერული მასალა, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ საგანძურსაც წარმოადგენს.

დღეისათვის საინფორმაციო-საძიებო სისტემაში (ISIS) ფორმალიზებული სახით მოძიადებულია და შეტანილია „ქართლის ცხოვრების“ ორი ტომი („ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. I, 1955; ტ. II, 1959), შექმნილია საინფორმაციო-საძიებო ბაზების (პერსონალიების, ისტორიული ფაქტების, ერებისა და ეთნოპოლიტიკური გაერთიანებების, მონუმენტური ძეგლების და ა. შ.) მოდელები. აღნიშნული ბაზების რეალიზაციის შემდეგ ისტორიკოსს საშუალება ექნება სწრაფად მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია, საინტერესო საკითხებზე გაეცნოს ამომწურავ მასალას.

ამჟამად ჯგუფი მუშაობს „ქართლის ცხოვრების“ IV ტომზე. ჯგუფს გააჩნია მთელი რიგი პრობლემები: მოძველდა მათ ხელთ არსებული ტექნიკა, სახსრების უქონლობის გამო ვერ ხერხდება ჯგუფის შევსება კვალიფიცირებული ისტორიკოსებითა და ოპერატორებით.

### ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

1991 წლის 5 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა ევროპის ქვეყნებთან და აშშ-სთან საქართველოს ურთიერთობის შემსწავლელი ასოციაცია. მისი პრეზიდენტია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილია ტაბაღუა. ასოციაციის მიზანია აღნიშნული ქვეყნების არქივებსა და წიგნსაცავებში საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტებისა და მასალების მოძიება, მათი ასლების გადაღება და უსასყიდლოდ საქართველოში ჩამოტანა. ასოციაცია ამას აკეთებს უცხოელი და ქართველი ქველმოქმედი პირებისა და ორგანიზაციების საშუალებით.



1993 წლის 12 მარტს შეიქმნა ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (დირექტორია – პროფ. ილია ტაბალუა). ინსტიტუტის მიზანია ერთის მხრივ, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ისტორიის კვლევა, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ქვეყნებსა და საქართველოს შორის არსებული პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების შესწავლა. ინსტიტუტის განზრახული აქვს გამოსცეს ორენოვანი (ქართულ და სათანადო ქვეყნის ენაზე) წიგნები – „საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა“, „საქართველო-გერმანიის ურთიერთობა“ და ა. შ. ამჟამად ინსტიტუტი უძთავრესად მუშაობს 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ამსახველი დოკუმენტების გამოქვეყნებაზე. აღნიშნული სამუშაოს ძირითად ბაზას წარმოადგენს ბ-ნ ილია ტაბალუას მიერ უცხოეთის არქივებსა და წიგნსაცავებში მოძიებული მასალები.

ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ყოველწლიურად გამოსცემს კრებულს – „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“. 1994 წელს გამოვიდა I ტომი. მასში ყველა მასალა ორ ენაზეა წარმოდგენილი (ქართულ და იმ ქვეყნის ენაზე, რომელსაც სტატია ეხება). კრებულში გვხვდება სტატიები ქართულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, იტალიურ და ესპანურ ენებზე. 1995 წელს გამოვიდა კრებულის II ტომი, მზადდება აგრეთვე გამოსაცემად „საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (1918-1921 წწ.)“, ტომი I.

### ქართული დიპლომატიის ისტორიის ლაბორატორია

1993 წლის დეკემბრიდან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს ქართული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომლის მიზანია ქართული დიპლომატიის ისტორიის ძველი და თანამედროვე საკითხების შესწავლა.

ლაბორატორიას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი – აკად. როინ მეტრეველი.

ქართული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია მუშაობს ოთხი ძირითადი მიმართულებით:

1. გამოსცემს წელიწადეულს – „ქართული დიპლომატია“. 1994-95 წლებში გამოვიდა I და II ტომი. 1996 წელს მკითხველი იხილავს წელიწადეულის III ტომსაც. მისასაღებელია, რომ დღეს, როცა ნებისმიერი სახის გამოცემები დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული, გამოსვლას იწყებს ასეთი კონკრეტული პროფილის მქონე კრებული, რომელშიც გაშუქებულია ჩვენი ქვეყნის დიპლომატიური საქმიანობა მისი არსებობის სხვადასხვა ეტაპებზე.

2. მზადდება „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“. მასში თანმიმდევრობით იქნება განხილული ქართული დიპლომატიის საკითხები უძველესი ეპოქიდან დღემდე. მოუხდავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში ასეთუისე იკვლევდნენ ქართული დიპლომატიის ისტორიასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მეცნიერთა აღნიშნული კრებული თვისებრივი სიახლე იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის. მასში მთელი რიგი მომენტები ახლებურად იქნება დანახული. გარდა ამისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართველ მკითხველს პირველად მიეცემა შესაძლებლობა ერთიანი, გაბმული ისტორიის სახით გაეცნოს საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ცვალებადობას



საერთაშორისო მდგომარეობის მიხედვით.

3. გამოსაცემად მზადდება „ქართული დიპლომატიის ლექსიკონი“ სამ ტომად. დასრულებულია მუშაობა I ტომზე (ა - ი). ჩვენში სპეციალიზებული ლექსიკონების ნაკლებობის პირობებში აღნიშნული გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს და დიპლომატიური საკითხებით დაინტერესებულ მკითხველებს. ლექსიკონში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ტერმინები: ხელშეკრულებები, შეთანხმებები, საზავო მოლაპარაკებები, დიპლომატიური ტერმინოლოგია, პერსონალიები (სახელმწიფოს მეთაურები, პოლიტიკური მოღვაწეები, დიპლომატები, მოციქულები, ელჩები, ...), დიპლომატიის ისტორიის წყაროები და მათი ავტორები, დიპლომატიის ისტორიის მკვლევარები და მრავალი სხვა. ქრონოლოგიური ჩარჩო აქაც დიდია - უძველესი დროიდან დღემდე. ლექსიკონში სათანადო აღვლილი აქვს დათმობილი საერთაშორისო დიპლომატიას, მაგრამ აქცენტი მაინც იმ საკითხებზეა გაკეთებული, რომლებიც საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და ქართულ დიპლომატიას უკავშირდება. ლექსიკონის I ტომი უკვე მზადაა გამოსაცემად და ალბათ მალე იხილავს ქართველი მკითხველი.

4. მს"შ საქართველოს ისტორიის კათედრასთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა „ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიის“ მოსამზადებლად. მასში მოცემული იქნება დიდი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები. საზღვარგარეთ არსებობს ანალოგიური ენციკლოპედიური გამოცემები (არის მაგალითად „ლერმონტოვის ენციკლოპედია“), ჩვენში კი აღნიშნული წიგნი პირველი ცდაა პერსონალური ენციკლოპედიის გამოცემისა. გარდა იმისა, რომ ეს იქნება კიდევ ერთი ცდა დიდი ივანეს ღვაწლის დაფასებისა, გამოცემა იმითაც იქნება საინტერესო, რომ საქართველოში იარსებებს პრეცედენტი ამგვარი ენციკლოპედიის შექმნისა.

ქართული დიპლომატიის ისტორიის ლაბორატორიაში მუშაობენ საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სპეციალისტები, სამართალმცოდნეები, საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტები, აღმოსავლეთმცოდნეები, ენციკლოპედისტები. ახალგაზრდა თანამშრომელთა შორის არიან ასპირანტები და სტუდენტებიც. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით.

### მარი ბროსეს ბიუსტი

1902 წელს, მარი ბროსეს დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძის ინიციატივით თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა გამოჩენილი ფრანგი ქართველოლოგის - მარი ბროსეს სახელი (ეს ქუჩა, რომელიც ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრთან მდებარეობს, ახლაც ატარებს დიდი მეცნიერის სახელს).

მაშინ ქრისტეფორე მამაცაშვილი წერდა: „ჩვენი პირდაპირი მოვალეობა იქნებოდა აგვემართა მარი ბროსესათვის ძეგლი, მაგრამ რადგანაც ჩვენი სიღარიბე ამის ნებას არ გვაძლევს, ამისათვის ეს მივანდოთ ჩვენს შთამომავლობას.“

შთამომავლობას კი მას შემდეგ თითქმის საუკუნე დაგვჭირდა, რათა „ჩვენი პირდაპირი მოვალეობა“ შეგვესრულებინა...

1994 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოველობა დღეს, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ინიციატივით, თბილისში, მტკვრის სანაპიროზე, ვერის (ყოფილი ელბაქიძის) დაღმართის ბოლოს, სკვერში, სადაც ადრე ძერჟინსკის, შემდეგ







მარი ბროსეს ბიუსტი  
(მოქანდაკე -  
ჯუხა მიქაბაძე)

კი ღვესელიძის ძეგლი იდგა, აღიმართა სახელოვანი მეცნიერის, ფილოლოგისა და ისტორიკოსის - მარი ბროსეს ბიუსტი (მოქანდაკე - ჯუხა მიქაბაძე, არქიტექტორი - რევაზ ბერიძე).

ბიუსტი გახსნა ქალაქ თბილისის შერმა ნიკოლეიშვილმა. გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდნენ აკად. ვახტანგ ბერიძე, აკად. მარიამ ლორთქიფანიძე, საფრანგეთის ულჩი ბერნარ ფასიე, მარი ბროსეს შთამომავალი პროფ. კლემენტ სოსტარია-ბროსე და სხვები.

ბიუსტის დადგმა თავდაპირველად ბროსეს ქუჩაზე იყო განზრახული, მაგრამ იქ ვერ შეიძინა შესაფერისი ადგილი და საბოლოოდ სანაპიროზე აღიმართა.

თბილისში მარი ბროსეს ბიუსტის დადგმა მოკრძალებული დაფასებაა იმ დიდი ღვაწლისა, რომელიც სახელოვან ფრანგ ორიენტალისტს, ევროპაში მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელს, ქართული წყაროების მთარგმნელსა და გამომცემელს, ჩვენი ისტორიისა და კულტურის პოპულარიზატორს - მარი ფელისიტე ბროსეს (1802-1880) მიუძღვის საქართველოს წინაშე.

### სოლომონ დოდაშვილის ნაშტის გადმოსვენება

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მღვდმარობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, აქვნდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი. და ჩვენი ხმა, სახელი და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის აქვნდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლული იყო და დამხობილ მათგან.

ხოლო აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? პგრძნობთა შეწროებასა ყოვლისა კაცისასა?!

რასათვის არს ესე ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი?!

ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა?!

ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესლოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მცავსთა კაცთა?!

მაშა რასათვის ვცოცხალვართ?!

ეს „სიტყვა-მოწოდება“, რომელიც დაწერილია 1831 წელს, ეკუთვნის დიდ მამულიშვილს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღობელს, იღია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მის „პირველ მედროშეს“ და საქართველოში „ევროპეიზმის ფუძემდებელს“, ქართული განმანათლებლობის მესამირკვლეს, „ლოგიკის“, „რიტორიკის“ („შვენიერსიტყვაობის“), „ქართული დრამატიკის“ ავტორს, ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ერთ-ერთი პირველი გაზეთის - „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორს, პირველი ქართული ჟურნალის - „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ - რედაქტორ-გამომცემელს, ნიკოლოზ ბარათაშვილის აღმზრდელსა და მისი გენიის წარმომჩენს („რომ არ ყოფილიყო სოლომონ დოდაშვილი, არ იქნებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილიც“ - აღ. ორბელიანი, პოეტის ბიძა), ტრადიციონალიზმისა და კონსტიტუციური მონარქიის პრინციპზე საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის იდეის პირველ მქადაგებელს (ოქროპირ ბატონიშვილთან ერთად), რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ სულისჩამდგმელსა და იდეოლოგს - სოლომონ დოდაშვილს (1805-1836).

შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ს. დოდაშვილი დააპატიმრეს, 1834 წელს კი გადაასახლეს შორეულ ვიატკაში (შემდეგ - ქ. კიროვი), სამშობლოში დაბრუნების აღკვეთით.



სოლომონ დოდაშვილი  
(1805-1836)

პატიმრობამ და გადასახლებამ საბოლოოდ შეარყია დოდაშვილის ჯანმრთელობა. ჭლეტი, რომელიც ადრევე ჰქონდა, ვიატკის მკაცრმა ჰავამ უფრო გაურთულა. მან არაერთხელ მიმართა თხოვნით მთავრობას, რომ გადაეყვანათ რომელიმე თბილ გუბერნიაში, მაგრამ ყოველთვის უარს იღებდა. თხოვნა დააკმაყოფილეს მხოლოდ 1836 წლის 19 სექტემბერს, როცა სოლომონ დოდაშვილი უკვე ერთი თვის გარდაცვლილი იყო...

1985 წელს, ს. დოდაშვილის დაბადების 180 წლისთავზე, დადგა საკითხი მისი ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებისა. მაშინ იქ მივლინებულმა მსუ სამეცნიერო ექსპედიციამ, ქ. კიროვის ცენტრალური არქივის მასალებზე დაყრდნობით, მოიძია სოლომონ დოდაშვილისა და მისი მცირეწლოვანი შვილის ნეშტის მიახლოებითი ადგილსამყოფელი. ისინი დაკრძალულნი ყოფილან აკტირის ეკლესიის ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ნეშტის გადმოსვენება მაშინ ვერ მოხერხდა.

1994 წლის აგვისტოს მიწურულს არასასიამოვნო ცნობა მოვიდა ვიატკიდან – აკტირის სასაფლაოს სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით საფრთხე ემუქრება სოლომონ დოდაშვილის საფლავსო. შეიქმნა საშიშროება ნეშტის სამუდამოდ დაკარგვისა.

სასიხარულოა, რომ ამ გაჭირვების ყაშს გამოჩნდნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები, რომელთაც შორეული ვიატკიდან სოლომონ დოდაშვილის ნეშტის ჩამოსვენების საქმე ითავეს.

1994 წლის ოქტომბერში, საუკუნუნახევრის განშორების შემდეგ, დოდაშვილი დაუბრუნდა საქართველოს. დიდი ქართველის ნეშტი თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში დაასვენეს, 18 ოქტომბერს კი მთაწმინდის კურთხეულ მიწას მიაბარეს.

იყო სიხარული, დოდაშვილის დაბრუნებით გამოწვეული, მაგრამ არ იყო ის აღტყინებული სული, რომელიც განჯიდან ჩამოსვენებულ ბარათაშვილის ნეშტს დახვდა საუკუნის წინანდელ ტფილისში, არ იყო ის დიდი, გაბმული პროცესია, რომელიც იგივე პანთეონისაკენ მიაცილებდა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძეს, სულ ახლახან – მერაბ კოსტავას...

არ იყო ციკაბო ქვაფენილზე მიმავალი ის ზღვა ხალხი, რომელიც ხელში ატატებულს აასვენებდა მამადავითზე სოლომონ დოდაშვილის ნეშტს... დიდი მამულიშვილის დაკრძალვას სულ რაღაც 200 კაცი ესწრებოდა... ამაშიც არ ჰქონია ბედი სოლომონ დოდაშვილს... უნებურად მისი სიტყვები გვახსენდება: „ხართ-ლა სადმე, ქართველებო?!“...



მთაწმინდა

### ისტორიკოსთა რიგებს გამოაკლდნენ:



ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილების გამგე  
**ქველი ალექსის ძე ჩხატარაიშვილი**  
(1930-1995)


ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი  
**გულჩინა დავითის ას. აკოფაშვილი**  
(1923-1995)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი  
**ლოვარდ ვასილის ძე ტუხაშვილი**  
(1940-1995)

უფალო, მიაწიჭე მათ სასუფეველი ცათა, მკვიდრ ჰყვენ იგინი საუკუნეთა კეთილთა შენთა და რჩეულთა შენთა თანა...

„არტანუჯის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილთა ოჯახებს.

კ რ მ ს ვ მ რ დ ი



თარაზულად:



11.



(ქალაქი, სადაც აღნიშნული მონეტა იჭრებოდა)

8. მეფის პირადი დაცვის უფროსი ძველ საქართველოში.

12. გაიუს ... ავგუსტუსი.

9. მონღოლთა სახელმწიფოს უზენაესი მმართველი.

15. არეზი, რახხი.

18. სოფელი თუშეთში, პირიქითა აღაზნის ხეობაში.






შვეულად:

1. პოლიტიკური მოღვაწე XII სოკუნის საქართველოში, რომელმაც დიდი როლი ითამაშა დემნა უფლისწულის აჯანყების ჩახშობაში.



(წმინდანი)



(მდინარე)

4. ლომისი, ლაშარი, ...




- 6. ფიქვი - ბიჭვინთა
- მუხა - ჭყონდიდი
- რცხილა - ?

ქართული  
ისტორიული



(ტიპარი)

13. ისტორიის კვლევის პრინციპი - მოვლენების შესწავლა მიხეზ-შედევობრივი განვითარების მიხედვით.



17. შუა საუკუნეებში გავრცელებული მეცნიერება, რომლის მიზანსაც შეადგენდა უბრალო ლითონების გადაქცევა ძვირფას ლითონებად.


22. XVII საუკუნის იტალიელი კათოლიკე მისიონერი, მოღვაწეობდა სამეგრელოში.

25. „კუდი ძაღლისა არა განემართებს, არცა კირჩხიბი მართლად ვაღს.“  
(ვინ პყავს მხედველობაში შემატიანეს?)

28. XI საუკუნის ქართული ზურთ-მოდვრების ძველი გეორგის სახელობის ერთნაგიახი ვკლესია საჩხერის რაიონში.

30. ძველი საბერძნეთი.


32.



შემდგენელი ილია ხელაია



წინა კროსვორდის პასუხები:





რუსეთის იმპერატორს ეკატერინე II-ს ძალიან სურდა თავისი შვილიშვილი და ტახტის მემკვიდრე - ალექსანდრე ბავშვობიდანვე გაწაფულიყო სამხედრო საქმეში. ამიტომ სხვა ღონისძიებათა შორის, რომელიც მიზნად ისახავდა პატარა უფლისწულის გულში სამხედრო საქმიანობისადმი სიყვარულის ჩანერგვას, ერთ-ერთი იყო ალექსანდრეს გაღვიძებისათვის სისხამზე ზარბაზნების დაქუხვა.

ეკატერინესათვის მოულოდნელად ზარბაზნების ყოველდღიურმა ზალპებმა სხვა შედეგი გამოიღო - ბავშვი თითქმის დაყრუვდა.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსული გაზეთები გამუდმებით იუწყებოდნენ თავიანთი არმიის ძლევა-მოსილი გამარჯვებების შესახებ.

ერთი პარიზელი კორესპონდენტი ამგვარი ტრაბახა რელაციების შემდეგ ვარიანტს სთავაზობდა მკითხველს: „ვაიმართა

ცხარე ბრძოლა. თურქებმა დაკარგეს 10 000 კაცი, ჩვენთან კი ერთი პატარა კახაკი დაიბადა.“

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი ამერიკელთა მარიონეტის - ნიკარაგუის დიქტატორის შესახებ ამბობდა: „მე მას ძალზე კარგად ვიცნობ. იგი ნამდვილი ძალიშვილია, მაგრამ - ჩვენი ძალის შვილი.“

II მსოფლიო ომის დროს ჯარისკაცები მდინარის პირას სხედან და თევზაობენ. უცებ მდინარიდან ტუკუმ ამოპყო თავი და ჯარისკაცებს გამოსძახა:


- ბიჭებო, ომი დამთავრდა?
- არა, არ დამთავრებულა.
- ვახ, მე ნაპოლეონის დედა კი ვატირე!.. - დაიძახა ტუკუმ და ისევ წყალში ჩაყვინთა.



რესტავრატორ-ტრავმატოლოგი



ერეკლე მეორე



იარაღის უკანონოდ შენახვა

მაშუკა სულხანიშვილი

ვახტანგ კუციანი

# ისტორიკოსები მეგობრულ

მატეარო მახტანგ კუცია

შარტეში  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



დავით მუსხელიშვილი



ლევან სანთაძე



ედუარდ სომხარია-ბროსა



გივი ჯაფარიანი





# ARTANUJI

*The scientific-popular journal of young historians*

*Georgia, Tbilisi, № 4, 1995*

გარეკანის პირველ გვერდზე: ხანძთის წმ. გიორგის ეკლესია.

გარეკანის ბოლო გვერდზე: საფარა. წმ. საბას ტაძარი. დასავლეთის კარიბჭე. ჯვრის ორნამენტი.

**ASTER**

აიწყო და დაკაბადონდა შპს „ასტერის“ კომპიუტერულ ცენტრში.

თავისუფლების მოედანი № 7, ოთახი № 716, ტელ.: 99-74-76.

---

სააქციო საზოგადოება „პირველი სტამბა“

ჩუბინაშვილის ქ. № 50.

შეგ. № 50

2 — 50 44/1

